

დილარიანი

ქმნილი

XII საუკუნეში

სარგის თმოგველის-მიერ

დილარგეთ – სარგის თმოგველსა,
მას ენა დაუშრომელსა“
შოთა რუსთაველი

გამოცემა

ზ. ჭიჭინაძისა

ტფილისი

სტამბა ძ. შარაძისა და აშხ., ნიკ. № 21

1897

სარგის თმოგველი

და მისი

„დილარიანი“.

ვიდრე ჩვენის საგნის შესახებ დავიწყებთ სჯას, მინამდის გვსურს, რომ მოკლეთ შევეხოთ საქართველოს და სომხეთის იმ დამოკიდებულებას, რაც ამ ხალხთ შორის არსებობდა უკანასკნელ მსოფლიო კრების შემდეგიდამ, ვიდრე დავით აღმაშენებლამდის.

ქართველთ და სომეხთ შორის ძველათ დიდი სიყვარული არსებობდა, ამ ხალხს ერთობ დიდის ხნის დროის განმავლობაში უცხოვრიათ მეზობლურათ, ხშირათ ერთათ უმხიარულნიათ კიდევ, ხშირათ უტირნიათ, ხშირათ ერთმანეთში შინაური განხეთქილება

ჰქონიათ, მაგრამ ყოველს დროს და ყოველს უთანხმოების ჟამსაც-
კი საერთო მტრის წინაშე-კი ერთობლივად აღმოჩენილან, ხშირათ უშ-
ველიათ ერთმანეთისათვის უანგარო თავ-გადადებით; ერთმანეთის
გულისთვის ბევრი ტანჯვა და ბევრი მწუხარებაც უნახავსთ.

ძველის-ძველ ქართველთ და სომეხთ სიყვარულს ისიც ამტკი-
ცებს, რომ ხშირათ როცა ქართველთ ნებროთიანთ გვარის მეფენი
ამოსწყვეტიათ, და მეფის შთამომავალნი მცირე-წლოვანნი დარჩე-
ნილან, მაშინ ქართველნი სომეხეთის მეფის სახლს გამოსთხოვდნენ
სამეფო გამგე პირს, მოიყვანდნენ საქართველოში, აიყვანდნენ სა-
მეფო ტახტზე და გაამეფებდნენ დიდის სიყვარულით და პატივის-
ცემით. ამის მაგალითები -ქართლის ცხოვრება“-შიაც არის მო-
ხსენებული.

ასეთი სიყვარული, მეზობლური განწყობილება და დამოკიდე-
ბულება ჰქონდათ ქართველთ და სომეხთ, ასე ამგზავრებდნენ ესენი
თავიანთ დროს და მის მეოხებით ყოველნაირათაც წინ მიდიოდნენ,
სამეფოს აძლიერებდნენ და სწავლა-განათლებითაც სწრაფათ უახლოვ-
დებოდნენ ძველათ განვითარებულ ხალხს. მათ შორის აღძრული სი-
ყვარულიც ერთი-ათათ ფართოვდებოდა და წინ მიდიოდა, იგი მე-
ტად უმანკო სახეს იღებდა.

ფიქრი არ უნდა, რომ ასეც უნდა ყოფილიყო, ამას ვერა-
ფერი დაუდგებოდა წინ, ვერაფერი დალეწავდა და შემუსრავდა, რად-
განაც ამ ორ ხალხთ შორის დიდი მსგავსება არსებობს, დიდი და-
ახლოვება ზნით, ჩვეულებით, წარსულის ყოფა-ცხოვრებით და კულ-
ტურით. ისე დაახლოვებით ქართლელს და კახელს არავინა ჰგავს,
როგორც სომეხი, ისე სომეხს არავინა ჰგავს, როგორც ქართველი.
შავი თვალები და თმები, სახის მოყვანილობა და შინაგან და გა-
რეგან მოწყობილებაც ძვლების და სხვა ნაწილების ძლიერ წააგავს
ერთმანეთს. ენის მხრითაც ხომ ძლიერ უახლოვდება ეს ორი ტო-
მის ხალხი ერთმანეთს და მრავალი სიტყვა ისევე და იმავე ერ-
თის აზრით იხმარება ორივე ტომის ერში. ყველა ამაებს გარდა
იყო დრო, როცა საქართველო და ჰაოსიანთ ერთ ერთ სარწმუნოე-
ბის ქრისტიანობას აღიარებდა, ორივე ტომის ძენი ერთ ეკკლესიის
შვილებათ იგულისხმებოდნენ, ორივე ამ ტომის უმაღლეს მღვდელ-
მთავარი ეპიმადინში იჯდა, აქედან განაგებდა მთელს სომეხეთის და
საქართველოს სულიერ საქმეებს.

მოხდა სხვა-და-სხვა სარწმუნოებრივი მსოფლიო კრებები, კრე-
ბებზე ირჩეოდა ზოგიერთი კითხვები ქრისტიანობის მართლ-მხა-
რეების შესახებ, მეოთხე მსოფლიო კრების შემდეგ ჰაოსიანნი
ცალკე გავიდნენ, შორს დადგნენ, ძველი ეკკლესიის წესები ხელ-
შეუხებლათ დასტოვეს, ქართველთ ეპისკოპოზობმა-კი მეოთხე
მსოფლიო კრების გარდაწყვეტილებაზე ხელი მოაწერეს, ძველი წეს-
მწყობილება ეკკლესიისა უარ-ჰყვეს და ახალი მიიღეს. ამ გარემოე-
ბამ დაბადა ქართველთა და ჰაოსიანთ ძეთა გაცალკეება და ამ დღიდ-

გან იწყება ამ ერის ერთმანერთზე ბრუნდეს თვალით მზერა. ამ ორს ძირეულს მონათესავე ერში დიდი მტრობა და ზიზღი ვრცელდებოდა, მტრობის ზომა საწუალს გადადიოდა. მაჰმადიანობის გავრცელებამ ცოტა შეაფიქრა ეს ერი, სამღვდელოება დაკვირვებას მიეცა, მტრობამ ცოტა იკლო, მაგრამ იყო მხოლოდ დროებითი სხვა-და-სხვა დროს ჩნდებოდნენ ისეთი სასულიერო გვამნი, რომელნიც ხელ-ახლავ სტეხავდნენ უკიდურეს ხასიათებით გარე შესაზღვრულს მტრობას და განხეთქილებას, რაც უფრო ამწვავებდა საქმეს, რაც უფრო ღუპავდა და აუძღურებდა ურთიერთ შორის დამოკიდებულებათა ძალოვნების გამაგრების საქმეებს, გარეშე თვით საპოლიტიკო საქმეებს და საერო ძალოვნებასაც, სამეფოს გამაგრების და წინ-სვლის წარმატებასაც.

ყველა ეს ცხადათ გამოჩნდა იმ დროს, როცა მუსულმანები სომეხებს დაეცნენ და უწყალოთ აიკლეს, როცა პირქვე დაამხეს ძველთ წარმართობის მეოხებით აღორძინებული ჰაოსიანნი, როცა ამ ტომის ძეთა იწყეს მთელის ქვეყნის კიდეებზე განზნევა და განფანტვა. სწორეთ ასეთსავე დღეში შთაცვივდნენ ქართველნიც იმ დროს, როცა საქართველოს ასაკლებელად დაგეშილ მუსლიმანთა ტომი მოადგა. ვერ წარმოვიდგენთ ჩვენა და მრავალთათვის იქმნება დასაჯერიც არ იქმნეს, თუ რა დღეში შთავარდა ერთ დროს ეს ორი მონათესავე ერი. ამას დიდი ვრცელი ისტორია აქვს და ამ ისტორიას თავისებური დიდი მნიშვნელობაც მიენიჭება.

სომეხთ და ქართველთ სარწმუნოებრივი განყოფა მიეწერება მეექვსე საუკუნის ნახევარს, ბაკურ მესამის დროს, კირიონ კათალიკოზის გამგეობის ჟამს, 555-570 წლებში. ე. ი. ხალკიდონის კრების შემდეგ. ამ განცალკევებამ იქამდის მიიყვანა ქართველთ და სომეხთ სულიერი მხარეები, რომ სომეხთ და ქართველთ ერთმანერთი ჭირივით შეიჯავრეს. სომეხთ მოძღვარნი სომეხთ აუწყებდნენ: ქართველთა ეკკლესიის წინ რომ გაიაროთ და ფეხში რამე ლურსმანი მოგედოთ, ლურსმნის გამოსაღებათ დაბლა არ დაიხაროთ თავი, თორემ ქართველთ ეგონებათ, რომ მათ ეკკლესიას პატივს-სცემთო. ასევე ქართველნი აუწყებდნენ, რომ ქართველთაც ისევე ექმნათ სომეხთ ეკკლესიის წინაშე გავლის დროს. უბედურებამ იქამდის მიაღწია, რომ ბაგრატ მესამის დროს, იერუსალიმიდამ ქართველთ მოიწვიეს სამღრთო ფილოსოფი, ივანე ხახულელი; ეს ცნობილი სამღრთო მეტყველი შეებასა სომეხთ სჯულის წარმომადგენთ გვამთ და ამ ბაასმა დიდხანსაც გასტანა, უწყიან, რომ ივანე ხახულელმა პირი დაუყო სომეხთ წარმომადგენთაო! ამ სიმძლავრის საფუძვლათ ასახელებენ იმ გარემოებას, რადგანაც ივანე ხახულელი იყო დიდათ განსწავლული სამღრთო ფილოსოფი, მასთან იმოდენათ მეცნიერიც, რომ მას ქართველთ ბრძენ კაცთაგან „ახალ იოანე ოქროპირი“ ეწოდათ.

ამ განხეთქილებით აღსავსე ბრძოლის შემდეგ, ურთი-ერთ შო-

რის კამათი მაინც არ ცხრება და მეთორმეტე საუკუნეში, თამარ მეფის დროს, უფრო მწვავედება კამათი და განხეთქილება; საქმემ იმ გარემოებამდის მიაღწია, რომ თამარ მეფის გამოჩენილნი მეომარნი სარდალნი ივანე და ზაქარია მხარგრძელნი შეიძულა თვით საქართველოს კათალიკოზმა და ამ მოძულებას შემდეგისთვის დიდი დასაღუპი განხეთქილება და მტრობაც მოჰყვა. ერთ დღეს თამარ დედოფალი მცხეთის ტაძარში ბრძანდებოდა წირვაზე, აქვე იყვნენ მის სარდალნი, მხარგრძელნი. კათალიკოზმა წირვის გათავების შემდეგ თამარ მეფეს და სამეფო კაცებს სეფისკვერი დაურიგა, ხოლო მხარგრძელთ-კი არ მისცა, ამ საქციელისაგან შეწუხებული იოანე დასწვდა სეფისკვერს და კათალიკოზს ძალით გამოსტაცა. კათალიკოზს ჯავრი მოუვიდა და უთხრა ასე: შე შვიდ გზის წყეულო, ძაღლიც არ იკადრებდა მაგას, შენ რომ ჰქენი ეგა, როგორ გაბედეო?

სარდალმა უთხრა: მე მხედარი კაცი ვარ, მხედრობაში გაზრდილი, მასთანვე ქრისტიანი. მე ბერებთან არაფერი საქმე მაქვს. ამ გარემოებამ მეტათ დიდი განხეთქილება დაბადა, განხეთქილებას საუბარიც მოჰყვა და უკანასკნელ დიდებულთა შორის რჩევა იქმნა შესახებ სომეხთ და ქართველთ სარწმუნოების ზოგიერთ კითხვების სინამდვილეზე, რჩევაზე დაადგინეს შემდეგი: სომეხნი – სომხეთიდან მოუწოდებენ მსწავლულთ ბერებს, ქართველნი – ქართველთ, – მეფის და დიდებულთა თანადასწრებით ესენი სჯულის კითხვების გამო საუბარს გამართავენ და ვინც ვის დაუყოფს პირს, მაშინ ის სჯული გამტუნდება და გამტყუნებულნი უნდა პირველს შეუერთდნენ. ასეთის მოხერხებით უნდოდათ ერთმანერთის დაკავშირება. მოხდა საუბარი, კითხვების ახსნა და დააბოლოვეს შემდეგით, რომელ შედეგსაც უნდა მიეცა დასკვნა და მხილება მათის საუბრისთვის. საქმე ისე დატრიალდა, რომ უკანასკნელ მხარგრძელ ზაქარიამ ისურვა მართლმადიდებელ ეკკლესიისადმი მიკედლება და ივანე-კი დაშთა ისევ ისე, როგორც იყო, რადგანაც მან კამათს არ მიაცქია ყურადღება. აი სწორეთ, ამ გამოჩენილ სარდლების მამა იყო სარგის თმოგველი, რომელმაც თავის დროის კვალათ დასწერა წიგნი „დილარიანი“.

სარგის თმოგველი ეკუთვნის ქართველს შთამომავლობას, ამათ წინაპარნი საქართველოში ამაღლებულან მეთერთმეტე საუკუნეში, ბაგრატ მეოთხის დროს, შემდეგ და შემდეგ ეს გვამნი ისე განძლიერდენ და ისეთის წარმატებით აღმოსჩნდნენ, რომ გიორგი მეფის დროს მათ საქართველოს სამეფო ასპარეზზე დაიჭირეს შესამჩნევი ადგილი. დავით აღმაშენებლის ჟამს ხშირათ დადიოდნენ საქართველოს სამხრეთს ადგილებში და ბეჯითად ადევნებდნენ თვალ-ყურს. ამათ მხნეობას ჯეროვანი ყურადღება მიაქცია დავით აღმაშენებელმა, ერთს თმოგველთაგანს უბოძა ჯავახეთში თმოგვის უფროსობა – ერისთავობის მინაგვარი, ანუ თავადის შვილობა და სამეფო გამგეობის ასპარეზზედაც მინიჭა დიდთ უპირატესობა. სარ-

გის თმოგველი დაიბადა ჯავახეთში, ვარძიის მონასტრის ახლოს, სოფელს თმოგვს.

სარგის თმოგველის დაბადების დრო ჩვენს ისტორიაში არა სჩანს, არ სჩანს აგრეთვე ის, თუ ამ გვამმა სად მიიღო თავის დროის შესაფერი სწავლა-განათლება. ჩვენის ისტორიის თქმით სარგის თმოგველი ყოფილა შთამომავალი „ხელგრძელის“ გვარის, შემდეგ დროში „ხელგრძელი“ გადაკეთებულ იქმნა „მხარგრძელათ“, მხარგრძელობა ამათ მიიღეს თამარ მეფის დროს. შემდეგ საუკუნოებში მათ გვარს ვითომც თან დაერთო – არყუთაშვილი, რადგანაც ერთ ამათ გვარის წევრთაგანის სახელი არღუთა ყოფილა. XII საუკუნის გამოჩენილ სარგის თმოგველთა გვარი – მხარგრძელია, ესენი შთამომავლობით ქართველნი არიან, ხოლო როგორც ზემოთაც ვთქვით, ამათი წინაპარნი, ეკკლესიის განყოფის დროს, ძველ ქართველთ ეკკლესიის წეს-რიგზე დაშთნენ, ამათ არ იცნეს უკანასკნელი კრების გარდაწყვეტილება, ამათ კვალათვე ერთობ დიდი რიცხვი დარჩა ქართველთა ეკკლესიის წეს-რიგზე, ამის მეოხებით იგინი მოემწყვდნენ ჰაოსიანთ ეკკლესიის საბრძანებელში და ამიტომ ქართველნი იწოდნენ სომეხათ, ანუ ჰაოსიანთ. ეს შემთხვევა ქართველთ შორის უფრო სამხრეთ საქართველოსკენ მოხდა, რადგანაც საქართველოს სამხრეთი ნაწილი ახლოს სძევს სომხეთზე, თითქმის ზედ არის მიკრული. ასეთმა გარემოებამ დიდი ზე-გავლენა იქონია სამხრეთ საქართველოს ქართველებზე, ესენი მიზიდულ იქმნენ სრულიად უნებლიეთ და მემამიტობით. ასეთსავე გარემოებაში მოთავსდა კახეთიც, მეცხრე საუკუნეში, ნანა დედოფალმა შემოუკავშირა კახელნი ქართველთ ეკკლესიას, თორემ დღეს მთლად კახელ-ქართველიც სომხათ იქმნებოდნენ წოდებულნი.

შესანიშნავ მხარგრძელთა გვართა წევრთა საქმეც ასეთსავე პირობებში იყო მოთავსებული, ამიტომ ჩვენი მატთანე მათ სომეხს უწოდებს, ეს არ არის სწორე. ამის შესახებ ზოგი მეისტორიენიც ასევე აცხადებენ ხოლმე. მაინც ამ შესანიშნავ გვარის არსებობის საქმე მეცამეტე საუკუნის პირველს რიცხვებში ჰქრება, ეს გვარი მთლად მოისპო იმ დროს ისე, რომ ერთი წევრიც არ დაშთა მათის შთამომავლობისა. ასე, რომ დღევანდელ მხარგრძელთა არღუთაშვილებთან მათ არაფერი ნათესავობა აქვსთ, ზოგნი უბრალოთ ხარჯამენ ამას და დღევანდელ არღუთაშვილებს XII საუკუნის ცნობილ გვარის წევრთა მოდგმას აწერენ. ამათში საერთო სრულებით არაფერია: XII საუკუნის მხარგრძელთა ნათესავთაგანი არავინ არის. დღევანდელი მხარგრძელ არღუთაშვილები არიან შთამომავალნი მონგოლების ერთ-ერთ ნოინის, ანუ არღუნის, ჩვენი მატთანეც ასე მოიხსენებს. ხოლო ერთ ამათგანი საქართველოში დაშთენილა, შესანიშნავი მხედარი ყოფილა, ხელგრძელი და შვილდოსან-მეომარი, რომელიც შემდეგ დროში ქართველთა წინაშე დიდის ერთგულებით აღმოჩენილა, მას უღვწია საწინააღმდეგოთ თვით მონგოლების წი-

ნაშეც, ამიტომ მეფეთაგან მას ებოძა თავადისშვილობა და გვართ მხარგრძელი. საოცარი აქ ის არის, რომ ეს არღუნის შთამომავალი სამხრეთ საქართველოსაკენ სცხოვრებდა, უფრო-კი სომხეთში და ამიტომ იგი სომხის ეკლესიასთან იქმნა დაკავშირებული; – დღევანდელი არღუთინსკი-დოლოგორუკოვები ამათი შთამომავალნი გახლავან და არა მეთორმეტე საუკუნის ცნობილის გვარის მხარგრძელებისა. სიტყვა სომეხი წარმოსდგა ქართულის სიტყვა „სამხრეთიდგან“.

სარგის თმოგველს – „ქართლის ცხოვრება“ მეცნიერ კაცათ ასახელებს, სიბრძნის მოყვარეთ. ამის სახელი „ქართლის ცხოვრებაში“ სპასალარობით პირველათ მოიხსენება გიორგი მესამის მეფობის აღწერაში ასე: „და დაუტოვა ივანე ორბელი მანდატურთ უხუცესი, თანაშემწეობითა ამირ-სპასალარისა სარგის მხარგრძელისათა და სხვათა თემისა დიდებულთა აზნაურთა“.

საქართველოს ერში თემის მცხოვრებთ შორის აზნაურებს აზნაურობა იმ სახით არ ეკავათ ხელში, როგორც ბარის ქართველთა შორის. მთიელ ხალხში აზნაურები ერისთავის კვალათ განაგებდნენ, იგინი იყვნენ აზნაურნი – ერისთავნი და არაფერი. აზნაური მთაში იყო ერისთავი. შემდეგ-კი სხვა სახე მიიღო აზნაურობამ, თითქმის იგივე, რაც ბარის ხალხში, ეს მთის ხალხმა ვერ შეიწყნარა, ამათ გამოსდევნეს მებატონე აზნაურები მთიდგან და თემის გამგეობა უზრუნველ ჰყვეს. თემის ხალხზე ქართველ მეფეების სპასალარებს დიდი გავლენა ჰქონდათ და ნამეტურ ზაქარიას და ივანეს, იშვიათად, რომ ამათ მსგავსი ვინმე ვპოვოთ ჩვენს ისტორიაში, თუმც შესანიშნავ გვამთა რიცხვიც არ არის მცირე, სარგის თმოგველს უკავია დიდი ადგილი. თამარ მეფის ისტორიაში აი რა გვარად აღგვიწერენ: – „თამარ მეფემ გააჩინა ამირ-სპასალარი, სარგის მხარგრძელი, კაცი გვარიანი, და აღზრდილი ლაშქრობათა შინა და ჭაბუკობათა, და უბოძა ლორი სათავადო, და სამთავრო სომხითსა შინა, და წყალობა ჰყო მესაცა მისისა ზაქარიას, ესე ზაქარია და ივანე მხარგრძელის ძენი, დაღაცა თუ მეფეთათვის ერთგულნი და დიდათ გამოცდილნი ლაშქრობათა შინა, კაცნი სახელოვანნი, არამედ სჯულითა სომეხნი იყვნეს. ესე იოანე წერილთა ზედ-მიწევნით მეცნიერ იყო, რომლისთვისაც გულის-ხმა ჰყო სიმართლე სჯულისა თვისისა, ნათელი იღო და იქმნა ჭეშმარიტ ქრისტიანე, რომელი ქვემოთ სიტყვა მან საცნაურ ჰყოს: დალოცვითა და ითაყვანა დარბაზის ყმად უმცროსი შვილი მისი იოანე და გააჩინა და უბოძა ჭიბერს მანდატურს უხუცესობა და მისცა არგანი ოქროსა ხელთა მისთა და შთააცვეს საკრამანგი ტანსა მისსა და დასვეს სელებითა ოქროჭედილებითა, რომელნიმე მარჯვენით მისსა, და რომელნიმე მარცხენით, კვალათ უბოძა მეჭურჭლეთ უხუცესობა დიდ გვარიანსა კაცსა – კახაბერსა ვარდანისძესა, და მსახურთ უხუცესობა ვარდან დადიანსა, და ჩურჩერახობა

მარუშიანსა ძესა ჩურჩერახისასა, ვინაცა მათ ორთავე მამა მოხუცე-
ბული იყო და დასდვა პატივი მამას მათსა და დასხნა სასწაულითა
და მისცა ამილახრობა გამრეკელსა თორელსა, რომელნი შემდგომად
სარგის მხარგრძელისა – ამირსპასალარად იქმნა.

სარგის თმოგველის ვინაობის შესახებ ბევრნაირათ შეიძლება
ვიფიქროთ, რადგანაც ჩვენი ისტორია ხშირათ სცდება გვარ-ტო-
მობის და სარწმუნოების გარჩევას და განთვისებაში, მაგალითებრ:
ძველს ჩვენს მემატიანეთ ქართველათ მარტო ისინი სწამთ, ვინც
მეოთხე მსოფლიო კრების გარდაწყვეტილებას აღიარებდნენ.
ვინც ამის წინააღმდეგი იყო, ის ქართველათ არ სწამდათ. ზემოთაც
ვსთქვით და აქაც ვიტყვით, რომ საქართველოში ერთობ დიდი რიცხ-
ვი დარჩა ქართველთ ძველს სარწმუნოებაზე, ესენი მეოთხე მსოფ-
ლიო კრებას არ მიეკარნენ, ამიტომ მოემწყვდნენ ჰაოსიანთ ეკკლე-
სიის გავლენის ქვეშ, ამის მეოხებით უკანასკნელ ესენი ქართველთ
გვარ-ტომობისაგანაც განთვისდნენ, თვით კახეთიც-კი ამ სარწმუნოე-
ბას აღიარებდა. მეცხრე საუკუნეში იქმნენ დაკავშირებულნი უკანასკ-
ნელ მსოფლიო კრების გარდაწყვეტილებაზე. ასე რომ სარგის თმო-
გველი, სომხათ წოდებული, არის მხოლოთ სარწმუნოებით სომეხი
და გვარ-ტომობით-კი ქართველი, მაგრამ ჟამთა ვითარებამ და ეკკ-
ლესიამ იგინი სრულიად განთვისა ქართველთაგან, გარდაქმნა სხვა
ტომის და მოდგმის მომდევრათ. დღეს სარგის თმოგველს და
მისს შვილებს უბრალოთ აღიარებენ ჰაოსიანათ, იგინი ნამდვილ
ქართველ ტომისა იყვნენ, მხოლოდ სარწმუნოება ეკავათ ძველი და
წესიცა; – ნიშნები ამისა დღესაც დიდია ჩვენში.

ცხადათ სჩანს სარგის თმოგველის და მის თანამედროვე ქა-
რთველთ ცხოვრებიდგან, რომ იმ დროის თავადები არ გვანებულან
დღევანდელ თავადებს. მაშინდელი თავადი იყო რომელიმე კუთხის
ერისთავი, გამგებელი, მასთანვე წინამძღვარი, ამის გარდა იფი უნ-
და ყოფილიყოს მწიგნობარი კაცი, მცოდნე იმ დროის საბერძნეთის
ძველი და ახალი მეცნიერების, საქართველოს ისტორიის სხვა-და-
სხვა ენების მცოდნე, ძველი ფილოსოფიის და მასთანვე სამეფოს და
ერის ერთგულიც. ვისაც ყველა ეს ღირსებითი მხარეები აკლდა და
არ ჰქონდა, ის არაფერი იყო და არც სახელოვნებდა, ეს რომ ასე
არ ყოფილიყო, დარწმუნებული უნდა ვიყვნეთ, რომ მაშინ საქართ-
ველოს სამეფო ვერ აღვიდოდა იმ ძლიერების წერტილზე, სადამ-
დისაც იგი აღვიდა, რომ მის გამგეთ უმაღლეს თავადისშვილებს
ხსენებული ღირსება ჰკლებოდათ, მათ არ ჰქონოდათ სახეში თანამემ-
ძულეთა წინ-სვლის და წარმატების ნატვრა, ვისაც-კი ვხედავთ ჩვენს
ძველს ისტორიებში აღწერილებს, ყველა ისინი არიან ქვეყნის კა-
ცები, შრომის და ერის სიყვარულით განსპეტაკებულნი, საყოველ-
თაოდ საქართველოს სამეფოს ბედნიერების მეძიებელნი. სქორედ
ასეთსავე დასს ეკუთვნის სარგის თმოგველი, ზაქარია გამრეკელი
და მრავალნიც იმ დროის სხვა გვამნი ქართველთა.

ჩვენდა საუბედუროდ, ამ ბედნიერებამ დიდ ვერ გასტანა ქართველთ შორის, თამარ მეფის შემდეგის დროებამ სამეფო საქმეების ძალამ სხვაფერ იწყო მიმდინარეობა. ქარველთ სწამდათ საკვირველმოქმედება, თვის ბერებთა სიწმინდე, უმანკოება, ეკკლესიათა შენების ღვთიური მნიშვნელობა, ყველა ქართველს თავის თავი მაღლის შვილათ მიაჩნდა, ყველა ცხონების გზაზე იდგა, ყველა სულის საქმის გზაზე იყო დამდგარი, ყველა იმიერ სოფლის საქმის დრტვინვას ემსახურებოდა, ყველას თავის საუკუნო ცხონების საქმე ენატრებოდა... მალე მტერთა იწყეს ჩვენს სამშობლოზე შემოსევა, თავ-დასხმა, ქართველთ შეწუხება და ათასნაირი უბედურებანი, რასაც ჩვენ ვერ მოვსთვლით. საქე ისე მოიმართა, რომ ბევრმა იწყეს მტრის მეგობრობა, ესენი ემხრობოდნენ ადვილად მტერს და საჩუქრებისა და ხალათების მეოხებით მტერს ყოველნაირ დახმარებას აძლევდნენ, მეფეებს აღარ ეპოებოდნენ, რაც სურდათ მას შვრებოდნენ, ასეთი წოდების გამრავლება იყო ჩვენი სამშობლოს დაღუპვა და დანაცრება. ასეთ გვამთაგან შორს მდგარან მხარგრძელნი და გამრეკელნი და ამიტომ ესენი ჩვენს ისტორიაში დიდის დიდებით ბრწყინვენ. ნამეტურ ზაქარია გამრეკელი, მიწის მგელი თუ ლომი. ზოგნი უწყიან, რომ გამრეკელნი ძველათ მხარგრძელათაც იწოდებოდნენო.

როგორც სჩანს, სარგისს მუდმივი ცხოვრება თმოგვში ჰქონია, მიტომაც უწოდებიათ თმოგველი. ამის შვილები-კი ასე არ იწოდებიათ. სარგის თმოგველის სიკვდილის შემდეგ თმოგვში სრულათ მოისპო ამ გვარის წევრთა მეუფროსობა, სარგისის ძენი ლორის მთავრებათ იქმნენ დანიშნული და თმოგვის გამგეთ, სარგისის მაგიერ, ვარამისძე იქმნა დადგენილი.

სარგის თმოგველს დიდი შრომა მიუძღვის დასავლეთ საქართველოს გამაგრებაზე, ამ მხრის მოსამზღვრეთ მუსლიმანთა ალაგვმაზე. ნამეტურ ამას გაუმაგრებიათ კარი და მის ქართველნი ბრძოლაში; ამის შრომას „ქართლის ცხოვრება“ დიდის პატივით გარდმოგვცემს, ნამეტურ მისი გარდაცვალება დიდის მგლოვიარებით არის მორთული. კარგათ სჩანს, რომ სარგის თმოგველს დიდათ ჰყვარებია მესხნი. მესხეთის ყველა საგმირო შემთხვევებში სარგის თმოგველი მთიებათ სჩანს. ამ გვამის მოღვაწეობის შესახებ არამც თუ მარტოთ ჩვენი მეისტორიენი მოგვითხრობენ რამეს, არამედ იმ დროის სომხის და ვიზანტიის მწერლებიც. განსვენებულის დ. ბაქრაძის სიტყვით, სარგის თმოგველის საფლავი დღვანდლამდის შენახულა მათს საკუთარ თმოგვშიო. – თმოგვი დღესაც ვარძიის ახლო სძევს, დღეს იქ თათრები სცხოვრებენ.

ჩვენ აქ დაჟინებით არ დავიწყებთ სარგის თმოგველის განდიდებას, იმ დროის დიდებულთა წოდება ხამი არ იყო რიგიან მამულიშვილენის წარმოშობას, მაშინ ბედნიერის ქართველთ შვილებით სავსე იყო საქართველო; ამ აღსავსებამ დაბადა ქართველებში

წინ-სვლის ნატვრა, ქადილი. რიგიან გვამთა მეოხებით ქართველებ-
მა წინ-სვლა იწყეს. ქართველ ერში წინ წავიდა მწიგნობრობის სი-
ყვარული, ტრფიალება და მის აღორძინება. მაშინ თავად-აზნაურობას
როდი ჰქონდა მითვისებული უცხო, გარეგანი სახე და მედიდურება,
მაშინ ამათ თავიანთ თავი მოწინავე პირებათ სწამდათ, ამიტომ
ყველა საქმეშიაც ფრთხილნი იყვნენ და შემცნებულნი, საერთოდ
ყველას მოყვარე და ყველასაც იგინი უყვარდათ. ამათის წაქეზებით
იმ დროის გლეხთა შორის გავრცელდა ბევრი რამ ცოდნანი.

ქართველთა გლეხებმა ჯერეთ XI საუკ. საქართველოში დახსნეს
საპნის ქარხანები, სამთლის, ზეთის. გაფართოვდა მათში მიწის-მზო-
მელობა, მემანდლობა, ვეიქრობა, ყაზაზობა, ხარატობა, მხატვრო-
ბა, ზეინკალობა, გზის მკეთებლობა, ტინი-კლდეების ნგრევის ოს-
ტატობა, არხების გაყვანა, დიდი რუების, ციხეების კეთება ოსტა-
ტურათ, კომპეების, გალავნების, მონასტრების და ეკლესიების. ეკ-
ლესიების გუმბათების კეთება ვიზანტიის ეკლესიის გემისაგან
განსხვავდა, მან თავის საკუთარი სასე მიიღო; ამ განთვისებამ მა-
ლე მხატვრობაშიაც იჩინა თავი და საქართველოში გაჩნდნენ მხატვ-
რები, რომელნიც სრულიად განთავისუფლებულნი იყვნენ საბერძნე-
თის მხატვართ ზე-გავლენისაგან, ყველა ამაებთან წინ წავიდა ერ-
თად ექიმობაც, დოსტაქრობა, ქართულს ენაზე „კარაბადინების“
თარგმნა: ამ დროს ითარგმნა არაბულის ენიდამ ვრცელი „კარაბადი-
ნი“ ვიდაც ხოჯა ყოფილის მიერ თამარ მეფის ბრძანებით. მევენა-
ხობა, მეურნეობა და საქონლის მოვლის და გამრავლების მნიშვნე-
ლობა და შნოც გამორკვეულ ჰქონიათ იმ დროის ქართველთ; ყვე-
ლა ამა საქმეთა წარმატების მნიშვნელობის შედეგად მათთვის და-
ფარული არ ყოფილა.

ყველა ამ წარმატებასთან ერთი დიდი ღირსება ჰქონდათ კი-
დეც იმ დროის ქართველთა გლეხებს, მაგალითებრ: „იმერთა და
ამერთა მოყმეთასა, რომელი ხმა იყო ძველითგან გოლიათ-
თა და ჭაბუკთა ომად, რომელთა ზედა მოვიდოდის სიმწვავე-
ნი დამკვეთებელნი ისართანი, მფეთებელნი ხრმალთანი, და
მხეთქებელნი ოროლთანი“ და სხვანი. ყველა ეს იყო გლეხთა შო-
რის გავრცელებული მიტომ, რადგანაც იგინიც იყვნენ ფხიზელნი,
მკაცრი მეძიებელნი თვის პირად უფლებათა. რასაც იგინი დიდებულ-
თა შორის ხედავდნენ, იმასვე მისდევდნენ თვითონ და ისევე ირაზ-
მებოდნენ, თვით დიდებულთაც კარგათ ესმოდათ. ესენიც ცხადათ ამჩ-
ნევდნენ იმ ვითარებას და იმასაც, რომ თუ ქართველთ შორის მტკი-
ცე ერთობა არ იქმნება დამყარებული, თუ დიდსა და პატარას შუა
გამცნებული სიყვარული არ იქმნებოდა აღფრთოვანებული, უამი-
სოთ ქართველი არ დარჩებოდა და მტერთაგან განადგურდებო.
ქვეყნის ავი და კაი საქმეების ვითარება კარგათ ესმოდათ მათ და
ამიტომაც საყოველთაოდ და ყველგან შესემნილის წესდებით მოქ-
მედებდნენ და ისე იფარავდნენ საქართველოს. როგორც სჩანს, სწო-

რეთ ერთ ასეთ შესმენილ გვამთაგანი ყოფილა სარგის თმოგველი, იგივე მხარგრძელათაც წოდებული და ძველათ-კი ვითომც არღუთა-შვილები!

მაშინდელ ქართველთ დიდებულთა შორის ერთგულემა, გლეხთა შორის დიადობა, სამეფოს ბედნიერების ნატვრა და ქართველთ ტომის დღეგრძელობა უფრო იმიტომ იყო გავრცელებული, რადგანაც იმ დროის ქართველთ დიდებულეთ შორის დიდათ იყო გავრცელებული მწიგნობრობა. მათ შესწავლილი ჰქონდათ უმაღლესათ შველა სამეცნიერო და ფილოსოფიური კითხვები, რასაც-კი საბერძნეთში, ან საქართველოს სასწავლებლებში ასწავლიდნენ. ამას გარდა იცოდნენ სხვაც ბევრი რამ სამხედრო და საერო ცოდნანი, მათ დიდათ სწამდათ მაღალი ზნეობა, ნამუსი, კაცთა შებრალება, გლახაკთ მწეობა, ღვთის და ეკკლესიის უზომო პატივისცემა, რასაც თან სდევდა ყოველთვის დიდი ქრისტიანობრივი კრძალულება, ნამეტურ განდევნილური მიმართულება; ის გვარი უბედურათ ითვლებოდა, რომელ თავადის გვარიდანაც ერთ-ერთი გვარის წევრი ბერათ არ შეიმოსებოდა, ამიერ ცხოვრების სანაცვლოთ მწიგნობრობას და სამღთო საქმეს არ მიეცემოდა. ეს ლტოლვა იყო, რომ მაშინ ყველა უმაღლესის გვარიდგან თითო და ორ-ორი წევრნიც-კი მიდიოდნენ ბერათ და მით სულიერს სამსახურს ეძლეოდნენ. იცოდნენ აგრეთვე, რომ სამეფოში გლახაკთ მწეობა მეფეებთა წინაშე პირველს დარგზე უნდა მდგარიყოს, ამიტომ ყოველი იმ დროის ქართველთ მწერალთაგანი, სასულიერო უმაღლესი პირი თუ დიდებულთაგანი საყოველთაოდ გლახაკთ მწეობას ამუდარებდნენ ქართველ მეფეებს, მაგალითებრ: როგორც ევედრებიან თამარ მეფეს შოთა რუსთაველი, შავთელი, ჩახრუხაძე და ზოგიერთ მღვდელ-მთავრებიც. ასეთ აზროვნების გვამთა დასს ეკუთვნის სარგის თმოგველიც, რომელსაც თავის ნიჭიერების სამახსოვროთ და იმ დროის ქართველთ სამეფოს სადიადოთ დაუწერია მოთხრობა „დილარიანი“, რომელ მოთხრობაც იმავე დროსვე გამხდარა დაწვრილებით ცნობილი თვით თამარ მეფის წინაშე და მასთან მთელს ქართველობასაც სიამოვნებით გაუცვნია იგი.

ამ მოთხრობას და სარგის თმოგველს თავის დროის ქართველებზე დიდი ზეგავლენა მოუხდენიათ, მოთხრობისთვის ყურადღება მიუქცევია თვით მეფესაც, დიდებულთა და მცირებულთაც, მწიგნობრებთა შორის ცნობილ გამხდარა და მასთანვე საქებარიც, რადგანაც ამ მოთხრობას უკვდავი რუსთაველიც მოიხსენებს ასე: „დილარგე – სარგის თმოგველსა, მას ენა დაუშრომელსა“. დიდებულის რუსთველის სიტყვიდგან სჩანს, რომ „დილარიანი“ ღირსეული ნაწარმოები უნდა ყოფილიყოს, თორემ „ვეფხვის ტყაოსნის“ დამწერი არ იტყოდა: რომ სარგისი ენა დაუშრომელია და მან „დილარიანი“ დასწერაო. სჩანს, რომ ამ უცნობი მოთხრობის კითხვა თვით უკვდავს მოთა რუსთაველსაც ჰყვარებია, სჩანს მის წინაშე ეს

მოთხრობა დიდის მნიშვნელობით აღმოჩენილა, რომ რუსთველსაც ღირსი გაუხდია მის სახელისთვის უკვდავ „ვეფხისტყაოსნის“ ბოლოში შთასაწერათ. „დილარიანის“ მნიშვნელობა, რომ საკმარისის ზომით არ ყოფილიყოს აღორძინებული, უამისოთ არა მგონია, რომ მისთვის შესანიშნავს „ვეფხისტყაოსანში“ შოთა რუსთაველს ადგილი დაეთმო და თავის მარგალიტის ბაგიდგან თუნდ შვიდიოდ სიტყვა ეთქვა.

სარგის თმოგველი რომ ნიჭიერებით უნდა ყოფილიყოს სავსე და ამ ნიჭიერების მაღალი ზე-გავლენა არც მის „დილარიანს“ უნდა ჰკლებოდა, ესა სჩანს ანტონ კათალიკოზის იამბიკოდამაც. ანტონ კათალიკოზი თავის იამბიკოს შენიშვნას სარგის თმოგველის ნიჭიერების და სიბრძნის შესახებ შოთა რუსთველის მოხსენებულს ცნობაზე აფუძნებს და თამამათ ამბობს შემდეგს:

„სარგის ესეცა შოთაებრ არს კაცი,
სიბრძნის მოყვარე, ფილოსოფოს გამომთქმელ,
ორატორ მშვენიერ, პიტიკოს საქებელ,
თვით შოთა იტყვის „დილარგეთს“ უქია მას,
საქებ არს ესე, თქმულთა მათთვის მიზეზთა“.

ვფიქრობ, რომ ანტონ კათალიკოზს სარგის თმოგველის და მის „დილარიანის“ შესახებ შოთა რუსთველის ცნობებს გარდა სხვა ცნობებიც უნდა ჰქონოდა რამე, რაც „დილარიანს“ და მის დამწერს ღირსად ხდიდა „წყობილ-სიყვობაში“ ჩართვისა და ქებისას, თორემ უამისოთ ეს მღვდელ-მთავარი მას არაოდეს არ აქებდა, რადგანაც იგი იყო მკაცრი მეძიებელი ქრისტიანობისათვის, ქრისტიანობისთვის იგი უკვდავს შოთა რუსთაველსაც-კი ჰკიცხავს „წყობილ-სიტყვაობაში“ და თამამათ ამბობს, რომ „შოთა ამაოთ დაშვრაო“.

მაშ აზა სარგის თმოგველზე რაღას იტყოდა ფარსაგს, მისთვის სულ მცირე ცნობაც კმაროდა გმობის და ძაგებისთვის. ძველი მწერლების, შოთა რუსთაველის სიტყვით და ანტონ კათალიკოზის იამბიკოს ცნობით სარგის თმოგველი ყოფილა ბრძენი კაცი, ფილოსოფოსი, პიტიკოსი, მშვენიერ გამომთქმელ, რომელსაც დაუწერია მოთხრობა „დილარიანი“, რაც იმ დროის ბრძენ ქართველთაც უქიათ.

რა იყო ეს მოთხრობა, როდის დასწერა სარგის თმოგველმა, სად და რაზე? – ამის კარგათ არა ვიცით-რა. არის-კი მოხსენებული ერთი ცნობა ჩახრუხადის ლექსში, რომელიც შეეხება სარგის თმოგველს და მის „დილარიანს“. –

„მოუბარისა, მის მდუღარისა,
დილარისაგან აღშფოთებულად“.

ჩახრუხადის მოხსენებიდგან სჩანს, რომ „დილარიანს“ თამარ მეფე აღუშფოთებია! ამ აზრს ზოგი ძველი მწერალნიც ამბობენ ექვს გარეშე, რომ სარგის თმოგველისაგან მდუღარებით მოთხრობილმა „დილარიანმა“ საკმარისათ აღაშფოთა თამარ დედოფა-

ლიო. რა იყო ამ მოთხრობაში აღწერილი და განმარტული, რომ მან აღაშფოთა თვით თამარ მეფეც? – ჩახრუხადის ცნობა თუ მართალია და თამარ მეფე სარგის თმოგველის „დილარიანმა“ აღაშფოთა, უნდა ვიფიქროთ მაშ, რომ იგი აღშფოთება არ უნდა იყოს უმნიშვნელო, ჩვენს ისტორიაში მას ფართო ადგილი უნდა დაეთმოს, რადგანაც ასეთი საქმის და წიგნის დაწერა სარგის თმოგველისაგან გვირგვინოსან მეფის წინაშე ადვილი საქმე არ იქმნებოდა. მხოლოდ ამ წიგნის დაწერას და მის ისტორიას კარგათ გაცნობა უნდა, დაახლოვებით გამორკვევა.

კარგათ არ სჩანს, თუ სარგის თმოგველის „დილარიანი“ რას შეიცავდა, რა იყო მასში აღწერილი, რა გახდა თამარის აღსაშფოთებლათ, მთელი წიგნი, წიგნის ერთი რომელიმე ადგილი, ცნობა თუ ან სხვა რამ. ამის გაცნობით ნათლათ შეიძლება გაირკვეს იმ დროის ქართველთ სამეფოს მართლმსაჯულებითი მხარეები, მასთან პიროვნული, იურიდიული, ზნეობრივიც და სარწმუნოებრივიც. ჩვენში ჯერ-ჯერობით ბევრი რამ არის გაურკვეველი და ამ გაურკვეველობას უფრო რეეს ის გარემოება, რომ ჩვენი ძველნი მკვლევარნი სულ სხვა და სხვა ნაირათ ხსნიან ცნობებს და სხვა და სხვა ნაირათ ასხვაფერებენ ისტორიულს საბუთებს. ვფიქრობთ, რომ „დილარიანს“ რომ თამარ მეფე აღშფოთებინა, გვირგვინოსან მეფის აღშფოთება დაფარულათ არ დაშთებოდა, მას ხალხიც შეიტყობდა და მით უმეტეს ქართველ მწიგნობრები და მწიგნობრებთ შორის გამოჩენილი შოთა რუსთაველიც. უამისობა არ შეიძლებოდა; ამ აღშფოთების მოხდენის შემდეგ მე არა მგონია, რომ რუსთაველს „დილარიანი“ ასე თამამათ მოესხენა „ვეფხის ტყაოსანში“.

„დილარგეთ – სარგის თმოგველსა, მას ენა დაუშრომელსა“.

აშკარა საქმეა, რომ მეფის აღშფოთება შოთა რუსთაველისთვის არ იქმნებოდა უმნიშვნელო, იგი ამას დიდის მნიშვნელობით შეხედავდა. მეფის წინაშე აღმაშფოთარ წიგნის შესახებ ვერას იტყოდა, ვერ გაბედავდა. ასე რომ ამ წიგნის ისტორიას ცალმხრით ვემორჩილებით. ვსწერთ იმას, რაც ვიცით მის შესახებ, მაგრამ ჩვენ-კი არას უმატებთ, ჩვენს დასკვნას არას ვაძლევთ. შოთა რუსთაველის და ჩახრუხადის თქმით სჩანს, რომ სარგის თმოგველს „დილარიანი“ ზემოხსენებულ პირთა ნაწერების წინეთ უნდა დაეწეროს, რომ ვსთქვათ, უფრო მოსე ხონელის დროს, რადგანაც სარგის თმოგველი იმდენათ თამარ მეფის დროის პირათ არ იგულისხმება, რამდენიც მის მამა-პაპის.

„ვეფხის ტყაოსნის“ გაგრძელების დამწერი, ნანუჟა ციციშვილი, თუ სხვა ვინმე აღმწერი, ვისაც-კი დაუწერია „ვეფხის-ტყაოსნის“ გაგრძელება და რომელ დამატებაც 1880 წ. „ივერიაშიაც“ დაიბეჭდა, – ერთ ალაგას „დილარიანის“ შესახებ აი რა ტაეპია მოყვანილი.

„ეს ამბავი დარჩომოდა სარგის ლექსთა შეუწყობლად,

აგრევ თმოგვი თმოგველთაგან შესავლითურთ დარჩა ოზლად,
ესე სიტყვა მოახსენეს, ვინ სჩანს გმირთა რაზმთა მწყობლად,
და მიბრძანა: თუ ლექსად თქვიო, მჭევრ ქართულად დაუმრომლად“.

რას მოასწავებს ტაეპი სარგის თმოგველის შესახებ, რა გამოიხატება აქ, მკითხველი თვით მიხვდება მას, იგი ჩემს ახსნას და განმარტებას არ საჭიროებს; – ის-კი სჩანს, რომ ხსენებულს ტაეპს „ვეფხის-ტყაოსანთან“ და სარგის თმოგველის „დილარიანთან“ არაფერი კავშირი სენდა ჰქონდეს. მცირეთ ახსნა რომ გაუკეთოთ ამ ტაეპს, მაშინ გამოიხატება შემდეგი: ეს ამბავი, რომელიც მე ნანუჩა ციციშვილმა გავლექსეო, სარგის თმოგველს შეუწყობლად, გაულექსავად დაშთენოდაო, ამის ამბავი თამარ მეფეს მოახსენეს, მან მე მიბრძანა და მეც მის ბრძანებით გავლექსე მჭევრ ქართულითა. მაგრამ საიდან სადა, წმიდა საბა, აქ ყველაფერი არეულ-დარეულია: „დილარიანი“, შოთა რუსთაველი, მის გაგრძელება და სარგის თმოგველი!

როგორც სჩანს ძველი ცნობების და ლექსებიდან, „დილარიანი“ პროზათ უნდა იყოს ნაწერი, იქმნება შიგა და შიგ, აქა-იქ, ლექსებიც ჰქონდა, შემოკლებულნი, გმირებთა მარტივით დასახასიათებლად, აზრთა მკვირცხლათ გამოსახატავათ, ხოლო მთელი „დილარიანი“ კი ლექსათ არ შეიძლებოდა რომ ყოფილიყო დაწერილი. ჩვენ უეჭვოთ გვწამს, რომ სამი კარი „დილარიანის“ უნდა იყოს ნაშთი სარგის თმოგველის ნაწერის, მხოლოდ ამასაც დაჰკარგვია თავის პირველ-სახეობა, სხვა-და-სხვა გადამწერთაგან სრულიად გადაგვარებულა, რადგანაც ეს სამი კარი ძველათვე რაღაც ბედზედ ერთ გადამწერს „ამირან-დარეჯანიანის“ ბოლოზე მიუწერია და შემდეგ დროებში ეს ხელთ-ნაწერი ზოგი ერთ გადამწერთ „ამირან-დარეჯანიანი“ ჰგონებიათ, და მიტომ შიგა და შიგ აქა-იქ მოსე ხონელის მოთხრობის გმირთა სახელებიც შთაუწერიათ. ორი მოთხრობის გმირთა სახელები აურევ-დაურევით ერთმანეთში; დღეს მკითხველს ეგონება, რომ ეს სამი კარი „ამირან-დარეჯანიანის“ გაგრძელებათ არის დაწერილი ვინმე სარგის თმოგველისაგან და არა „დილარიანი“. მაგალითებრ: ამ ნაშთის პირველი კარის ანუ XI კარის დასაწყისი ასე იწყება: – „ოდეს მეფესა ხაზართასა დაეპყრნეს ყოველი ქვეყანა სიმხნითა და სიქველითა თვისითა, ყოველნი მონებდნენ, უძრწოდეს ყოველნივე გარემონი მეფენი, რომელნიც თვითოეულად აღწერილ არს სარგის თმოგველისაგან სიმხნენი და გოლიათობანი სიჭაბუკისა მისისანი“.

ჩვენ არ უწყით, თუ ვის ვაკუთვნოთ ამ სიტყვების დაწერა, თვით სარგის თმოგველს, თუ სხვას, გადამწერს, ვისაც შემდეგ გადაუწერია ეს სამი კარი და თავისით მიუწერია მოხსენება ამ სამი კარისათვის. მე რომ ავხსნა განმარტებით, ეს არ არის საჭირო, ისევ ის სჯობია, რომ მკითხველი დააკვირდეს, შეხედოს ცნობას, გაიცნას „დილარიანის“ ამბებთა აღწერის წესდება, და-

აკვირდეს ენის წესს და მერე მან შეადგინოს თავისი დასკვნა ამის შესახებ. თვით მეთერთმეტე კარის დასაწყისიდან ცხადათ სჩანს, რომ ეს სამი კარი არის ნაწილი მხოლოდ რომელიმე მოთხრობისა, მაგალითებზე, მეთერთმეტე კარის დასაწყისი აი როგორ იწყება „ამას უსწორსა, დიდსა, ძლიერსა, მოწყალესა და სახელოვანსა ხელმწიფესა ეწვია სნეულება დიდი და გარდაიცვალა ამიერ სოფლით“. ცხადათ სჩანს, რომ ხსენებულ წინადადების „ამა უსწორს“ და სხვათა სიტყვებით აღწერილს მეფის ცხოვრება ხსენებულ სიტყვების წინეთ უნდა იყოს აღწერილი, გაცნობილი და უკანასკნელ გარდაცვლილი კიდეც. თორემ ასე უცაბედათ მისი ასე დაწყობა შეუძლებელი იქმნებოდა, მეორე – ამასვე ასაბუთებს ისიც, რომ ეს თავები არის მეთერთმეტე, მეორმეტე და მეცამეტე, იქნება, „დილარიანის“ უკანასკნელი თავებიც არის, ვინ იცის. ამ ხელთნაწერს, ერთი გადამწერი შენიშვნას აძლევს ასე – „ამ ჯიშშიერ ხელმწიფის ამბის დაწერა მოსე ხონელს არ ეკუთვნის, ეს მოუგონებია და ზედ მოუჭორებია ვიღაც ქრცხინვალელს კაცს, გადამწერს“. ვინ აუწყა ამ პირს ამის სიმტყუნე, ცხადი საქმეა, რომ თვით მოსე ხონელის მოთხრობამ, რომელთანაც „დილარიანის“ ამ სამს კარს არაფერი კავშირი აქვს.

ჩვენ როგორც ვნახეთ, „ამირან-დარეჯანიანის“ ხელთნაწერის ბოლოს – მეორმეტე კარის შემდეგ ადგილების ვარიანტთა მნიშვნელობა მივეციტ და „ამირან-დარეჯანიანის“ ბოლოში მოვათავსეთ. მკითხველს მივეციტ საშუალება, რომ მათ იქონიონ მხედველობა, დააკვირდნენ კითხვის დროს, შეუდარონ ეს დამატება „ამირან-დარეჯანიანის“ იმ ადგილებს, რომელნიც ერთი-მეორეს შეეხებიან და იგინი ერთ საგანთა აღწერასაც უნდა წარმოადგენდნენ. მკითხველი კარგათ მიხვდება და შეიტყობს, რომ მათ შორის არაფერი საერთო სუფევს, იგინი სულ სხვა და სხვა საგანთა აღწერას წარმოადგენენ, მხოლოთ აქა-იქ მოხსენებულია თითო-ოროლა რამ სახელები და ცნობები, რომელნიც „ამირან-დარეჯანიანის“ სახელებს და ცნობებს წააგავს, ამას გარეშე მათში საერთო არაფერია, მიზეზი ის გახლდათ, რომ ეს ადგილები „ამირან-დარეჯანიანის“ ბოლოსაც დავბეჭდეთ, ამით შევიტყვეთ და დავინახეთ კარგათ, რომ ამ აღწერას და „ამირან-დარეჯანიანის“ აღწერათ ადგილებს შუა არაფერი კავშირი არსებობს ასე და ამ გვარათ, ერთი სხვა ნაწარმოებია და მეორე სხვა, მათში საერთო არაფერია.

ამიტომ ჩვენ ეს ადგილები ახალს „დილარიანისაც“ შეუდარეთ და შეუთანასწორეთ, რომელ „დილარიანიც“ მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს აღუდგენია ცნობილს გვამს პეტრე ლარამეს. პეტრე ლარამე ქართულს ძველს მწიგნობრობაში ზოგ ალაგას ყარიბს უწოდებს თავის თავს და ზოგს წერილებში არტანუჯელათ მოიხსენებს, მაგალითებზე: – „არტანუჯელი პეტრე ლარამე“ და ყარიბათ-კი ლექსებში იწოდება უფრო, რადგანაც მას უც-

ხოობაში ყოფნის დროს ბევრი ლექსებიც უწერია. მას დაუწერია ვრცელი ტომი ლექსების, ზოგი თვის და ზოგი სხვებს, რომელ ლექსთა კრებულსაც „მრავალ ყვავილოვანი წალკოტი“ ეწოდება და რომელ ხელთ-ნაწერიც „წერა-კითხვის“ სამმართველოს წიგნთ-საცავშიც ინახება. ამავე პირს ეკუთვნის გარდაკეთება „ვეფხის-ტყა-ოსნის“, მაგალითებრ: „ვეფხის-ტყაოსანში“ ნახმარი – მომეცი მიჯ-ნურთ შეტრფობა“, – მიჯნურთ მაგიერ ამას „კეთილი“ აქვს ნახმა-რი, ასევე შეუვსია და გადუკეთებია საბა ორბელიანის ლექსიკონი, რომელთ ხელთ-ნაწერებიც დიმიტრი ბაქრაძეს აქვნდა ადრე, ეს წიგნები მას დასავლეთ საქართველოს ქართველ კათოლიკეებში მო-პოვნა, თვით პეტრე ლარაძის ხელით ნაწერი.

პეტრე ლარაძე, მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს, მეფე ერეკ-ლეს კარზე „წიგნთ-საცავის“ გამგეთ ყოფილა. ეს ყოფილა ზედ-მიწევნით მცოდნე ძველის და ახლის ქართულის მწიგნობრობის, და მასთანვე ყოფილა დიდი მეხსიერების კაცი, ნიჭიერი და ნიმუში ცუკია ფილოსოფოს დავით რექტორის. ამის დროს ქართველთ სა-მეფო „წიგნთ-საცავში“ ინახებოდა ძლიერ ბევრი ძველი ქართული ხელთ-ნაწერი წიგნები, ბევრი მათში დიდათ იშვიათი ხელთ-ნაწე-რიც ყოფილა; სხვათა შორის, აქ ყოფილა შენახული XII საუკუ-ნის ნაწარმოები „დილარიანი“, რომლის ხელთ-ნაწერიც მაშინვე ერ-თობ იშვიათი იყო. ამ იშვიათ „დილარიანის“ კითხვა ძრი-ელ ჰყვარებია პეტრე ლარაძეს, იგი თურმე ამ ხელთ-ნაწერს ხშირათ კითხულობდა, ისე, რომ უკანასკნელ წიგნი მან ზეპირათაც-კი და-იხსომა. მაშინ ამ წიგნის მთელს საქართველოში მხოლოდ ერთი სრული ხელთ-ნაწერი ყოფილა დაშთენილი, ამ წიგნის კითხვა ბა-ტონიშვილებსაც დიდათ ჰყვარებიათ. მაშინ ყველამ კარგათ იცოდა, რომ ხელთ-ნაწერი „დილარიანი“ სარგის თმოგველისა იყო.

ზოგთაგან თქმულა ძველათვე, რომ ვითომც არც ის ხელთ-ნაწერი იყო ძველი ხელთ-ნაწერი, ვითომც იგიც შმდეგ საუკუნოებ-ში აღუდგენიათ სხვათა ქართველთა, ნიშნათ და სამასსოვროთ ძვე-ლის „დილარიანისა“, ვითომც XII საუკ. „დილარიანი“ ძველათვე დაიკარგა ისე, რომ მის ნატამალიც არ დარჩაო. ეს ჩვენ არ გვჯე-რა, საეჭვოთ მიგვაჩნია, თუმცა ისიც ცნობილია, რომ ქიმნება თა-მარ მეფის აღშფოთებამ დაუდო სამზღვარი ძველს „დილარიანს“ და მიტომ მოისპოვო, მაგრამ ჩვენ არ გვჯერა, რადგანაც „დი-ლარიანის“ არსებობის ცნობები XIII საუკუნეიდანამაც-კი სჩანს. ეჭვ გარეშე ვამბობთ, რომ XVIII საუკ. „დილარიანი“ იყო ხელთ-ნა-წერი ნამდვილის ძველის XII საუკ. „დილარიანისა“. აქ ჩვენს სა-ოცრათ ერთი ის შთება, რომ საქართველოში ისე არც ერთი ძვე-ლი წიგნი არ გადიწერებოდა ხოლმე იშვიათად, როგორც „დილარია-ნი“ და „სავანე გმირთა“. საოცარია ჭეშმარიტად ამ ხელთ-ნაწერთა ხალხში გაუმრავლებლობა და ერთათ ერთობით დაშთენა! რატომ მოხდა ეს, რამ შემოფარგლა ამ წიგნის ასეთი ბედი და

გარემოება, რომ საქართველოში ქართველთაგან იგი არ გადაწერებოდა ისე მრავლად, როგორც სხვები. ალბათ მოთხრობა არ იყო ისრეთის შინაარსის, რომ მას ყურადღება მიეპყრო სხვათა და სხვათა გადაწერათაგან. იქნება ღირსიც იყო გადაწერის და მრავალთა გადაწერეს კიდევ, მაგრამ ჟამთა ვითარებამ ჩვენ დრომდის არ მოაღწევინა, ყველა იგი ხელთ-ნაწერნი მოისპნენ მტრის ცეცხლის და მახვილისაგან, რაც ამათ გადარჩა, ის გრძელი ხნის მიმდინარეობის სინოტიემ დააღპო და მოსპო.

1795 წ. შემოსევამ ბევრს მწერლობითი ნაშთს მოუღო ბოლო და ერთ ამ მრავალთაგანი არს „დილარიანის“ ხელთ-ნაწერის მოსპობა. ამ უბედურობის დროს, სამეფო პირთ, სამღვდლოთ და ხალხსაც მთლად დაავიწყდათ სამეფო წიგნთ-საცავის ვითარება, იგი სრულიად უყურადღებოთ დასტოვეს, მისთვის აღარავის სცალოდა, ყველა თავის გადარჩენის საქმეს ელტვოდა, მაშინ სამეფო წიგნთ-საცავი სალაცხოზე ყოფილა, ერთს დიდს სასახლეში, აქ წყობილა ბევრი რამ სამეფოს ქალღებებიც, მიწერ-მოწერა უცხო სახელმწიფოების, სხვა-და-სხვა დავთრები, ანგარიშის წიგნები, მთელის სამეფოს შესავალ-გასავლის ცნობები და მასთანვე დიდი ქართული საკითხავი წიგნები. სასულიერო ნაბეჭდი წიგნების საწყობი ბინაც აქ ყოფილა. ერთის სიტყვით ამ სახლში დიდი ძალი წიგნები და მასალები ყოფილა დაშთენილი, მაგრამ ყველა იგინი მოსპო მტერმა, მტერმა ველურის საქციელით ცეცხლი მისცა ამ სახლს და თბილისის ზოგიერთ სახლების გადაწვის დაწყება ამ სახლის და წიგნების დაწვით დაიწყესო. უმეცარ მტრის მეოხებით გაჰქრა დიდი ძალი საუნჯე ქართველთა, მასთანვე გაჰქრა თვით ძველი „დილარიანიც“, რომელ წიგნსაც შოთა რუსთაველიც მოიხსენებს ქებით.

ასეც უწყიან და შემდეგი ამბავი ძველათ მრავალთავ სცოდნიათ, რომ ვითომც „დილარიანის“ ძველი ხელთ-ნაწერი პეტრე ლარამეს ჰქონია, ეს წიგნი ამ საუკუნის პირველ რიცხვებში გამქრალა, სრულიად დაკარგულა ვიდაცას მეოხებით და ამ დაკარგვით ვითომც უსარგებლნია ლარამესაც. მოგეხსენებათ, რომ ამ საუკუნის დამდეგს, საქართველო დაუკავშირდა, დაკავშირების შემდეგ ბატონიშვილებს რუსეთში ასახლებდნენ საცხოვრებლად, ამ პირთ რაც რამ გააჩნდათ, ყველაფერი თან მიჰქონდათ, საქართველოში აღარაფერს სტოვებდნენ, ასევე წაიღეს თურმე მათ ძველი „დილარიანის“ ხელთ-ნაწერი და რუსეთში დასტოვეს. პეტრე ლარამეც, როგორც ბატონიშვილების მოსამსახურე, რუსეთში გადასახლდა ბატონიშვილებთან სამსახურათ და საცხოვრებლათ, იმავ დროს იგი იყო ბატონიშვილების წიგნთ-საცავის გამგე და მწიგნობრობით მათი დროს გამტარებელი და შემაქცევარი. ამ დროის სამსახურის მეოხებით რაღაც მანქანებით დაკარგა პეტრე ლარამემ ძველი „დილარიანი“, რამდენიმე ხნის შემდეგ ბატონიშვილებში

ცნობილ ჰყო სრულიად დაკარგვა ძველის „დილარიანისა“, დაკარგვის ამბავმა ზოგიერთი ბატონიშვილები უსიამოვნოთ ჰყო. მათ ბევრი ეძიეს აქა-იქ ამის ხელთ-ნაწერი და პოვნით-კი ვერსად ჰპოვეს. მოსვენებულ მდგომარეობაში მყოფნი ბატონიშვილები მიეცნენ განცხრომით ცხოვრებას, მათ ეძლეოდათ დიდი ულუფა, ამ ულუფით იგინი კარგათ ატარებდნენ დროებას. ზოგთა სახლის და ცხოვრების ჩარხი ისე დატრიალდა, რომ იგინი ოქროთ შედებილის ეტლებით დასეირნობდნენ, დღე და ღამე მათ უდიდესი ლხინები და წვეულე-ბანი ჰქონდათ გამართული. ხანდახან სალხენათ ქართულ წიგნებსაც კითხულობდნენ, ხშირათ მწერლობაზე საუბარსაც გამართავდნენ. ერთ საუბრის დროს ბატონიშვილებში ნატვრა განისმა „დილარიანის“ აღდგენის, განისმა მით უფრო, რადგანაც ჰაზრი დაიბადა „ვეფხის-ტყაოსნის“ ცალკე დაბეჭდვის და მასთანვე იმ წიგნების, რასაც შოთა რუსთაველი მოიხსენებს „ვეფხის-ტყაოსნის“ ბოლოს, ამ მოხსენებულ წიგნებში, რასაკვირველია საკმარისი ადგილი მიანიჭეს „დილარიანს“. ამ გარემოებას და ზოგიერთ პირთა ნატვრას ჯეროვანი ყურადღება მიაქცია პეტრე ლარაძემ, ამან განიძრახა ძველი „დილარიანის“ თანხმათ ახალი „დილარიანის“ დაწერა და მით აღდგენა, თუ რაღაც რამის მოხერხება-დაარსება. პეტრე ლარაძემ თავის აზრი მალე განუცხადა ბატონიშვილებს, ბატონიშვილებს ეს განცხადება დიდათ ესიამოვნათ. ამათ ნატვრით აუწყეს პ. ლარაძეს „დილარიანის“ აღდგენისთვის ჯილდო, ანუ კარგი დახმარების მიცემა. პ. ლარაძე მალე შეუდგა „დილარიანის“ აღდგენას და დაიწყო წერა, რამდენიმე ხნის განმავლობაში მან დასწერა ვრცელი ტომი „დილარიანისა“, ფურცელთა რიცხვი 500 გვერდამდის შეადგენს, საწერ ქალაქის მთელს თაბახზე.

ეს ვრცელი ხელთ-ნაწერი როგორ სწერა აღმდგენელმა, რა მანქანებით, რა ოსტატობით, რა გვარის შრომით, მოგონებით, მოსაზრებით და გამბედაობით, ამაზე არა ვიცი-რა; ვეჭვობთ-კი, რომ გამოსაცნობი საიდუმლოება ადვილი გამოსაცნობი არ იყოს, ნეტა ყველა ამბები, რაც-კი მოყვანილია „დილარიანში“, როგორ მოიგონა, როგორ მოკრიბა, ან ყველა როგორ ახსოვდა მას, რომ მოგონების და დაწერის შემდეგ „დილარიანს“ თვისგან შექმნილი და შეთხზული-კი არ უწოდა, არამედ „დილარიანის“ მაგიერ ახლად აღდგენილი! რას ნიშნავს ეს სიტყვა აღდგენილი? ცხადი საქმეა, რომ ახლის მჭიდრო კავშირს ძველთან, ძველის პირველ-სახეობის აღდგენას, განახლებას და სხვანი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ახალს „დილარიანს“ ძველთან რამე კავშირი უნდა ჰქონდეს, უამისობა არ შეიძლება, მხოლოდ დიდის გადასხვაფერებით-კი, დიდის შეცვლით, დიდის საიდუმლოების მფარველობით; – ამ საიდუმლოების ოსტატობა აღმდგენელის ვითარებას და ჯილდოს უნდა შეადგენდეს. მე ვფიქრობ, რომ ამ ახალ „დილარიანში“ ზოგი ერთი ადგილები ძველის „დედნიდგან“ პირდაპირ

უნდა იყოს მოყვანილი, ამას ეჭვი არ უნდა, ვინც-კი ნახავს ამ ახალს ხელთ-ნაწერს, ის ამაზე ცხადათ დარწმუნდება, რადგანაც ხელთ-ნაწერში ბევრი ისეთი საყურადღებო ადგილებთა აღწერანია მოყვანილი, რაც ცხადათ გამოაჩენს მის აღმდგენის დასაკუთრებას, თუმცა ისიც-კი უნდა შეინიშნოს, რომ პეტრე ლარაძე ჩვენს ძველს მწერლობაში ხელოვან მწერლათ და მელექსეთ ითვლება.

დაკარგული „დილარიანის“ აღდგენა ბევრს შეშურებია და როგორც თვით პ. ლარაძე სწერს, თვით იოანე ბატონიშვილსაც-კი; აღდგენილი ხელთ-ნაწერი ჯერ თეთრათ არ ჰქონია გადაწერილი, რომ იგი უთხოვნია იოანე ბატონიშვილს, წასაკითხათ და გასაცნობათ, რომელთანაც ხელთ-ნაწერი კარგა ხანს დაშთენილა, დაბრუნების საქმე გამძლეებულა, იოანე ბატონიშვილს თავისთვის გადუწერია და წიგნის ბოლოს თავის თავი აღმდგენელად უღიარებია, – პ. ლარაძისაგან აღდგენილი ხელთ-ნაწერის მიმალვა სდომნია. ეს ამბავი გაუგია პ. ლარაძეს, მაშინათვე მისულა ბატონიშვილთან, თავის ხელთ-ნაწერი მოუთხოვნია, ძალით წაურთმეგვია, წაუღია, გადუწერია თეთრათ და ამ ქურდობის ამბავიც გაულებსავს და „დილარიანის“ გადაწერის მემდეგ ბოლოში ჩაურთავს. ეს ლექსი დიდს გულის-წყრომას აჩენს ბატონიშვილზე, – ამიტომ მოგვყავს აქ.

ვიყავ რა მწირათ პეტრებურღს; სვისაგან გამწარებული?
სამწუხაროსა აზრთაგან შემფოთვით დაკვეთებული,
ბოროტი ვინმე შეიქმნა, ჩემზე ბრჭყალ გამეხებული,
ჭირსა ვხადოდი უფალსა, მარად ცრემლ-მოხშირებული.
უძმობის დასხნათ ხელს ვიპყარ კალამი სევდის მალამი,
სადა ვსჯდი იგი ადგილი, თვალთა ცრემლითა ვალამი,
„დილარის“ ამბის გამოთქმად, აღვაბი თეთრი ალამი,
და აზრისა მოსაგონებლათ გონებას მივე სალამი,
შევაწყე, შევანაწევრე, დავსწერე, ვიპყარ შავადა,
მეწადა თეთრათ შემემკო, მხილველთ არ საზრახავადა,
ეცნა მეფის ძე იონეს, მობრძანდა სანახავადა.
და იგი მან მიმტაცა უფრორე, შემექმნა საზრუნავადა!
ესეცა მესმა მას თვისი სახელი შთაუწერია,
ვსწუხვარ სამისოდ სიცრუე რა მისი შესაფერია!
ამას ვინა იქმს, მიბრძანეთ, თუ არ გონება შტერია?
და ცუდ დიდებობა არ უწყის, რომე სულისა მტერია.
აწ ესე „დილარიანი“ შევმზადე ტურფა გვარადა,
სხვადასხვა გვარის ლექსებით, შერთვა არ დამეზარადა,
მხილველთ საამოდ, საშვებად და გულთა გასახარადა,
და ვინცა ისმინოს უცილოდ, შეექმნას შესაყვარადა.
გიორგისა მეფის ძემან, იოანემ სახელითა,
პირველ შრომილი, არ სრული, მტაცა გონებით ხელითა,
ცუდად იქადის ამაოდ მაღლითა ხმითა მძახველი
და ამაოდ მას არღა მივხედე, არცა-ღა ხელნი ვახელი.

ესე სხვა ახლად შევშადა, ვით მტილი ყვავილიანი,
იგ ამას არ ჰგავს ვით ვარდასა გოგში თავ სხვილ-ეკლიანი,
ესე არს დიდათ ნაღვაწი, ჩემგან ქმნილ „დილარიანი“,
და ხელმწიფობითა მაღალი, ლომ-გული, მკლავ-ეკლიანი“.

ჩემგან ახლად შემზადებულს წიგნსა „დილარიანსა“ ზე-
და მრავალი ღვაწლი და შრომა მივიღე ამბისა მოგონებასა
და შეწყობასა ზედა, მხილველნო გთხოვთ კურთხევით მო-
იხსენებდეთ პეტრე ყარიბი ლარაძე“. იოანე ბატონიშვილის
შესახებ პ. ლარაძეს სიტყვას რომ არ დავერწმუნოთ, სხვა ცნობე-
ბითაც ვიცით, რომ ამ პირს ჩვეულება ჰქონია სხვათა ნაწერების
მითვისება, მაგალითებრ უეჭვოთ არის დამტკიცებული, რომ „კალ-
მასობის“ დაწერა ეკუთვნის იონა ხელაშვილს და არა იოანე ბატო-
ნიშვილს, მაგრამ ეს მითვისება ბატონიშვილს მოსურვებია, ხელთ-
ნაწერი გადუწერია და თვით მიუთვისებია. ამ მითვისებისთვის
იგი თავისებურს მანქანებასაც ხმარობდა ხოლმე და ისეთ
ხელთ-ნაწერებს სპობდა და ანადგურებდა, რომელზედაც მი-
სი სახელი არ ეწერა. მაგალითებრ „კალმასობის“ ხელთ-ნა-
წერების გაქრობას და იშვიათობას მე პირდაპირ მის განზრა-
ხულებითი მოქმედებას ვაწერ. „კალმასობას“ გარდა მას სხვა
ნაწერებიც ბევრი აქვს მითვისებული, ოდესმე დრო და მასა-
ლების შეკრება და სიუხვე გამოაჩენს მის თვისებას. ასე რომ
პ. ლარაძის მოხსენება ჩვენ სრულ ჭეშმარიტებათ მიგვაჩნია,
ამაზე ეჭვი არა გვაქვს, რადგანაც იონე ბატონიშვილი ასეთს
საქმეებს ჩვეული იყო. დიმიტრი ბაქრაძემ მის შესახებ უბრა-
ლოთ დაწერა ქება-დიდება; მოვა დრო, როცა ამ პირისა-
გან სხვათა საკუთრებათა მიმთვისებლობის ცნობები ცხადათ
გამოჩნდება.

თვით პეტრე ლარაძესაც ბევრი უწერია, თავის საკუთარ წერას
გარდა გადამწერლობაც სცოდნია, ამისაგან გადაწერილი წიგნები
ბევრი მინახავს და ბევრი მათში ვრცელი ტომებიც. გარდა ამისა
იგი ხელოვან მელექსეთაც ითვლება. ბევრი ლექსები, თავის დროის
კვალათ, მნიშვნელოვანიც არის, ოდესმე დაფასდება მის სიმღერები,
თუ ერთად შეიკრიბა და გამოიცა. ამის გარდაცვალება მიწერება 1830
წლებში, ღრმა მოხუცებაში ყოფნის დროს.

დღეს მთელს საქართველოში ისეა ცნობილი, რომ ქართულს
მწერლობაში „დილარიანი“ ახლათ არის პ. ლარაძისაგან აღდგენი-
ლიო. მე მისი აღდგენილი წავიკითხე, გავიცანი, გაცნობის შემ-
დეგ ხელ-ცალიერი დავშთი, რასაც ვფიქრობდი, იგი იმ სახით არ
აღმოჩნდა. XII საუკუნის ნიშნათ ცნობის დასამტკიცებელი საბუთე-
ბი მასში ვერა ვპოვე-რა. იმედი გადაწყდა ძველის „დილარიანის“
პოვნისა, ასე და ამ გვარათ მწერლობაში სამუდამოთ გამო-
ვეთხოვეთ სარგის თმოგველის „დილარიანის“ არსებობის საქმეს.

ამ რამდენიმე ხნის წინეთ, მოსე ხონელის „ამირან-დარეჯანია-

ნის“ ხელთ-ნაწერების ძეგლის დროს, წერა-კითხვის სამმართველოს გამგეობის წიგნთ-საცავის ხელთ-ნაწერებთ შორის ერთ ხელთ-ნაწერს „ამირან-დარეჯანიანის“ ბოლოში ვნახეთ სამი თავი ერთის მოთხრობისა, რომელიც „ამირან-დარეჯანიანის“ ბოლოს დამატებათ არის მიწერილი, ხოლო ამ სამ-კარს ეწოდება „დილარიანი“ და არა „ამირან-დარეჯანიანი“. ამ დამატებას ჩვენ ყურადღება მივაქციეთ და როგორც ნაშთი ძველის მწერლობისა „ამირან-დარეჯანიანის“, ბოლოს დამატებით დავბეჭდეთ, როგორც ვარიანტი, თუმცა ამ სამს თავს და „ამირან-დარეჯანიანის“ შუა არაფერი კავშირი არსებობს. ეს მიტომ უფრო დავბეჭდეთ, რომ მკითხველისათვის მიგვეცა ღონისძიება ერთმანერთის გარჩევის და განთვისების.

რადგანაც ამ სამ თავს დასაწყისშივე ჰქონდა მოხსენებული, რომ ქმნილი სარგის თმოგველისაგანაო. ამიტომ ეს ნაშთი ჩვენის ძველის მწერლობისა პ. ლარაძისაგან აღდგენილს „დილარიანის“ მეთორმეტე, მეცამეტე და სხვა კარებსაც შეუდარეთ. შედარების დროს ურთი-ერთ შორის არაფერი მსგავსება აღმოჩნდა. ერთი სხვა გამოჩნდა და მეორე სხვა; ამ სამ კარს არც „ამირან-დარეჯანიანის თავებთან კავშირი და არც პ. ლარაძის მიერ აღდგენილს „დილარიანთან“, იგი სულ სხვა ყოფილა, სრულიად განსხვავებული ხელთ-ნაწერი და იქმნება სარგის თმოგველის „დილარიანის“ ნაწერისაგ, მხოლოდ გადასხვაფერებულნი; ხელთ-ნაწერის გადაწერის რიცხვი 1764 წ. მიეწერება, ბევრათ უწინარეს, ვიდრე პ. ლარიძე ახალს „დილარიანს“ აღადგენდა.

დღეს ეს ძველი ნაკლული „დილარიანი“ ერთ წიგნათ გამოვეცით, ერთის სახელწოდებით. ყველა ამეხიდამ ცხადათ სჩანს, რომ „ამირან-დარეჯანიანის“ სამს უკანასკნელს კარს, „დილარიანის“ სამს კარს და პ. ლარაძის აღდგენილს ახალ „დილარიანის“ სამს კარს შორის არაფერი მსგავსება სუფევს, იგინი ერთმანეთისაგან დიდათ განსხვავდებიან. მცირე მსგავსება სჩანს მხოლოდ „ამირან-დარეჯანიანს“ და „დილარიანს“ შორის, ესეც სახელებით, რომელ სახელებიც აზრით „ამირან-დარეჯანიანის“ საკუთრებას უნდა შადგენდეს. ჩვენა გვწამს, რომ მიერ დაბეჭდილი „ამირან-დარეჯანიანის“ სრული ხელთ-ნაწერის ბოლოს დამატებათ მიბეჭდილი სამი კარი უნდა იყოს დამოუკიდებელი ადგილები ძველის „დილარიანის“, რადგანაც ამ სამი კარის აღწერის წესი, ენის სტილი, ამბების შეკარება, განმარტვა და აღმწერის მიდრეკილებაც ცხადათ აჩენს XII საუკუნის სახეს. მაგალითებრ თუნდა „ამირან-დარეჯანიანის“ ზოგიერთ თავებთა აღწერის დასაწყისი – „ცხოვდი მეფეო“, – ცხადათ აჩნს ამ აღწერის სიძველეს: ძველათ ქართველთა მოთხრობის მწერლები სულ ამ წესით დაიწყებდნენ თავიანთ აღწერას, ყოველთვის მეფის მოხსენებით იწყებდნენ და მეფის დღეგრძელობის მოხსენებითვე აბოლავებდნენ; ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ეს წესი და ჩვეულება XIII საუკუნის შემდეგ ქართველთა მოთხრო-

ბის მწერალთაგან აღარ ხმარებულა, რადგანაც თვით ქართველთა მეფენიც უძღურებას მიეცნენ და მათ მიმართვის სიდიადეც დამდაბლებულის მიმართვით იყო გარს შეზღუდული. მაგალითებრ XIII საუკ. შემდეგ ვიდრე XVIII საუკუნემდის ნაწერების თუ ნათარგმნის ზღაპრებს და მოთხრობების მე ბევრი ვიკითხე, მაგრამ არსად ეს კილო არ შემიმჩნევია.

აი თუნდ ჩამოვთვლი: დავრიშიანი, მირიანი, ყამარდიანი, სირინოზთანი, ზაალიანი, უთრუთიანი, საამიანი, გოსტამბიანი, ფირმილიანი, ბაბა ამირიანი, რუსუდანიანი, ნუქარდიანი და ბევრიც სხვები, მაგრამ არსად ჩვენ ერთი ცნობაც არ შეგვიმჩვევია XII საუკ. ქართველთა მოთხრობის მწერლების წერის წესისა. XII საუკ. მოთხრობების წერის ოსტატობას სრულიად გაწყვეტილი კავშირი შემდეგ დროის მოთხრობებთან. ძნელათ რომ „ვისრამიანს“, „ამირან-დარეჯანიანს“ და ამ პატარა სამ კარს გარეშე რამე მსგავსება სხვა მოთხრობებში ჰპოვოთ წერის მხრით, გარდა „რუსუდანიანის“, ისიც მცირე მიბაძვით.

ამ სამი კარის შესახებ ახალგაზდა ქართველ მსწავლულმა ალ. ხახანაშვილმა საფუძვლიანათ შენიშნა ერთ თავის წერილში და ეჭვი აღიარა „დილარიანის“ შესახებ, რომ იგი ვითომც ძველი „დილარიანი“ არ უნდა იყოს, ან „ამირან-დარეჯანიანის“ გაგრძელებაო. ჩვენთვის საყურადღებო უფრო ის არის, რომ მსწავლულმა ამ ნაწყვეტს თავებსა და „ამირან-დარეჯანიანს“ შორის სრული განსხვავება აღიარა. უმთავრესათ ეს იყო საჭირო. რაიც შეეხება მას, რომ რუსთაველის ლექსი ასე უნდა იხმარებოდეს.

„დილარგე – სარგის თმოგველსა, მას ენა დაუმრომელსა“.
ე. ი. „ამირან-დარეჯანიანი“ მოსე ხონელმა აქოვო, აბდულ მესია – შავთელმაო, დილარგე – თმოგველმა და ტარიელ-რუსთველმაო. ერთის სიტყვით, არ უნდა იწერებოდეს, რომ „დილარგეთ – სარგის თმოგველსა, მას ენა დაუმრომელსა“. ამას რაღა მტკიცება უნდა, რომ ყოველივე ასე უნდა იყოს. თვით სიტყვის ვითარება აჩენს ამ სიტყვის ასე ხმარების საჭიროებას. მეტად სანატრელია და სანუკვი, რომ ამ სამს კარს „დილარიანისას“ ჩვენის სიძველეთა მცოდნე მსწავლულებმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ და მათ ამის შესახებ გამოთქვან თავიასთი აზრები, თუ ადგილები რა დროის მწერლობის ნაშთს უნდა ეკუთვნოდეს.

ჩვენ დავბეჭდეთ ეს სამი კარი ჯერ-ჯერობით და სრულს იმედს არა ვკარგავთ, რომ ოდესმე სრულს „დილარიანის“ ხელთ-ნაწერს-კი ვერ მოვიპოვებთ; აქამდისაც ისე გვეგონა, მაგრამ აგერ უცბათ აღმოჩნდა სამი კარი ძველის „დილარიანის“, სხვების შემოწმებას მე მიტომ ვთხოულობ, რადგანაც ჩემგან ასეთი ნაწერების ბეჭდვა, გარკვევა და რამე კითხვების გარდაწყვეტა ძნელია, ამის შესახებ „ამირან-დარეჯანიანშიაც“ მოვიხსენე და აქაც ვიტყვი კიდევ, რომ ერთის კაცისათვის მეტად ძნელი უნდა იყოს ასეთი ძველი წიგნე-

ბის განხილვის საქმე და ბეჭდვა, ამას მთელი გუნდი უნდა.

ჩემდა საუბედუროთ, კარგა ხანია რაც მე დარიგება, დაპირება და იმედები ბევრისგან მესმის და როცა საქმე საქმეზე მივა, მაშინ-კი ყველა გარს მეფანტება და შრომა რჩება ჩემს მხვედრად, ჩემს ტვირთად. ამისთვის არავის ვყვედრი, რას ვიზამთ, ყველას თავის საქმე აქვს. მე ბევრ რამეში შეიძლება გასაკიცხი და საგმობიც ვიყო, მაგრამ გავბედავ და იმასაც ვიტყვი, რომ ბევრს გმობასა და კიცხვასთან ის მაინც იყოს საყურადღებო, რომ ვბეჭდავ ზოგიერთ ისეთ ხელთ-ნაწერებს, რომელთა აღდგენა-კი არა და მოპოვებაც-კი ძნელია. ყოველ ამ გვარ იშვიათ ხელთ-ნაწერი წიგნები ოღონდ დაიბეჭდონ, ოღონდ დედანი და მერე მის სინამდვილით აღდგენა ისე ძნელი აღარ იქნება სხვათათვის მომავალში, როგორც დღეს არის, დღეს ზოგიერთ წიგნის ხსენებაც-კი არ არის. ვიდრე უნაკლულო ხელთ-ნაწერისას კაცი რამეს იპოვნის, მანამდის ერთობ დიდი ხანი გაივლის; ბოლოს იქნება არა იქმნეს-რა, მცირე რამ მოპოვებული ნაშთიც დაიკარგოს. ხელ-ნაწერებს და ნაბეჭდების ნაკლულევაანება შემდეგაც გასწორდება, რადგანაც ჩვენში რამე ძველი წიგნის დაბეჭდვის შემდეგ უფრო ადვილათ სჩნდება კარგათ ნაწერი ხელთ-ნაწერები, რომელნიც მომავლისთვის ყველაფერს ნათლათ აჩენენ და არკვევენ. სხვა რომ არა იყოს-რა, ამის მხრით მაინც უნდა მიეცეს ჩემს შრომას მნიშვნელობა მე სულით და გულით მზათა ვარ, რომ ყოველთვის და ყოველგან ჩვენი მოღვაწეების დახმარება და შრომა სიამოვნებით მივიღო. აი ეხლა ვამზადებ „რუსუდანიანის“ გამოცემას და იმედი მაქვს, რომ ამ გამოცემის საქმეს ვინმე ყურადღებას მიაცქევს და დახმარებას აღმოაჩენს, თუნდ სარედაქტოროს შრომით, რომელ შრომასაც მე ჩვენის მამულის სიყვარულის აღსავსეობით ჩავსთვლი.

ჩვენის აზრით, მოთხრობა „ამირან-დარეჯანიანს“ და „დილარიანიანს“ ნაშთს რაც აერთებს, ეს არის მსოლოდ ორივე ამა მოთხრობის ერთნაირი დაწყებითი ფორმა, მაგალითებრ: „ცხონდი მეფეო უკუნისამდე“. აქ უნდა შევნიშნოთ ერთისა და მეორეს დასამოწმებლათაც, რომ სიტყვები ისტორიაშიაც იხმარება ასე, მაგალითებრ: „ქართლის ცხოვრების“ პირველ ტომის 70 გვერდზედ, ფარსმანის მეფობაში ასეა მოხსენებული: – „ცხონდი მეფეო უკუნისამდე, მე გიგიო ღონე შურის გებისა კოსორო ზეზედა.

ზ. ქ.

დილარიანი

ქმნილი

სარგის (სერგეი) თმოგველის- მიერ.

თამარ მეფის დროს.

დილარიანი

„დილარგეთს სარგის თმოგველისა,
მას ენა დაუშრომელსა“ .

შოთა რუსთაველი.

კარი მეათერთმეტე ჯიმშერ ხაზართა მეფისა დი-
ლარის შვილის ამბავი. ისმენდინ მეფეთ მეფეო, ცხონ-
დი უკუნისამდე, ადიდნეს ღმერთმან მოყვარენი თქვენ-
ნი, და არცხვინოს ორგულთა თქვენთა.

ოდესმე მეფესა ხაზართსა დაეპრყნეს ყოველნი ქვეყანა
სიმკნითა, და სიქველითა თვისითა, ყოველნი მონებდენ,
უძრწოდეს ყოველნივე გარემონი მეფენი, რომელნიცა
თვითოეულად აღწერილი არს სარგის თმოგველისაგან სიმხნე-
ნი, და გოლიათბანი სიჭაბუკისა მისისანი.

ამა უსწორსა დიდსა, ძლიერსა, მოწყალესა და
სახელოვანსა ხელმწიფესა ეწივა სნეულება დიდი და გარდაიც-
ვალა ამიერ სოფლით. ჰყვანდა ამა უსწოროსა ხელმწიფესა
ძმის წული ერთი, და იყო სახელი მისი ხოსრო. ფრიად ქმნი-
ლი, კეთილი და შემმართველი ძნელთა საქმეთა, მოუწოდა
ხოსროსა და ანდერძობითა ძე თვისი მცირე ყმა ჯიმშერ შვე-
ნიერი ნაყოფი მიაზარა, და რქვა: რათა ასწავლოს ყოველნი
ზნენი სამამაცონი და საფალავნონი ქცეულებანი, ვიდრე ათ
წლამდინ, და მასუკან მას მისცეს მეფობა და დაამტკიცოს სა-
მეფოსა თვისსა ხაზარეთსა, და რქვა მანცა ეგრეთ ყოფა ვითა
მან წარმოთქვა და წამსავე გარდაიცვალა.

სიმაღლე დილარისა შავსა მიწასათანა გასწორდა, გლოვა
და წუხილი მრავალთა დღეთა და ვითარ სრულ იქმნა, გლო-
ვისა მეფისა აღსრულება, მოუწოდა ხვასრომ მთავარსა ერთსა
დიდათ გაძლიერებულსა ფალავანსა მერაბს და რქვა: ესრეთ რა-
თა წარიყვანოს დიდისა ხელმწიფისა ძე დილარისა და ციხეში
ტყვის მაგიერად შენახვა ამცნო, და თვით გახელმწიფდა და

მისი ესრეთ უბრძანა: რათა ყოვლის საფალავნოსა და სამხედროს იარაღისაგან შორს ამყოფოს, ვითარ დილარსაც ესრეთ ეყო ამისთვის ეგრეთვე ჯიმშერზედ მოინება. წარიყვანსა ციხესა შინა შეწუხებული, და სხვას არას იგონებდა, მიწყივ იყო შეწუხებული და მიწყივ რაზმთა წყობასა ჯართა კეთებასა, გოლიათთა და გმირთა კვეთებასა, ომსა და ბრძოლასა იგონებდა, ამის მეტს არას იგონებდის, არცარას იტყოდა, არც ღვიწხოსა სვემდა და არც ორძალს უკრავდის, და არცა ქალთა მნათობთა მიხედოს, მიწყივ ნაღვლიანად იყვის მით, რომელ იცოდა ტყვეობა თავისა თვისისა. რა მცირედსა მიიმინებდის, იჩქითად წამოიჭრის, ესრეთ ვითა მარტო რქა, დედის მუცლით გამოიჭრის, ეგრე საგებლით ახლტის.

დღესა ერთსა უხმო მეციხოვნელთა ერთა და უთხრა: წავედ და ესრეთ არქვი მერაბს — ვითა თუ სიკვდილი უთქვამს ბიძასა ჩემსა ხვასროს — მოცამკალ, და თუ სიცოცხლე უბძანებია, მართლისა სიცოცხლითა მაცოცხლეო, ესეთსა ციხესა საპატიმროში გყევარ, თუ გამომიყვანებ ციხიდან, და რაცა გმირთა და ბუმბერაზთა წესია მას მაქნევ, ხომ კეთილი, თუ არა ზენარმან ღვთისამან და მზემან მალლისა ხელმწიფის დილარისამან, ამა მეციხოვნელთა სულ დავჰხოც და ციხესაც უპატივით დავანგრევ, ანუ შენცა მოგკლავ, და ანუ თავსა ჩემსა შემოგაკლავ.

რა ეს ამბავი მიუვიდა მერაბს, გაგულისდა, და მას მეციხოვნასა მსწრაფლ თავი მოჰკვეთა, ვითა ამბავი აღარ მიუვიდა, შეიჭირვებდა დიდად, და კვლავ სხვა კაცი გაუგზავნა და ისივ სიტყვა შეუთვალა. განიზრახა მერაბ გულსა შინა თვისსა და თქვა: მე რაც წყალობა მჭირს და დიდება ყველა მალლისა და ძლიერისა მამისა მისისა დილარისაგან დამმართებია და მბოძებია, ჩემგან მისის შვილის ჯიმშერის არცა სიკვდილი იქმნების, და არცა ტყვეობა, და ვერცა ხელმწიფეს ხვასროს შევასმენ. იხმო თვისნი დიდებულნი, წარჩინებულნი, და მცირებულნი, და ყოველივე აუწყა, ჯიმშერის საქმე და მისგან გამოსვლის ამბავი და მუქარის შემოთვლა. უთხრეს ყოველთა, რადგან მამა მისი დიდათ გწყალობდა და მრავალი კეთილი დგას შენზედა მისი, ჰხამს, რომ შენცა მაგიერი კარგი უყო მისსა შვილსაო. ვითა წავიდა მერაბ და თან იახლნენ მუნებურნი ყოველნი, თავადნი ლაშქარნი, და ბუმბერაზნი ყოველნი. ციხიდან გამოიყვანეს შვენიერი ნაყოფი, უსწორო ფალავანი, მალლისა ხელმწიფისა დილარის შვილი. იტყოდეს ყოველნი მნახავნი მისნი: არა არს მსგავსი შვენიერებითა ყოველსა პირსა ქვეყანისასა, დაუდგეს მვირ ფასისა ოქროსა ტახტი და დასვეს მასზედა და დადგეს გვირგვინი სახელმწიფო. თავსა თვისსა და მოულოცეს ყოველთა, აყრიდიან თავსა დრამასა,

და დრაკანსა, დაიდევს ნადიმი, მოდგეს მგოსანნი, იტყოდინან
ამასა ხმასა, საამოთა და შვენიერთა ლექსითა, უსწორსა
ახლისა ფალავანისა ქებასა ჯიმშერისასა. სამსა დღესა და ლა-
მესა მეჯლიში, ლხინი, და სიმხიარულე იყო.

რა მეოთხე დილა გათენდა, იხმეს ლაშქარი ორმოცი ათა-
სი კაცი, მრავალი თეთრი და მწყაზრი ქორი, ავაზა შავარდე-
ნი, და ძაღლისა სიმრავლე ურიცხვი. მოართვეს ცხენი, სა-
ხელმწიფო შეკაზმული, იარაღი სულ ყველა მერაბისა იყო,
ფარი, ჯაჭვი, ზუჭი, ლახტი, ხმალი, ვითა გაემართნეს. ვლეს
თორმეტი დღე, მრავალი ლომი და ვეფხი დახოცეს, მოვიდეს
მინდვრისა მცველნი, და ნადირისა მნახველნი, და მოახსენეს:
„და აგერ ახლოს მოგვეწურვიან დიდისა ბარგითა და მორჭმუ-
ლობითა. ჩვენ ვჰკითხეთ ერთსა მას კაცსა: „ესე ლაშქარი ვი-
სი არისო, და ანუ სად მიმავალნი არიან?“ მათ ეგრე გვრქვეს:
იგი ლომთა ლომი უსწორო ფალავანი ქულ ჩრდილოელი არი-
სო. სანადიროდ მოვაო, ქვეყანასა ზედა მრავალი უვლია, მი-
სი სწორი ჭაბუკი არავინ გამოჩენილა, სამოცი ათასი გამორ-
ჩეული ლაშქარი ახლავს, დიდად მებრძოლი, ჩვენ დავდეგით
ერთსა ადგილსა, და ვითა გვნახა, ლაშქართა უბრძანა: მე წა-
ვალ და იცადეთ აქა, და ვნახავ ისი ლაშქარი ვისი არისო.
მოვიდა ვითა ხვალი ლომი, ლაშქართა შემოერივა, აიღის კა-
ცი, ოროლითა გასტყორცის, და დასცის ზარი ლაშქართა, და-
ხოცა მრავალი ცხენი და კაცი, და განაქარვნა ლაშქარნი,
ვერ გასცა მერაბ პასუხი. ჯიმშერ ეგრე რქვა მერაბს: ესე რა
საქნელი საქმე არის! ერთი უბადო ვინმე მოსულა, ლაშქარი
ამოგვიწყვიტა, და ჩვენის სახელის განქარვება სწადიანო. ომი
ღვთით მწადიან მის კაცისა, და ვნახავთ ვითარი ჭაბუკი ვარო.

მიუხდა ჯიმშერ და მუქარა გამოსთხოვა, უბრალო კაცი-
სა ხოცა არა ჭაბუკთა ხელიაო, მედა შენ გამოვცადოთ ერთ-
მანერთიო. ვითა შემოხედა ჯიმშერს ქულმა, ეუცხოვა და გა-
უკვირდა მისგან იგი სიტყვები! შემოუვლეს ნავარდი ერთმა-
ნერთსა, და გარდაალეწეს თითო ხმალი, მერმე ლახტები იწო-
დეს, მერმე ისრით იბრძოლეს, და შემდგომ ხელ და ხელ ირ-
ვინენ, მათი ჯახება გვანდა ორთა დიდთა გორათა ჯახებასა,
და აბჯართა ზედა ჭეხა გვანდა ცისა ჭეხასა. იყო ორთავე
ლაშქართა შუა ზრუნვა და წუხილი, ვერა რომელმანვე აჯო-
ბა, ზმა იყო დიდი ლაშქართა შინა, და შეიჭირვებდა დიდად,
მერაბ, განა ვერასა ღონესა ეწეოდა შველისასა. გაიყვანა ჯიმ-
შერ ცხენი შორსა, და ეგრე უარძანა: „აწ გაგცადო, რაი
ჭაბუკი ხარო, მოუხდა, უკრა ხმალი ცხენსა და თავი გააგდე-
ბინა. ვითა ჩამოიჭრებოდა, მიჰყო ხელი და ცოტასა ყრმასა-
ვით უნაგირთაგან მოხადა, დაჰკრა ქვეყანასა, და შეშინდა, არ
მოკლა, თვისისავე საგდებლით მკლავნი შეუკრნა, მერაბთან

მიიყვანა, მერაბ ქება შეასხა, და მიულოცა გამარჯვება. ესე იყო პირველი ომი მისი. ქულ ჩირდილეელი უზადოდ იყო, ჯერეთ ვითა ცნობა მოუვიდა, იკითხა მერაბისაგან ესე ახალი ჯომარდი და უსწორო და სახელოვანი ფალავანი ვინ არისო, და ანუ ვისის გვარის შვილი არისო!

მერაბ ეგრე რქვა: ესე მის მაღლისა ჩვენის ხელმწიფის დილარის ძე ჯიმშერ არისო, ვითამე იყო მისის მემკვიდრის მეფის ძეობა, მრავალი იტირა ქულ ჩრდილოელმან ცრემლნი, ფერხთა ეხვეოდა და ღმერთსა ახვეწებდა, მერე ჯიმშერ ჰკითხა მერაბსა, და მან ყველა მოახსენა, მისი ფალავნობა, ხელმწიფისა ფალავნისაგან განაზარდობა, და მრავალჯერ სახელოვნად ომში გამარჯვება. რა ამბავი ყველა შეიტყო, მაშინვე ხელნი გაუხსნა, და მათი საკადრი კარგი და ძვირფასი ხალათი უბოძა. უხმო ქულ ფალავანმან მისსა ლაშქარსა, უამბო ჯიმშერის ამბავი, და დილარის ხელმწიფის დილარის შვილობა, და მათ ყოველთა ლაშქართა თაყვანის აცემინა, და ყოველნი დაუდა ქულისაგან სრულად ლაშქართა თაყვანება, და დალოცვა. დაუმძიმდა დიდად და მოსწერა წიგნი მერაბს და ქულს ესრეთ: სრულად ხაზართა მპყრობელი, მე მეფე მეფეთა მპყრობელი, ხვასრო მოგიწერ, ჩვენსა ერთგულთა და მისანდობელთა კარგთა ჭაბუკთა: მერაბს, და ქულს, გავიგონე, რომე ჩემთვის უარი ვიყოფით, ჯიმშერ გამოგიყვანიათ და გაგიხულმწიფებიათ, და თქვენსა წასახდენსა საქმესა დაბმულხართ! მე თქვენთვის რამდონი კარგი მიყოფია და ქვეყნები მომიცია. მერაბ შენ თვით არა იცი და მეცნიერ ხარ. ბატონმა ბიძა ჩემმა ჟამთა მისთა არა კარგი მიყო, ტყვეთაც დიდხან მამყოფა, და ჯადოგობისა და მაცთურობისა კიდე არა მასწავლარა, და არცარა მიბოძა მე, რომ შენზედ კარგი საქმეები მექნა, ეგ ჯიმშერ მისთვის მოგაზარე, რომ, როგორც დაგარიგე, ისე უნდა შეგენახა, შენ დაივიწყე ღმერთი დამბადებელი, და ქულმან ეგრეთვე, სხვას ხელმწიფეს მისვამთე ჩემს ტახტსა და ქვეყნებს სხვას აჭერინებთ, მე ეს არის ჩემის ძალით, და მრავლის ლაშქრით თქვენზედ წამოვსულვარ. ადრე ხანში გესტუმრები, ქვეყანისაგან აგხოც თქვენცა და ჯიმშერსაცა, ვინცა მშველელი გინდათ უხმევით, და მზას დამხვდით.

რა ესე ხოსრო ხაზართა მეფისა წიგნი ნახეს, და ამბავი შეიტყეს, შეჰყარეს ლაშქარი ას ოცი ათასი, და შეექნათ რჩევა, მერე მერაბ ეგრე მოახსენა ჯიმშერს: ჩვენ იმისი მეპირის პირენი არა ვართ, ამისთვის, რომ დიად მრავლის ლაშქრის პატრონი არის, დევთა და იანგთა მომყვანი, და ჯადოქრობისა მცოდნე! ცის ქვეშ მისი მეპირისპირე არავინ არის, თუ ნებავს ზღვას სრულად დასწვავს ცეცხლით, და ტინსკლდეს ცვილებრ დაადნობს, თუ სჯობდეს ავიყარნეთ დედაწულითა

ჩვენი, და წავიდეთ სხვას ადგილსა. მინახავს პირველსა ჟამსა ჭაბუკობისა ძალისა ცნობად და ვიარებოდი ერთსა ადგილსა, ამის წყალი, და მინდორი მშვენიერი არის. იქ მივიდეთ და დავეშენეთ, აიყარნეს ერთობით, და წავიდეს, ქვაც აღარ გაუშვეს კაცის მოსახმარებელი. ყოველივე თან წაიღეს, და მისწერა წიგნი ჯიმშედ ესრეთ: დიდო, და მაღალო ხელმწიფეო, ღმერთმან მრავალ ჟამიერ გყოს, გაგვწყრომოდით და მრავალი მუქარა შემოგეთვალათ. მე ხელმწიფის დილარის შვილი ვარ, და ქვეყანაზედ შენ ხელმწიფობ, მე რომ ერთი სათავადო მქონებოდა, არ უნდა გწყენოდა, და არც უნდა გაგვწყრომოდი. რადგან გაგვწყრომიხარ, ჩვენ ეს არის წავსულვართ, და ეს ადგილი დაგვიტევებია. ვითა წავიდა ხოსროსა კუცი, და წიგნი მიართვა, და რაც ენახა ყველა მოახსენა. ხელმწიფე მრავლისა ლაშქრითა და ძალით მომავალი. მუნვე მიბრუნდა თვისად ქვეყანად და ქალაქად. და ჯიმშერ, მერაბ და ქულ წავიდნენ შორსა ქვეყანასა, და მუნ დაეშენნენ მდინარესა კეთილსა, მინდორსა კეთილსა, და განსასვენებელსა ამასა, და ცხოვრებდენ ვითა შენდებოდა და განძლიერდებოდა ქვეყანა ჯიმშერისა.

დღესა ერთსა ბრძანა ნადირობასა გასვლა: და წარემართნეს ლაშქრითა და მერაბ და ქულ თან იახლნენ, და წავიდეს დღისა ოცისა სავალსა, ნადირი მცირედ შეიპყრეს, ნახეს ერთი მაღალი მთა, იყო მოხვეწილი, მუნით სამნი კაცნი ჩამოვიდეს, ოქროსა აკაზმულობითა, კეთილნი სახილველნი. ჯიმშერ მათგან ამბავი იკითხა, და უთხრეს: ნადირთა სიმრავლე მრავალი არის ამა მთათაზედა, და ამხანაგებიც იქა გვეყვანან; უბძანა ჯიმშერ: წამიძღვით წინა, და მანადირეთ და საბოძვარს მრავალს მოგცემო. უსმინეს მათ კაცთა, და აღვიდეს მთასა მას მაღალსა, მათ კაცთ ამხანაგნიც მუნვე მოვიდეს ოქროთა შეკაზმულნი, მრავალი ნადირი შეეპყრათ, და დაიდვეს ნადიმი და მხიარულად შეექცეოდეს თურმე ეს ოქროთ აკაზმულნი კაცნი დევთა ხელმწიფის ხუსრუჯანის ყმანი იყვნეს და მისის ბრძანებით მოსრულ იყვნეს, მაცთურობა და თილისმა იცოდეს, წარმოვლენილნი საღალატოთა, მოსრულნი, მის ღამესა მრავალი სასმელები სვეს, დაითვრნეს და ძილად დაწვეს. მათ კაცთა თილისმით და გრძნებით დაამინეს. ხელმწიფისა მე ჯიმშერ შეკრეს თილისმითა მათ კაცთა, და სადა დევთა მეფე ხუსრუჯან იყო, მუნ მიიყვანეს მძინარე, მან უბძანა: მისი მძიმითა ბორკილითა, და ყოვლითა შესაწუხებლისა საკვრელითა შეკრვა და დაჭედა. წარიყვანეს საპყრობილესა, ღრმასა და ბნელსა მას შინა პატიმარ ჰყვეს, ამავე მთასა ზედა რა ჯიმშერ შეიპყრეს.

დილასა ადრე მივიდეს, მერაბ დახოული ძილი ეგონათ,

რა ხანი გავიდა, მივიდეს და ნახეს ჯიმშერ, ვეღარ პოვს ვინ-ცა გარეშემო სწოლოდეს იგინიც. გრძნებითა ჯერეთ რეტად იყვნეს, მათ ამბავი ჰკითხეს? და ვერა უთხრეს რა. გამოვიდეს სწრაფად და შესხდეს ცხენთა მალთა. და გარეშემო მრავალი მთადა და მინდორი მოიარეს, ვეღარა გაიგესრა, და შეიქცეს შინვე, შეიმოსეს შავითა და იყვნეს მგლოვიარენი. დღეთა მრავალთა ამას შინა გამოხდა წელიწადი შვიდი, და იყო ძნელ-სა შეწუხებასა ჯიმშერ ასეთსა, რომე თუცა საჭურველი, ანუ ხელი ეშვა თავსა თვისა ცოცხალსა არ იმყოფებდა, დღესა ერთსა ნახა ქალი შესრული, მის ქალაქისა, დალალი. ნახა მან დალალმან ხელმწიფის შვილი ჯიმშერ მწარესა ტყვეობასა შინა შეწუხებული და დაღონებული. ძნელად მოეწონა ჯიმშერ, და ჰკითხა ამბავი თავისა თვისისა. მან ყოველივე უნაკლულოდ უამბო, წარვიდა ესე დალალი და მის ხელმწიფის დედოფალ-თან მივიდა, რომელი იგი იყო დედოფალი ჩინეთისა მეფისა, ქალი ქეთევან. უამბო მან დალალმან დედოფალსა ჯიმშერისა ტყვეობა, და შეწუხება, და დილარის ხელმწიფის შვილობა, მათგან გრძნებითა დაჭერა, და ბორკილითა დაჭედა მისი. რა ესე გაიგონა დედოფალმან შეწუხდა, და მისის სხნისათვის ღონეს რასმე ეძებდა, და ჰყვანდა ამა დევსა ქეთევან დედოფალ-თან შვილი ერთი, ქალი, ესეთი მშვენიერი, რომე გაბადრუ-ლი მთვარე მასთან ცას ვერ გაანათებდა, უყვარდა დიდად დე-დოფალი ქეთევან, და მიბძანდა ხუსრუჯან ხელმწიფესთანა, მოეგება წინა, ხელი გამოართო, დიდად სიყვარულით მიიყვა-ნა და ტახტსა დაისვა.

მოახსენა დედოფალმან: მაქვს მცირე სიტყვა, და ვიაჯ წყალობასა თქვენსა, რათა ისმინოთ მონახსენი ჩემი, ბძანა ხელ-მწიფემან: ესეთსა რასა სათხოვარსა მიბძანებ, რომ არ აღგის-რულოვო? მოახსენა ვითა იგ დიდისა ხელმწიფისა დილარის შვილი ჯიმშერ, რომელ დაგიჭირავს და ტყვეთა გყავს, დამდე პატივი, შეიწყალე და გაუშვი. უბძანა ხელმწიფემან: არა დათ-მობს თვისსა დაჭერასა და აუგსა, და თუ დასთმობს მიპატივე-გიაო. მოახსენა დედოფალმან: ვინათგან ეგეთისა უსწოროსა ხელმწიფისა დილარის ყმა კაცი და უსწორო ფალავანი აუშ-ვათ, და მივსცეთ ჩვენი განმანათლებული როდენ ქალი ცო-ლად. უბრძანა ხუსრუჯან ხელმწიფემან: თუცა დააჯერებ ჯიმშ-შერს დია მიმიცემიაო. გაგზავნეს დალალი და უამბო ყოვე-ლივე ბძანება მათი, მაშინ იამა ჯიმშერს, გაიცინნა და ეგრეს რქვა დალალსა: თუ ვითა ეგეთი შეწყალება ჩემზედა იქნება, ნება დამირთავს, ბძანება მათი აღსრულდესო, მოვიდა დალა-ლი და ჯიმშერის ნაუბარი და ნებისა დართვა ყოველივე მო-ახსენა, გაგზავნეს დევნი, დალუწეს ბორკილები, და გამოიყვანეს ჯიმშედ, მოუვიდა დედოფლისაგან სახელმწიფო შესამოსელი,

უცხო და კველა, აწვიეს აბანოსა შინა, ვითა იაბნა და გამოვიდა, და შეიმოსა ტანსა, გაუძღვნენ წინა და შეიყვანეს დევთა მეფესთანა, და დედოფალს ქეთევანთანა, მოეგებნეს ორნივე წინა და ზომისაგან მეტად გაჰკვირდენ მისსა მშვენიერებასა, და სიჭაბუკესა ჰასაკისა მისისა, შეიქმნა სიხარული და განცხრომა. აწვიეს მრავალნი ფალავანნი დევნი და მათნი ცოლნი, და ლაშქარი და მისცეს ჯიმშერს როდენ ქალი.

მაგრამ ყოველთა მათი ჭკრეტა და ნახვა ახარებდა, თვალი და გული მათზედა ჰქონდათ, ვითა მიესმა ამბავი ესე როდენ ქალსა, დაუმძიმდა დიდად და შეწუხდა, იწყო ტირილი, და შეწუხება, და იტყოდ: ესე ვითა მიყვეს ან მამამ და ან დედამ! რომ ერთს გამოუცდელს ტყვეს მიმცესო? ჰქონდა მას როდენ ქალსა ციხე მაგარი, და შეუვალი, და იყოფებოდა მას შინა, დაჰყვა ბუმბერაზნი და დევნი მრავალნი გმირნი, და გოლიათნი, მიესმა ქეთევან დედოფალსა, როდენ ქალის შეწუხება და ტირილი, წამობძანდა და ნახა ქალი თვისი მტირალი, და ცრემლიანი, უთხრა ასულსა თვისსა დედოფალმან: ვითა შვილო ჩემო, უკეთუ ესე ესმას ხელმწიფესა, მამასა შენსა წყენისაგან უჰკუოდ გახდესის და დიდათაც შეწუხდებო, ვითა არის ეს რომე, შენ სტირი დაზრუნვასა შინა ხარ და იგი უსწოროსა ხელმწიფის შვილი გმირი, და გოლიათი არის, ესეთი, რომე მისთანა მშვენიერი ფალავანნი კაცისა თვალსა არ უნახავს, და შენ მას სწუნობ, ვითა ესე სიტყვა დაასრულა, ადგა დედოფალი და მეფესთან წამობძანდა. მერმე როდენ ქალმა ქალაქთა უფროსი მოსწოვა უკანა, და ეგრე მოახსენა დედოფალსა: ვითა მე ციხე მაქვს და ბუმბერაზნი ბევრნი მყვანან, და მე გამოუცდელს და ტყვედ ნამყოფს ქმარს არ შევირთავ, და ნურცა მიბძანებთ! მიბძანდა დედოფალი, და შვილის ნაუბარი ყოველივე უამბო ხუსრუჯან ხელმწიფესა. უხმო ჯიმშერს, და ერთი თავისი ხელთ ნაჭერი უცხო და მძიმე ლახტი მისცა, მრავალჯერ დიდსა ბრძოლასა შინა დაცდილი, ერთი ხმალი, ჯაჭვი, მუზარადი, შუბი, გურზი და ერთი გველაშაპის ზურგის ტყავის საგდებელი, და თვისის ქალის ნათქვამი პასუხი, ყველა უამბო.

ჩემსა ქალსა ფალავანები ჰყავს, თავისი, იმათ უნდა შეეგბა, და იგინი დააჯერო, და მერმე ესე, რომ თუ უომრად შეირთავ აქედამ ის ქალი შენს ქვეყანაში აღარ წამოგყვება და თუ ფალავანებს მოერევი და აჯობებ, შენს ცოლს სადაც გეპრინება იქ წაიყვანო. მოახსენა ჯიმშერ: დიად კარგათ და მართებულად ბძანებთ. ეგ მეც ვიცი, გამოუცდელს კაცს ქალი მართლად გულს არ დააჯერებსო, და არც უომრად იქმნებილო, თუ ათასიცა ფალავანი ჰყავს, სანამ ყველას არ შეეგბმი არ იქნებისო. დაასკვნეს ხვალისად ომი. ერთი მახმურ დევი

იყო, ყოველთა პირველად მბრძოლი, იგი განვიდის მოედანსა პირველად, და შეეზის, ვითა გათენდა, მოკაზმეს მოედანი, წამოდგეს ზედა მებუკე მედაბდაფენი: ავიდეს მაღალთა სასახლისა ბანთა ზედა თვით ხუსრუჯან იგი მეფე. დევთა და დედოფალი ჩონთა ხელმწიფისა ქალი ქეთევან და მრავალი გმირთა და გოლიათთა ცოლები დევთა და შვილები, და მოქალაქენი. ხმა იყო დიდი, და მრავალი სული ტიროდა და ახვეწებდა, ეგონათ სიკვდილი ჯიმშერისა. და თვით დედოფალი ტიროდა და მოქალაქენი, და ვითა გავიდა მოედანსა შინა, დევი დახვდა, უწინვე მოსული იყო, შემოუვლეს ერთმანერთს ნავარდი, და შეუზახნეს, და შეუტივეს ერთმანერთს, მოუხდა დევი და შუბი შემოაღეწნა, მაგრამ ვერა ავნო, და ვერც აბჯარი გაუკვეთა, მერმე ჯიმშერ ღვთისა სახელი ახსენა, და მერმე თავისის მამის დილარის შვილობა; მოუხდა დევსა და კინენი შეუყარა, აზიდა მახმურ დევსა და აილო მთის ოდენი დევი, მაღლად და შეჰყვილა მეფესა: ეჰა, დევთა მეფეო, გაიკითხე ესე შენი მახმურ დევი, თუ ვითარი ჭაბუკი ვარო! დაჰკრა ქვეყანასა და მუნვე დაანარცხა, და ფიცხლავ სულთაგან დაიცალა. იამათ ყოველთა ჯიმშერის მშვიდობით დარჩენა, მაგრამ დევთა მეფესა და დევთა ეწყინათ დევის სიკვდილ, და ეგრე ზმანა ხუსრუჯან: მე ვიცი, ამას გამოცდა არ უნდა, იგი ჩემი ასული ფალავანთა დევთა ამოაწყვეტინებსო.

შეასხეს ჯიმშერს ქება და გარდააყრიდეს ოქროსა და გვარსა, მეორესა დღესა მოკაზმეს მოედანი, და დაბმანდა მეფე ხვასროჯან და დაისხნა ბუმბერაზნი, და ფალავანნი მრავალნი, აბმანდა დედოფალი ქეთევან, და დაისხნა დევთა ცოლები, დაიდევს ნადიმი, მოდგეს მოქალაქენი, ჰკრეს ბუკსა და დაბდაფსა, შეიქნა ზმა და გამოვიდა ბუმბერაზი დევთაგან, რომელსა ერქვა ეჟვან დევი. ეგრე რქვა: გვანდა წინანდელსა დევსა, ვითამცა ბედითი ვინმე ყოფილიყო, აქათ გავიდა ჯიმშერ, შემოუვლეს ნავარდი, ერთმანერთსა შუბები შეაღეწეს, მერე ისრეთ იბრძოლეს, და მას უკან ლახტებით, მაშინ გაიყვანა შორს ჯიმშერმა ცხენი, და შეჰყვილა მეფეს ხუსრუჯანს: ეჰა, ხელმწიფე! აჰა, ლახტი შენი, და ნახე ფალავანნი შენნი, ჰკრა თავსა ლახტი, ესეთი ხმა გამოხდა, ვითა ცის ჭეხა, დევი უნაგირში ჩაჰყლიტა და ცხენს ზურგი მოსტეხა, და ორივ მიწასთან გაასწორა, იამათ ყოველთა ჯიმშერის მშვიდობით დარჩენა და იტყოდენ ყოველი ფალავანი: დევნი არა არს ჭაბუკი ჯიმშერისებრი პირსა ყოველისა ქვეყანისასა, მაგრამ დევთა მეფეს და დევთა დიდად ეწყინათ, და დაუმძიმდათ, მას ღამესა წავიდა ჯიმშერ სადგომსა და განისვენებდა, მაშინ მოიხმო ქალმან აბერ დევი, იტყოდენ: ამა აბერ დევისასა არა ყოფილა დევი ამისებრი არცა ქაჯმაჯი დევი, არცა ჯინბაჯინ,

არცა ჯუნფიშა დევი, ყოველთ უფროსად და ფალავანად ამას იტყოდენ, და ეგრე უთხრა:

მამა ჩემი ხუსრუჯან თავსა ჩემსა ამისთვის გაბრალებდა, რომელ შენი იმედი დიდი ჰქონდა და მეც შენის იმედით ცალკე ციხე მოვიგონე. და ახლა ერთმან დატყვევებულმან კაცმან, როგორ უნდა წამიყვანოს აქადამე, თქვენი ფალავნობა და სახელი აღიხოცების, აბერ დევმა ეგრე მოახსენა: მას მნათობსა ქალსა, თუ გეპრიანება მოვკვლავ, და თავსა მისსა მოგართვამ, თუ გინებს დავიჭერ და ცოცხალს მოგართმევ და თუ გინდა დავიჭერ და ამოდენასა ვსცემ, რომ ნუ მამკლამ და აღარ ვიბრძვიო. ეგრე უბძანა როდენ ქალმან! მაგ სამში რომელსაც უზამ კარგი იქნებაო, ვითა გათენდა, მოკაზმეს მეიდანნი, დაბძანდა დევთა მეფე ხუსრუჯან, დევნი ფალავანნი მრავალნი, დედოფალი და დევთა დედაწულნი და მოქალაქენი, წამოდგეს მეტუკე მედაბდაფენი, და შეიქნა ხმა, იტყოდეს ამ დევისასა ესრეთ არა დაბადებულ არს ქვეყანასა ზედა მებრძოლი ამისიო! და ტიროდეს ჯიმშერის სიკუდილისათვის. ვითა გამოვიდა იგი აბერ დევი საომრისა იარაღითა, ესრეთ საშინელი იყო, კაცი თვალს ვერ გაუმართევდა, შავსა რკინისა მთასა ემსგავსებოდა, თვალნი ინით ნაღებსა უგვანდეს, შვიდის გულაზისოდენი ლახტი წელთა ეპყრა, სამნი პირ ბასრი ხმალი წელთა ერტყა, მუზარადი დიდი გუმბათის ოდენი, შუბი დიდთა ძელთა უმსხოსი, ისარი ქარქაშში ეწყო, მაღალს მთასავით ყვიროდა და ეგრე იტყოდა:

შავ-ბედო, აწ გამოდი და გუშინდელი დევთ სისხლი გაზღვევინო! აქათ ჯიმშერ შეეკაზმა ჯაჭვითა, და ხუსრუჯანის მუზარადი, რომელ არ განიკვეთებოდა იგი თავსა დაიდგა, მის ვეშაპისა საგდებელი წელთა დაიკიდა, მისი საშინელი ლახტი წელთა ჩაირჭო, რომელ ხუსრუჯან ხელმწიფის გარდა ვერავინ აიღებდა, იგი ხელთა დაიჭირა, და გამოვიდა იგიცა მოედანსა შინა. შეუტივეს ერთმანერთსა საშინლითა შეტევებითა, ძგერება მათი გვანდა ორთა დიდთა გორათა ძგერებასა, და აბჯართა ზედა ცემა ჰგვანდა ცისა ჭეხასა, უჭვრეტდეს მეფე დედოფალი და ქალაქი იქით მხრისაკენ, როდენ ქალი უჭვრეტდა, იყო შიში დიდი და შემფოთება საშინელი, მრავალთ ფალავანთ დევო და უყვითლდათ პირები, დაიყვნენ შეწუხებულნი, ძნელად ეტყოდა იგი ხუსრუჯან მეფე დევთა ბუმბერაზთა მისთა, ჩემგან კიდევ დევს ვერავინ ებრძვისო, ამაზედ გაიყვანა ჯიმშერ ცხენი, მოუხდა, უკრა ხმალი ცხენსა და თავი გაუგდებინა, და ქვეითად აბერ დევი ჯიმშერს შორს უკუდგა, აბერს სხვა ცხენი მოჰგვარეს, მასცა ხმალი უკრა და თავი გაუგდებინა, სადამოდინ იბძოლეს, და სილამემან გაჰყარა- მოეწონათ ყოველთა დევთა, და დიდებულთა ჯიმშერის ომი. იტყოდეს

ყოველნი ჯიმშერის დიდსა ქებასა, დევი ციხეში ნაღვლიანად წავიდა და დაწვა. ჯიმშერს ვითა ენება ეგრეთ განისვენა, მეორესა დღესა გამოვიდნენ ყოველნი მჭვრეტელები, თავის ადგილს დადგეს, წამოდგეს ზედა მებუკე მედაბდაფენი, გამოვიდნენ ორნივე მემუქარენი, შემოუვლეს ნავარდი ერთმანერთსა; და შეუტავეს.

თავმან თქვენმან და ზენარმან ღუთისამან არცა წინასა ომსა გვანდა და არცავის ეგეთი ომი უნახავს, იბრძოლეს ცხრა ჟამამდინ, ბუკისა და დაბდაფის ცემისაგან ყურთა ხმა არ იყო. გაიყვანა ცხენი ჯიმშერ და ხუსრუჯანის ლახტი შეუმაღლა, თავს დაკრვას უპირებდა, დევმან თავსა ფარი დაიფარა, დაჰკრა ფარი, დაუმტვრივა, მუზარადზედ ჩამოუსხლტა, და ცხენის თავი დაუნაყა, ჩამოვარდა დევი, ჯიმშერ უკუდგა და დალამდა, და სილამემან გაჰყარნა. მივიდა დევი ციხეში, ქალს აყვედრა, შენის გულისათვის გულისად ვერა ვჰკრამ ხოლმეო. ხვალე ნახე თუ რა მოვაწიო მას ზედა! ვითა გათენდა მოვიდეს ყოველნი მჭვრეტელები და დარიგდეს თავ თავისსა ადგილსა, წამოდგეს ზედა მებუკე მედაბდაფენი, რა მზე მალლად გუმბათსა ცისასა გამოვიდა, გამოვიდა აბერ დევი, და აქეთ გავიდა ჯიმშერ, შემოუვლეს ერთმანერთს ნავარდი. აბერ დევმან აგინა ჯიმშერს და ეგრე უთხრა: შენ სრულისა მეფისა მოწონებული სიძე ხარ, შენ ავ გვარო, და ავსა ეტლსა ზედა შობილო, ორი დღე მისთვის შეგინახეო, აწ მათგან ფარვანი ამიღია, ახლავე მიწასთან გაგასწორებო. მერე ჯიმშერ უბრძანა: მე მალლისა ხელმწიფის შვილი ვარ, და შენ ცუდი და სამაგელი ბილწი დევი ხარ, ავ გვარიც შენა ხარ და ავის თესლისაცაო.

შეწევნითა ღუთ-სათა მის მალლისა ხელმწიფისა ავად ხსენებას ამავე წამსავე შეგანანებო! მოუხდა აბერ დევი და ლახტი შეუმაღლა, ჯიმშერ თავსა ფარი დაიფარა, დევმან ფარი დაუმსხვრივა, მუზარადმან დაისხლტუნა და ცხენის თავსა მოუხვედრა და სრულად დაუნაყა. ჯიმშერ დაქვეითდა, აბერ დევიც გარდახლტა. მიუხდნენ ქვეითნი ერთმანერთს და ვითა მჭედელი გრდემლს ეგრეთ იცემებოდნენ. ერთი მეორისაგან და მეხის ჭეხისაგან უფრო საშინელი ხმა ისმოდა, რა ლახტების ცემისაგაბ დაიღალნენ, ლახტები წელში ჩაირჭავეს და ხელ და ხელ ერთმანერთს მისცვივდნენ. მათი ჯახება დიდთა კლდეთა ჯახებასა ჰგვანდა! ეგრე უბრძანა ხუსრუჯან თვისთა ფალავანთა: ვითა აბერ დევის ხელ და ხელ მოჭიდარი არც დევი, არც კაცი ქვეყანაზედ არ დაბადებულა, და არც დაიბადებისო, თუმცა მესთანისა მთასა ხელი მოჰკრას, მასცა ანაზდად დააქცევსო. ერკინენ ერთმანერთსა მედგრად გულმესისხლედ, სახელოვანსა ჯაჭვებსა ვითა დამპალსა სამოსელსა ერთმანერთს ახევდეს! დევთა მეფესა და სრულად ფალავანთა ზომისა მეტად მოსწონ-

დათ ჯიმშერის ომი. იყო ბუკისა და დაბდაფის ცემა და შეწუხება დევთაგან აბერ ღივისათვის და სხვათა მჭვრეტელთაგან ჯიმშერისათვის. ამაზედან ჯიმშერ წყალობის მომცემელის ლუთისა სახელი ახსენა და თავისის მამის დილარისა, მოუხდა დევსა, ერთი ხელი ბარკალსა ჩაავლო, და ერთი კისერსა და მთისოდენი დევი ძალად აიღო და მიწასა ზედა მედგრად დასცა, ესრეთ, რომელ იგი ადგილი სრულად შეიძრა, და მრავალთა მწარდალთა კაცთა სული განუტევეს. იქით დევთა მეფე აიჭრა, ზე ჩქარათ, და ცხენი ითხოვა დევის საშველად, ჯიმშერ მუზარადისა ჯაჭვი წაკეცა და პირ აღმასის ორპირის ხანჯლით თავი ტანისაგან განაშორა. დევმან ესეთი სისხლის ღვარი გაუშვა — ხუთს დიდს დოლაბს დააბრუნებდა; რა ვერ მიუსწრო ხელმწიფემან, დევის სიკვდილი დიდად ეწყინა, მაგრამ გამარჯვება მიულოცა და თავს ოქრო და გვარი გარდააყარეს.

მას ღამეს განისვენა ჯიმშერ. რა ესეთი ჯიმშერის ქება მოისმინა ქირქნ ამირან დარეჯანის ძემან, ეგრე უთხრა სეფედავლესა მზისჭაბუკსა: ქება დიდი გვიანბო რაიბ დაბადმან, მაგრამ ეს ჯიმშერ ყველაზედ ნამეტნავი ფალავანი ყოფილა. ამისთვის, რომელ მცირე ყმა ჯერეთ ხოსრო ხაზართა მეფეს დაუტყვევებია, მერე დევთა ხელმწიფეს, რა ტყვეობიდან გამოსულა, ცხენისა და იარაღის ხმარება არავისაგან უსწავლია, ამათთანა სახელოვანს ფალავნებს მორეგია, უცხო და სახელოვანი გოლიათი ფალავანი ყოფილაო. სეფე დავლემ ეგრე უთხრა: კაცისაგან დაუჯერებელი და გასაკვირველი საქმე არის ჯიმშერის ქებაო! მერე რაიბ დაბადმან მოახსენა: ამისი შვილი არ მოკლა ჭაბუკი და მზეჭაბუკიც შეიბნენო, და იმათი საქმე სხვასა კარში არის დაწერილი და იქიდან მოგხსენდებათ. უბრძანეს ამირან და სეფედავლემ იგივე ამბავი გვითხარო. მოახსენა რაიბ დაბადმან: მერე მის აბერ დევის სიკვდილს უკან უბრძანა დევთა და ბუმბერაზთა ქალმან: თქვენგან მაქვს იმედი, უნდა ციხე გავამაგროთ და არ შემოუშვათ. მოახსენეს: რაცა ჩვენგან გაეწყობა ვეცდებით, მაგრამ მისი მეზრძოლი არცა დევია და არცა კაცი, რომელ გვასმია ამირან დარეჯანისა კიდე, რომელმან დევთა მასა ხელებელი ხაზარან მოკლა, ცალის ხელის წამოვლებით. სხვას შეხედვა არ ძალ უძთ ქვეყანასა ზედა, და ვითა გათენდა, შეეკაზმა. საქვეითოთა აბჯრითა, ჯიმშერ მივიდა და ციხის სიახლოვესა შესტყორცნა ერთსა ციხისა ბურჯსა საგდებელი და გარდააცვა, მერე თავსა ფარი დაიდვა და კისკასად ზედ გასლვა მოინდომა, დასცეს ქვა მრავალი, განა ვერა ავნეს-რა.

ვითა გავიდა ციხისა წვერსა, დევნი მუნვე იყვნეს. ამოიწოდა პირ-ბასრი ხმალი და ხოცნა და ამოსწყვიტა, მოეგებნეს ორნი დევნი წინა. ლახტი შესტყორცა და ორივე მიწასთან გაასწორა. მიაწია ციხისა კართა, შესტყორცა ლახტი და შელე-

წა კარი ბასრისა ფოლადისა, რკინისა ეგოდენი დაიქცა. ოთხი ცხენოსანი კაცი შიგ შევიდა ერთათ, რამაც დევმან ის მოინახეს, გარდაიხვეწნეს, ერთი ბროლის კოშკი იდგა, იგი რაოდენ ქალი ორმოცის პირ-მთვარის მხეველით მასშიგან იყო, ხელი ჰკრა კარსა. კარი გაიღო, მზისაგან უბრწყინვალესი ქალი დახვდა, გვერდთ დაუჯდა და პირსა მზიანსა აკოცა, და ეგრე უთხრა: ზენარმან ღვთისამან შენს სილამაზეს უფროსიგა კრძალვა მართებდა. მასვე წამს მეფემან დედოფალი და დიდებულნი დევნი გაგზავნეს, ჯიმშერ ჩამოიყვანეს. დედოფალმან რაოდენ ქალი ჩამოიყვანა. თავმან თქვენმან მასვე დღეს ქორწილი უყვეს, ერთი ყმა და ერთი ქალი მათ არა ჯობნიდა. და მერმე უხმო მეფემან დიდებულთა. მეფემან ორმოცი დღე ლხინით სმა, მეჯლიში და განსვენება ჰყო, გაცემა და სიხარული, ამაში გამოხდა თვე ექვსი. დღესა ერთსა ჯიმშერ დაღრეჯით იჯდა ნადიმსა ზედა. უბანა დევთა მეფემან: რისათვის დაგიღრეჯიანო? მოახსენა ჯიმშერ: მაღალო ხელმწიფეო! მე ექვსი თვე არის, რომ ლხინსა და შექცევამი ვარ, და ყმათა ჩემთა არა ვიცი, მიუგო ხვასროჯან და უთხრა: თუმცა უწინ გებანა ამბავს მოვადებინებდი. მოაყვანინა გრძნეული ერთი, შავნი მცირენი ღართნი ტანსა ეცვენეს, უბანა: დღეს უნდა ჯიმშერის ქალაქში შეხვიდეთ. მან მოახსენა: ხვალ აქ ამბავი მოგართვაო.

მიიღო ჯიმშერ საწერელი და ქაღალდი, მერაბს და ჯულს წიგნი მისწერა ესრეთ: მამისა ჩემისა მსგავსად, მერაბსა და ჯულს დიდებულთა პატივითა ტკბილად მოგიკითხავთ და სიყვარულით გიალერსებ. ვიცი ამბავსა ჩემსა იკითხავთ, რა იგი კაცნი ჩემთან მოვიდეს და ღვინო ვსვით. მძინარისათვის თილისმა რამე შეეშადათ, შემიკრეს ხელი და დევთა მეფესა ხუსროჯანთან მიმიყვანეს. მან ეგრე კრძალვითა მეციხოვანთა შემავედრა. თუმცა ხელი მეშოვნა შევაკვდებოდი. მაგრამ საკვირველითა მძიმითა საკრველითა ვიყავ შეკრული შვიდს წელიწადს. მერმე დალაღმან მნახა და დედოფალს ქეთევანს მოახსენა: ხელმწიფის შვილი ჰყავს ტყვეთაო!

რადგან იგიც დიდის ხელმწიფის შვილი იყო, შევებრალდი, ხელმწიფესთან მიშუამავლა, ამიშვეს, ქალი მიბოძეს თავისი, ამ ქალმა ჩემი ქრმოზა შორს დაიჭირა, რომ გამოუცდელს კაცს ქმრათ არ შევირთავო. მერე ხოსროჯან მიბოძა ყოველი თავისი საომარი იარაღი. პირველსა ომსა შინა იგი მიხმეს დევი შუბითა მოვჰკალი. მეორესა დღესა მჟვან დევი ლახტითა ჩავლეწე უნაგირსა შიგან. მესამესა დღესა მთისაგან უდიდესი აბერ დევი შემომება, სამს დღეს ვებრძოლე, იარაღი ყველა დავლეწე. მერმე რკენით დავეც და თავი ტანისაგან განგაშორე. დევთა ციხე ავიღე, იგი ჭირ-მთვარე, რაოდენ ქალი გამო-

ვიყვანე და ცოლად შევირთე. ეს ექვსი თვე არის ლხინსა და განსვენებაში ვარ. ამდონი ხანი არის თქვენი არა ვიცი-რა, რა ესე წიგნი წაიკითხოთ, ყოველივე ჩემი ბძანებული ადასრულეთ. დაეკაზმენით კარვითა მოფენილობითა, ცხენ-იარაღითა, ქორითა, ავაზითა, ყოვლის სანადიროს შესაქცევებითა, სპილენძის ჭურჭლითა, ბუკითა და დაბდაფითა, ვითა ხელმწიფეთა წესი არის. ეგრეთ წამოდით, დიდი ხელმწიფე არის, ამასთან დიდი გამოჩინება უნდა, ლაშქარნი სრულიად თან იახლენითი. რა ეს წიგნი მას გრძნეულს მისცეს, გაფრინდა ვითა ისარი, მასვე დღეს ორის თვის სავალი განვლო, მივიდა ქალაქსა ჯიმშერი-სასა, იხილა რა სასახლე და ციხე ყველას შავი ემოსათ და ყველანი ძნელად დაღრეჯილნი იყვნეს, მივიდა და ერთსა კაცსა ვისმე უთხრა: მერაბ და ჯულ მიჩვენეო. აფიცა მან კაცმან, მითხარ თუ რა იციო? და არ უთხრა: მერაბ და ჯული ორნივ ფლასით საბნელოში ისხდნენ. ესე წიგნი თანა მოჰყვა. მოვიდეს და მოახსენეს ზანგის მოსვლა და წიგნის მოტანა. მათ ეგონათ ვითა მტერთა დაუმართებიათო.

ერთი კაცი გამოუგზავნეს და ამბავი იკითხეს. მან ზანგმა ეგრე უთხრა: წიგნი მაქვს თქვენის ხელმწიფის ჯიმშერისაო და დიდი სასიხარულო ამბავი ვიციო, თვით მიმიყვანეთ, რა მერაბ და ჯულ ესე ამბავი მოისმინა, ზე აიჭერენ და ზანგთან მივიდენ, მუხლს ეხვეოდენ და სისხლის ცრემლით ტიროდენ, გამოულეს წიგნი, წაიკითხეს და მრავალი იტირეს, შეექნათ დიდი სიხარული და განცხრომა, შემოკრბეს დიდებულნი და მცირედნი, შექნეს სიხარული და განცხრომა, ფლასი ზე გარდაიხიეს და ძოწეული შეიმოსეს, ჯიმშერის ნაბძანებისა მზადება დაიწყეს, მისწერეს წიგნი ჯიმშერს. მონანი სამეფოსა თქვენი სანი მერაბ და ჯულ კეთილისა თქვენის ამბის სმენისათვის, თუ ბძანოთ მკვდარნი დავსცოცხლდით. თუმცა თქვენ ჯაჭვითა შეკრულნი იყვენით, ჩვენცა ძნელსა მწუხარებასა და ჯურღმულსა შინა ვიყავით, და ახლა, ღვთის მადლობის მიმცემელნა, ჩვენცა ადრე გაიხლებით. ესე წიგნი მას გრძნეულსა მისცეს და მეორესავე დღესა მართვა ჯიმშერს, მათის მშვიდობით მყოფობისათვის დიდათ გაიხარა. ჯიმშერის ბძანებული ადასრულეს და სამოცი ათასის კაცით წავიდეს და წინ კაცი გაგზავნეს, ვითა მიეახლნეს, წინ ჯიმშერ მიეგება. სამისა დღისა სავალსა, რა მერაბ და ჯულ ჯიმშერ დაინახეს, ცხენიდამ გარდაიჭრნენ და ცვივით პირი მიწათა გააერთეს, ადგეს და ეგრე მიეგებნეს. რა ჯიმშერმა მერაბ და ჯულ დაინახა ქვევითნი მიმავალნი, იგიცა გარდახდა, ვითა მამასა, ეგრე მიეგება, დაცვივდენ და ფერხთა ეხვეოდენ, ჯიმშერ პირსა აკოცებდა, და მოიკითხა სიყვარულით, მერე დევთა დიდებულნი და იგინი ერთმანერთს მოემშვიდნებოდეს. მერე დევთა მეფე ხუსრუჯან მობძანდა, მას

მიეგებნენ, მერაბმა და ჯულმა თაყვანი სცეს, და მოემშვიდნებოდეს.

მოზმანდეს სადგომსა და დიდად პატივისცა მერაბს და ქულს. და ვითა დასხდენ ყოველთა დევთა, ფალავანთა თავსა მერაბ დასვეს, თავის მხარეთა და მეორეს მხარეს ჯიმშერისაკენ ქულ დასვეს ჩრდილელი. შემოვიდნენ დიდებულნი, დასხდენ ორი ათასი ცალკერძ და ორი ათასი ცალკერძ, და სხვანი თავადნიცა. შეიქნა ლხინი და მეჯლიში ეგეთი, კვლავ არ ქმნილი იყო. სამს დღეს ეს გარიგება იყო. მეორესა დღესა შეკადრა მერაბისა და ქულის პირით: ვითა მაღალო ხელმწიფეო, განისვენეთ მონისა კარავთა და დაიმდაბლეთ თავი და თვით ქეთევან დედოფალი დაჰპატიჟა თავისის პირით, დაეწივნეს ყოველნი მასთან დიდებულნი, მოკაზმეს მოედანი, და დადგეს კარავნი, რომ კაცისაგან მისი ქება არ ითქმის, ცალკერძ დაბმანდა ტახტსა ზედა დევთა მეფე, სახელმწიფოსა ქეთევან დედოფალი, და მისი პირ-მთვარე ასული, და ყოველი დიდებულნი იყვნეს ლხინში, და მეჯლიში კაცისა თვალსა არ უნახავს, იმღერდეს მგოსანნი და მოშაითნი და იტყოდინ ჯიმშერის ქებასა, მერმე უძღვნა მეფესა და დედოფალსა ორასი ოქროთ შეკაზმული ცხენი, ბედაური, ათი ათასი სტავრა და ხათაისა ფარჩა ურიცხვი, ორი გვირგვინი, ფასის თქმა არ შეიძლება, ღამესა შინა ვითა დღე ნათობდა. მერე დევთა ფალავანთა და დიდებულთა და მხევალთა უძღვნა მრავალი, რომ ანგარიში არ აიღებოდა, და წაბმანდნენ მადრიელნი, ეგრეთვე მეფისა სავარდესა შინა ლხინობდეს. მერმე გამოეთხოვა ჯიმშერ და მოსცა დევთა მეფემან კერული, და უკერული, თვალ-მარგალიტი ხუთასი აქლემი, ათასი ჯორი, სამასი ოქროთ შეკაზმული ცხენი, და ხუთასი შესამოსელი. ეგრეთვე მერაბს და ქულს. გამოესალმან დედოფალი ასულსა თვისსა ცრემლითა, ჯიმშერს შეავედრა და დალოცა, გამოჰყვა მეფე სამისა დღისა სავალსა, გამოესალმა იგიცა, წავედით ჯიმშერის ქალაქში ნადირთა სრვითა, და ვითა მივეწურენით ქალაქად, წინა მოგვეგებნეს ყოველნი დიდითა სიხარულითა, ჰკოცნიდნენ, ფერხთა ეხვეოდენ, აყრიდენ დრამსა და დრაჰმანსა, შეიქნა სიხარული მისსა სამეფოსა, რომელ კაცის ენისაგან არ ითქმის, ერთსა თვესა ქორწილი იყო, სიხარული და გაცემა, ვინცა დევთა დიდებულნი ახლდენ, მრავალი უბოძა და გაისტუმრა მომადრიელებულნი, და იყო სიხარული და განსვენება მრავალი, და მიეცა ძე ერთი, მშვენიერი ნაყოფი, რა ერთისა წლისა შეიქნა, მნახავთაგან გასაკვირვებელი იყო, არცა მამასა ჰგვანდა და არცა სხვასა ვისმე. მისთანა საკვირველი კაცის თვალისაგან არა ნახულა-რა. ამაზედან დასწეულდა ჯიმშერ და მოკვდა. ესეთი ტირილი, გლოვა და შეწუხება იყო, რომ კაცი შესცთებოდა.

იგლოვდა რაოდენ დედოფალი, მერაბ და ქოულ იგლეჯდენ თმასა და წვერსა, დაიპეს სამოსელი და დიდი გლოვა იყო წლამდისინ, და მას შვენიერსა ნაყოფსა დაუწყეს ზრდა მერაბ და ქოულ, და დასდევს სახელად ჯიმშედვე, მამისა თვისისა სახელი, რომლისა შემდგომად არ მოკლა ჭაბუკათაც უწოდდენ. აქა დასრულდა კარი ჯიმშერ დილარის შვილისა. დაუსრულებელმცა არს სუფევა მეფობისა თქვენისა ჟამთა მრავალთა ამინ.

კარი მეთამეტე.

ჯიმშერის შვილის არმოკლა მზე-ჭაბუკის ამბავი.

სმენდინ მეფეთ მეფეო, ცხონდინ უკუნისამდე, ადიდნეს ღმერთმან მოყვარენი თქვენნი, და არცხვინოს ორგულთა თქვენთა. ოდეს ესე ჯიმშერ შეიქნა შვიდისა წლისა, ნადირობა უყვარდა მეტად, სადაცა ანუ ლომი ანუ ჯიხვი ნახის, მან ცოტამან ყმამან ვითა კატა ეგრე მოკლის! და არცა ვის ასმია ძე მისებრ უმშვენიერესი და უტურფესი. რა მოიწიფა და თხუთმეტის წლისა შეიქნა, უხმო მერაბს და ქოულს და დიდებულთა უპირველესთა და რქვა: ცოტათა ხანთა მომინდა სხვათა ქვეყანისა ნახვა და სიარული, მთათა და ბართა, თავისა ჩემისა გამოცდა და ქალთა უმშვენიერესისა შოვნა. გმირთა და გოლიათთა ბრძოლა და მათი ომი. თქვენ ტახტი ესე ჩემი მნებავეს კარგათ შემინახოთ. მერაბ, ქოულ და დიდებულთა ესე ჰკადრეს: ჩვენ სამის სახემწიფოს კაცნი გახლავართ, დავჯერებულვართ თქვენსა ჭაბუკობასა. უბძანა ჯიმშერ: თქვენ რომ დასჯერებულ ხართ, მეც უნდა დავჯერებულ ვიყოვო, თქვენის თავის საქმე აღარ გახსოვდენ, მერაბ ჭაბუკობისა ჟამსა რამდონი ომი გარდაგიხდია, ქოულსაცა ეგრევე უქნია. არ დავიშლი, ზენარმან ღვთისამან, და ნურც თქვენ დამიშლით, თვარა დიდათ მეწყინებისო, შეშინდეს, ვეღარც დეღამ და ვეღარც იმათ დაუშალეს, თავისის მამის იარალი, რაც იყო დევთა მეფისა ხოსროჯანისეული, ისინი ყველა თან წაიღო. ერთი თავისი ყმა, ბებურ მურადისძე თან წაიყვანა, კარგი ჭაბუკი, ერთი მეჯინიბე და ერთი შიკრიკი, შეკაზმული ოქროს სარტყლითა, ეყვანებითა და ჯავართა და სამოსითა ოქროსათა მოკაზმული. ესე შიკრიკი ფრინველისაგან უმაღლე იყო, დაყარნა დედა და დიდებულნი თვალ-ცრემლიანი.

და წავიდა თვით დრამისა სამეფოსა, ერთი თოვლიანი მთა ნახა, გაუკვირდა და ეგრე სთქვა: ჰაერი ზაფხული არის და ეს სიცივე რიდასი არისო? .შემართა მას მთასა და აღვიდა

ზედა, ესეთი ყინვა გამოუშვა, რომ არ ითქმის კაცის ენით. შეშინდა ბებურ და მასთან მყოფნი კაცნი და ეგრე მოახსენა: აღარ ძალ-გვიძს სიარული, აღარც ცხენსა და აღარც ჩვენაო. გადახდა ჯიმშერ და იმათი ცხენები თავისს ცხენს გამოაბა და თითონ წინ გაუძღვა და ასე აიყვანა. მივიდა ადგილსა ერთსა ლერწამიანსა და ჩალიანსა, ტბა იყო დიდი, ვეშაპი იყო შავი და საზარელი, მის ტბისა პატრონი თურმე ის იყო და თოვლიც თილისმით მისგან იყო. რა ნახა მან ვეშაპმან, შეიღვლა-რჭნა და შემოუტივა, აქედამ ჯიმშერ შეუტივა, ისარი ამოიღო შესტყორცა, თავში ჰკრა და ლაში მიწასა დაუბა და ფრთამდინ დაასვა, ემწოვა მას ვეშაპსა და ზედ შემოვარდა, ამან ჰკრა ხმალი და წმინდათ შუა გაჰკვეთა და ხმალი მიწასა შიგან გამოავლო. ასეთი სისხლის ღვარი გაუშვა, რომ კაცი შიგ გაცურდებოდა, და იგივე თოვლი და ყინვა მაშინვე განქარდა, ასეთი სიცხე შეიქნა, რომ უფროსი აღარ იქნებოდა. თურმე მის ვეშაპისაგან იყო იგი საშინელი სიცივე. წავედით და სამი დღე ვიარეთ. ავედით მთასა ზედა უზომოდ მაღალსა და ვითა მის მთილამ გარდავიხედეთ, ვნახეთ შვიდისა დღისა სავალი სულ კარვითა და ჯარით გარდავსებულ იყო, თითონ პურის ჭამად დაბმანდა და შიკრიკს უბმანა: წადი და იგი ლაშქარნი ვინ არიან შეიტყვეო. შიკრიკი ეგრეთ სწრაფათ წავიდა, რომ არაბული ცხენი მასთან არ გამოჩნდებოდა. რა მივიდა მათში, იხილეს მათ უფროსთა კაცთა, მოეგებნეს და უსალმეს. და ცნეს ეს შათირი ან დიდისა ხელმწიფისა არის, და ან კარგის ჭაბუკისა ვისიმე, რა მისი საკვირველი ოქროთ აკაზმულობა იხილეს.

ჰკითხეს, ვინა ხარ და ან რა საქმე გაქვსო? მან შიკრიკმა ეგრე უთხრა: პატრონისა ჩემისა საქმე არა ითქმის, თუ თითონ არ გიბრძანებსთო. მე მნებავს, რომ თქვენი ამბავი მითხრათ, რომ ჩემს პატრონს მივართოვო. უთხრეს: ჩვენი ამბავი რაღა გითხრათ. რაც აქ კაცნი ვართ შვიდი ამდონი ვიყვენით, და ერთმან მხეცმან აგვწყვიტაო, ვინც მოვრჩით ავიყარენით და აქ მოვედით. თორმეტის დღის სავალი აქეთ მხარეს არის მოოხრებული და თორმეტისა დღის სავალი ყოველს მხარეს მოოხრებული. ჩვენ თურქეთის ქვეყანის კაცნი ვართ და ღმერთსა ამას ვევედრებით, რომ ერთი ან ხელმწიფე და ან ფალავანი გამოჩნდეს ვინმე, რომ ან იგი მხეცი მოკლას და ან ჩვენ აგვყაროს და წაგვასხას სადმეო, ამ თვალ უწდომსა ადგილსა ვართ გამოსულნიო. ვითა ესე სიტყვა უთხრეს, წავიდა, ფიცხლად ჰკადრა ყოველი, რაცა სმენოდა მათგან. ამაზედ შესხდენ ორმოცი ცხენოსანი და წამოვიდეს ჯიმშერის სანახავად, მოვიდეს და დასხდომა უბმანა, ვინა ხართ და ან რა მიზეზისათვის გადმოხვეწილხართო. მნებავს ყოველვე მიაშობთო. მერმე მათ

კაცთა ჰკადრეს გადანამცა ყოველივე შევჰკადროთ მეფობასა თქვენსა, ვინათგან აქა მობრძანებულხართ. ბძანეთ და ხალხსა და დედაწულში მობძანდით. და მუნ მოგახსენონ ყოველივე. მასვე წამსა წავედით, მათ კაცთა ოთხი ცხენოსანი გაგზავნეს, და დამზადება დაავედრეს. მანამ მივიდოდით, მათ კაცთა ყოველივე შეეკაზმათ. ტახტი დაედგათ სახელმწიფო, ორასი ოქროს ჯოხიანი კაცნი წინ მოგვეგებნეს, დაცვივდენ და ჯიმშერს თაყვანი სცეს. შებძანდა და ტახტსა ზედან დაბძანდა. მოიღეს სუფრა და სანუკვარი მრავალი. ვინცა მათთანა ღირსნი იყვნენ მუნ დასხდენ, და ლხინი ნახესა სანამ ენებათ. უბძანა აბა მითხარით მის მხეცისა ამბავიო? ამაზედ ზე ადგა ერთი დიდებულთაგანი, რომელსა სახელად ერქვა ომარ, და ეგრე მოახსენა:

ცხონდი მეფეო უკუნისამდე, მის მხეცისა მხილველი აღარავინ იპოვება, ერთსა ვისმე ერთი დიდი ლაშქარი შეეყარა და მხეცი წინ შეხეჩოდა, სულ ასე დაენთქა, რომ ერთი კაცი მიწის ნაპრაღში მორჩომილიყო და იქიდან თურმე სჭვრეტდა, მისგან გვასმია, სიდიდით სამი სპილოს ოდენი არის, თავი ორი აქვს, და პირიდავგე ცეცხლი გამოდის, თუმცა მთასა ესროლოს, წამსავ დასწვავს, რქა აქვს ერთი, ათი მწყრთა, რასაც შეუყრის ყველას აიღებს, ფეხის ჭანგები სისხლის მღვრელი აქვსო, თითო ჭანგი სამ-სამი წყრთა აქვსო, თვალნი სისხლიანი აქვს და კბილნი ვითა ბასრი, რკინა შეჭმა, მასცა ადვილად გამოიცოხნის, ესეთისა სიმყრლისა სუნი უდის, რომე კაცი თუ ერთსა მილიონსა მიუდგა, უთუოდ ცხენიდან ჩამოვარდების, თუ მისსა ნავალსა ნახავ, სადაც ფეხი დაუდგამს, თითო მწყრთა მიწა ჩაუდრეკია. უბძანა ჯიმშერ: ეგე მხეცისაგან არც ერთი არ ეგების, ყველა ტყუილი მგონია. ვითა გათენდა, უბძანა ჯიმშერ, წმომყევით ვინცა კარგი ცხენოსანნი ხართ. ხუთასი კაცი ასეთსა ტაიჭსა გასხდეს, ფრინველი ვერ მოეწეოდათ. მათს ქვეყანამდის თხუთმეტი დღე ვიარეთ, მივედით ვნახეთ ქვეყანა, სამოთხის მგავსი, რომელ წყალი, ხეხილი, ბალახი და ქალაქი და სოფელი დიდი და შვენიერი, მაგრამ გაეოხრა მხეცსა მას. მათ კაცთა ბუნებური ღვინო მოიღეს, მისსა უკეთესს ვერას ნახავდა, ერთსა მის მხეცისა საწოლსა ალაგსა შევხვდით, სამისა კალოს ოდენი ალაგი სჭეროდა. ასეთი სიმყრალესა სუნი იდგა, კაცი შებნდებოდა. ეგრე ბძანა ჯიმშერ: აბა სიმყრალისა სუნსა მეცა ვემოწმები, და სხვა ამბავი რაცა თქვეს, ტყუილი მგონია. მოახსენეს მათ თურქისტნელთა დიდებულთა:

ცხონდი მეფეო უკუნისამდე, ესე დიდი კველა ქვეყანა მის მხეცისაგან არის მოოხრებული. წავედით, ახლოს ყოფილიყო დიდრონი კოშკები, ძირითურთ აღმოეფხვრა, ვნახეთ ნავალი კვალი, სადაც ფეხი დაედგა, ერთი მწყრთა მიწა ედრი-

კა, წავედექით მის სამეფოსა, ქედსა ჰკითხო: სად არს სამყოფი მის მხეცისაო? მოახსენეს: აქათგან წარვალს გზა ოთხი ფარსანგი; სიგრე ჰკადრეს მათ კაცთა: ზენაარსა ღვთისასა, სადაცა იგი მხეცი არს, იქ ნუ მიგვიყვანო. ჯიმშერ ეგრე უბძანა: თქვენ ესე ქენით, თვალითა მიჩვენეთ და თქვენ არ წაგიტანო. უსმინეს და ერთი კაცი ასეთ ტაიჭსა ზედა შესვეს, რომ ფრინველი ვერ მოსწვდებოდა. წარუძღვა და თავისი კაცი წაიყვანა და იგინი მუნ დაყარნა ვითა განვლო ერთა ფარსანგი, იკითხა სად იმყოფებაო. მოახსენა: ეს არის მისი სამყოფიო და არა უწყი რა იქნაო! ამ თქმაზედ ნახა იგი მხეცი და გააფრინა იგი ცხენი. შეხედა ფალავანმან, ზე ადგა ნამძინარევი, ვითა მთა ჭანდრის ოდენი ენა წამოეგდო, და იზმორებოდა, დიდათ საზარო იყო, რა ნახა მხეცმან, თავსა არ შეიძვა, ფალავანმა ცხენი გაუჭენა, რა ახლოს მივიდა, ასეთი სუნი გამოუშვა სიმყრალისა კინადამ ცხენიდან ჩამოვარდა. მაშინვე ცხენიდან ჩამოხდა, პირი მიწასა გააერთა და ღმერთს შეავედრა და ამირან დარეჯანის ძის სისწრაფე და გაჭირების გული ითხოვა ორმოცის წლის ჰასაკისა. ადგა ქარი და მისი სიმყრალე მასვე პირს ეცა, გამოიღო ჯირითი, რომელ ცხენზედ ეკრა, შესტყორცა და თვალი გაუხვრიტა, ორი წყრთა ტვინში ჩასვა, მოიკრა ტოტი, ხე მოსტეხა და პირი შიგ დარჩა. ასეთი საშინელი იგრგვინვა, და ესეთი ცეცხლი გამოუშვა, რომ თუმცა მოხვეროდა, წამსავე თან დაიწოდა. თავსა გარდივლო ორი ალაჯი მინდორი, გარდაწვა რა, კომლი განქარდა. ისარი შესტყორცა, ძირს ჩამოვარდა, ვითა ქვითვირსა კედელსა, ეგრეთ ვერ ავნო. მეორე შესტყორცა, ძირს ჩამოვარდა და მრავალი ზედ შეაღეწა. მშვილდი დააგდო და მეორე ჯირითი გამოიღო, შესტყორცა და იგიცა ძირს ჩამოვარდა, დასცა. მხეცმან ფეხი შემოსტყორცა და ცხენის ორივე ბეჭები დაუმსხვრივა და შიგან გაავლო, ცხენი დაეცა, მძიმეთ შეჭურვილი ფალავანი მეტის სიმყრალისაგან დაბნდა, სანამდისინ დაბნედილი იყო, თვალთა ხელი უკუ ივლო, ზე აიჭრა, შეხედა მხეცსა, მეორე თვალიც სისხლით ავსოდა, და დიდის საზარელის ხმით გრგვინავდა, მიუხდა ფალავანი, ხმალი ამოიწოდა, ღლიასა ჰკრა და ვადამდის დაასო, მხეცმან ტოტი წამოატანა, ხმალი შიგ გაუშვა, უკუ ხტა, გამოიღო ხმალი, პირში ჩაიდვა და კვევიით გამოცოხნა და გამოყარა. ფალავანმა მეფის ხუსრუჯანის ლახტი აიღო, მიუხდა და შვიდი ჰკრა და ვერ შეძრა, მერვე ჰკრა, იქუხა და წაიქცა და ალაგი დიდათ შეიძრა, ეგეთი სისხლის ღვარი გაუშვა, რომ ხუთს დოლაბს დააბრუნებდა. ლახტი და ჯაჭვი მუნვე დააგდო და იწყო სიარული. რა ერთი ფარსანგი გზა განვლო, დაიღალა და დაჯდა, სამი ალაჯი კიდევ სხვა ჰქონდა გასავლელი, მისი ყმა ბებერ მურადისძე და შიკრიკი წამოსუ-

ლიყვნენ და სამი ალაჯი გამოეცლოთ, მოვიდეს, ნახეს, გარდა-
ხდეს, მუხლსა აკოცეს, წყალი მოართვეს, ხელი და პირი დაა-
ბანინეს, და ხილი და ღვინო იამა. უბძანა რა ქნეს მათ კაცთაო?

მოახსენეს: რა თქვენთან ნამყოფი კაცი მოვიდა, და მის
მხედის ამბავი მოიტანა, თავმან თქვენმან, ასე გარდიხვეწნეს,
რომ გზა და კვალი ვედარ გავიღეთ. უბძანა ბებურს წადი და
ის კაცნი მოიყვანე აქაო. წავიდა ბებურ, კაცნი მოაგროვა და
მოიყვანა, მოვიდეს ფალავანთანა და ფერხთა ეხვეოდეს, ჰკად-
რეს: მაღალო ხელმწიფეო, ვინაითგან ფალავნობითა თქვენითა
იგი საშინელი და უსამართლო მხეცი მოკვდა, რომე მოუგო-
ნებელი იყო კაცისაგან ამირანის კიდე. იმისი რქა კარგი, არის,
ტყავი იგრის მსგავსი აქვს, საკმარისი არის თუ ბძანოთ, ბრმა-
მან იწვეთოს, თვალი აეხილეზა, ქონიც წამალი არის. უბძანა:
თქვენ წადით, ყოველნი ჩემი ფოლადი ჯირითის პირი არის.
ის არ გასტეხოთ, აქ მომიტანეთ, სხვა რაც გინდა ისი ქენი-
თო. წავიდეს ეს ხუთასი კაცი, ორი დღე დაყვეს, აღარ გამო-
ჩნდნენ. უბძანა შიკრიკს: წარვედ, შეიტყვე ისი ჩვენი ლაშ-
ქარი რა იქნენო? წავიდა იგი შიკრიკი და ქარისაგან უმაღ-
ლოვიდა, ეგრე მოახსენა: ხელმწიფეო! ჩვენნი ლაშქარნი, თუ
ბძანო, ვითამც ცოცხალს ეგრეთ იბრძვიანო! თავმან თქვენმან
ბეწვი ვერ წაუდრეკიათ, ვერც დაუძრავთ, ვერც გადმოუბრუ-
ნებიათ და ვერც ტყავი გაუჭრიათ. წაბძანდა ფალავანი, ცო-
ტასა ხანსა მათსა ყოფასა უყურა, მერე ლახტი აიღო, ერთი
დაჰკრა, რქა მოსტეხა, თავის ძვალი ჩაამტვრია, ფოლადის პი-
რი ამოიღო, ხანჯლით გვერდი შეუხია, სამგან მუცელი. ხუ-
თასი კაცი ზედ მიხვია, თითონ სადგომსა წამობძანდა. სალა-
მომდის დაჰყვეს, ქონი ამოიღეს, ტყავი გახადეს, ნაღველი წა-
მოიღეს. მას ღამეს მასვე ქალაქისა სიახლესა ვიყავით, კარვები
დასცეს, მოიღეს ღვინო და სანუკვარი, და მგოსნები იტყოდენ
ჯიმშერის ქებასა და მის მხედისაგან დახსნასა. გაგზავნეს მათ
კაცთა დედაწულთათანა მახარობილი, ჰქონდათ სიხარული და
შვება. რა დილა გათენდა, მოვიდეს მის ქვეყნის დიდებულნი
და ყოველი ქალაქის კრებული და მოახსენეს:

ცხონდი მეფეო უკუნისამდე, მოუალი იყო, რაც თქვენ
საქმე ჰქენით, ამას ვჰკადრებთ მეფობასა თქვენსა, მკლავითა
შენითა ვართ ნასყიდნი, რასაც გვიბძანებთ, იგიცა ვქნათო.
წაყვანასა ჩვენსა ბძანებთ, თუ აქედამ გვიმსახურებთ, მონებისა
თქვენისა მოსურნე, და ბძანებისა მორჩილნი გახლავართო. უბ-
ძანა ჯიმშერ: ჩემგან არც ერთი არა ქნილა რა, ვინაითგან
თქვენ შეგიწყალათ ღმერთმან და იგი თქვენი მახარი მოკვდა.
ეს ალაჯი მას ქვეყანასა სჯობს, აქავე დადექით და აქედამ მე-
მსახურენითო. რა ეს ესმათ, დაცვიდენ და თაყვანი სცეს. ამა
ამბის მახარობელიც გაგზავნეს, ეს ამბავი მის მხედის სიკვდი-

ლისაგან უფრო იამათ, მოიყვანეს დედაწულნი მათნი და და-
ემენ მუნვე. მუნებური ყველა გააგო და წამოიყვანა ორასი
გამორჩეული კაცი, მისწერა დედასა ლა მერაბს და ქოულს
წიგნი თვისისა მშვიდობისა, ქვეყანის დაჭირვა და ადრე მისლ-
ვის ამბავი, მათაც იამათ და წიგნი მოეწერათ. ერთი წიგნი
მზისჭაბუკისა მოსდიოდათ და აქ გამოეგზავნათ, რომელ დიდათ
გაუკვირდა ჯიმშერისა, რომელსა შინა წერილ იყო ესრეთ:
„ახალსა ფალავანსა, უსწოროსა ჭაბუკსა შორით გეზიარებით
და დიდის სიყვარულით მოგიკითხავთ, ძმა თქვენი ფალავანი
მზე-ჭაბუკი სიკეთე თქვენი მესმის და დიდათ მიხარის, რადგან
ბიძა თქვენი ხოსრო და თქვენ ვერა გარიგებულხართ, ბიძა
თქვენი გარდაიცვალა და დღეს სრულიად ხაზარეთი და სხვა
მრავალი ქვეყანა მე მიჭირავს, რადგან შენის მამულის კდეგა-
ნი ხარ, მობძანდი შენს მამულს ეპატრონე. ჩვენ ორნივ სიყ-
ვარულით ვიყვნეთ, ისრე სჯობსო“. გაუკვირდა ესე წიგნი მზე-
ჭაბუკისაგან და კიდეც იამა. გულითა რომ დაეპატიჟნა, ქვეყა-
ნასაც ეპატრონე და შენი საყვარელი დაცა ნახეო. ის მზე-
ჭაბუკის კაცი დედოფალს გაებრუნებინა და თავისის შვილის
ჯიმშერის სხვაგან წასვლა მიეწერა, და ესე შეთვალა: „თუ
მშვიდობით მოვა, თქვენი ხილვა მასცა უნებსო“. წავედით და
ერთსა მაღალსა წვერსა წავადექით. ერთი დიდი მდინარე ვი-
ხილეთ და მუნ ორნი ლაშქარნი იდგეს ერთი გაღმით და ერ-
თი გამოღმით. რა მივეახლენით გამოღმართსა ლაშქარსა და
ვნახეთ, ესენი სულ დაძრცვილნი მოქარავნენი იყვნენ, მოგვე-
გებნენ და ჯიმშერის ცხენის ფეხსა ეხვეოდენ, და ჰკოცნიდენ
და ტირილისაგან ენასა ძლივ გამოაგებდეს. ეგრე ჰკადრეს:

სახელოვანო და უსწოროვ ხელმწიფევ, საფალავნოდ ნაქ-
მარო, გვიხსენ იმა მესისხლეთა არაბთაგანო, აწე მოგახსენოთ
ჩვენი საქმე, რაც მათგან წაგვეკიდაო. ჩვენ მოქარავნენი ჩრდი-
ლოსა მკყრობელის მალლისა ხელმწიფისა ვართ და შვიდი წე-
ლიწადია ინდოეთს სავაჭროთა ვართ, დიდის ლართა განმდი-
დრებულნი მოვდიოდით, რა ეცნათ ამა არაბთა, მოსულიყვნეს
და მალვით თავსა დაგვესხნეს, და რაცა ჩვენი ძალა შეგვეწია
ოთხი დღე და ღამე ვიბრძოლეთ, ჩვენც მრავალი კაცი დავუ-
ხოცეთ. ბოლოს ჟამს გაგვტეხეს და გვიონვარეს და ვინცა გა-
დავრჩით დაძრცვილნი და ფეხ-შიშველნი ვართ. ერთის დღის
სავალს გავლა არ ძალგვიძს, ოთხი ჩვენოდენი დახოცეს, ესო-
დენი განმი წაიღეს, რომ ექვსი დღე არის ჩვენს ალაფს იყოფ-
დნენ და ორი წილი გასაყოფი აქვსთ, და ვართ აქა სიკვდი-
ლისა მონატრენი. ამა სიტყვასა ზედან ჯიმშერ ცხენიდან გარ-
დახდა და ერთსა თავისა კაცსა თურქსა უბძანა: შენ წადი და
ვინცა მათი უფრო.სი იყოს, მასთან მიდი და უთხარ ჩემ მაგი-
ერ, ვითა ჩემი საქმე კი არ იყო, მაგრამ ამა ქარავანსა თქვენ-

გან დაცრეცილსა შევხვდი, მე შემომჩვილეს და ამისთვის მე თქვენ მოგახსენე, მე დიდის ხელმწიფის შვილის-შვილი ვარ, პატივი დამდევით და ამა ქარავანსა თავისი წანართმევი ისევ მიეცით და მეცა პატივ-ცემული წამგზავნეთ. რა ესე ფალავნი-სა კაცი წავიდა, ნახა კარავი კარავსა ზედა დაბმული, თორმეტი ათასი დარჩეულნი ჯაჭვითა შეკაზმულნი არაბნი ახლდენ, ოთხმოცი ოქროს ჯოხიანი კაცი თავს ადგნენ. სამნი მათნი პატრონი დიდსა კარავსა შინა ოქროს სელეზზედა ისხდენ, ერთი შუა კაცად იყო, ერთი წვეროსანი და ერთი უწვერო. მათი უმშვენიერესი არა ინახოდა რა, ჯაჭვები ტანზედ ეცვათ. და მუზარადები მუხლზედ ეწყოთ. ცხენსა და კაცსა ყველასა ჯაჭვები ემოსათ. ათი ბუმბერაზი აქეთ და ათი იქით უსხდათ. მიიყვანეს ეს ჯიმშერის კაცი და მათთვის თაყვანი აცემინეს. რა მან კაცმან თავისის პატრონის ამბავი უამბო და დასასრულ დიდათ გაიცინნეს და ეგრე თქვეს.

ჩვენ არცა დილარი, არცა ხაზარეთი, არცა ჯიმშერ ამბა-დაც არ გვასმია, და ჩვენი ამბავი და სახელი ყოველსა ქვეყანასა განფენილანო და შიშითა ჩვენითა ყოველი ქვეყანა ძრწის, მაგისტანა კარგი კაცი თუ იყო ჩვენს კარზედ უნდა მოსულიყო, და ჩვენცა თავისს საფერს პატივს უზამდით, მისართმევს მივართმევდით, თუნდა თითონ დაეჭირა და თუნდა იმათთვის მიეცა. ვინაითგან თავისის მამისა და პაპის სახელი უთქვამს და თავისი თავიცა აუმაღლებია და სულ მიცემა უთქვამს, და მკვახე საუბარი, ვეჭობ ჩვენსა ხილვასა ზედა შეინანოს, და ეგეცა ქარავნის მსგავსად შეიქნასო. მოვიდა იგი კაცი და იგი შემოთვლილობა მოართვა. ჯიმშერ შეკაზმული იყო, შუბი აიღო, მუზარადი დაირქვა და ცხენსა შეჯდა. ერთსა სხვასა კაცსა უბძანა: წადი და მათ კაცთა უფროსი ნახე, უთხარ ჩემ მაგიერ: რა ესე მკვახე საუბარი გითქომსთ, დაეკაზმენით და ყოველი კაცი ცხენსა შესხედით და ნახეთ თქვენზედ რა მოიწიოსო. მან კაცმან ეგრე მოახსენა: ჩვენ იმათი ომი არ ძალ გვაქვს, ისინი თორმეტი ათასი კაცნი არიან, სულ ჯაჭვებით შემოსილნი, ამას ბძანებ ყოველს კაცს პირით ცეცხლი სდისო და იგი სამნი პატრონი მათნი ეგეთნი არიან, რომ უკეთესნი არ მინახვანანო. უბძანა ჯიმშერ: შენ გეშინიან და შეშინებულსაცა ჰგეგხარო. რა ესე კაცი მივიდა და ჯიმშერის შეთვლილობა მათ მიუტანა, მათ არად გაიკვირვეს და ეგრე რქვეს: რეგვინი ვინმე ყოფილაო. ვითა გავიდა ჯიმშერ და ჩვენცა უკანა შორს მივდევდით, შეუტევა გულ-მწყრალმა და მრავალი კაცი დახოცა, და იაფორაქა. ლაშქარი ერთმანერთში აირივნენ. მას დღეს ბებურმაც მრავალი მოკლა. რა შეიტყვეს მათ სამთა უფროსთა, კაცი გამოეგზავნათ და შემოეთვალათ: მაგა კაცთა დახოცა რა ჭაბუკობა გგონია, თუ კარგი ხარ ჩვენზედ მოდიო.

ჯიმშერ ცხენი მიქუსლა და მათსა კარავსა მივიდა. უფროსმა ძმამან ცხენი ითხოვა, საომრად გამოვიდა. უნცროსმა და საშუალმა მოახსენეს: აცადე და ჩვენცა შეესხდეთ, თორემ მართო შენ მაგისი ომი არ შეგიძლიანო. მან მიუგო: იგიცა ერთი კაცი არის, რაცა განგებასა გაუგია, იგი იქნასო. შეჯდა და მოუხდა. ჰკრა კინენი, ჯიმშერ აიღო, დაჰკრა ქვეყანასა და მოკლა. მეორე მოუხდა, ჰკრა ხმალი და ორად განკვეთა. მას მესამესა ძმასა ხელი მიჰყო, ზე აიღო და სანამდისინ ხელთ დაიჭირა, მერე ჩვენ მოგვაბარა, მკლავნი შეუკარითო. ამაზედან შესხდენ ლაშქარნიცა და შეუტივა ჯიმშერმა და შეება, ჩეენცა შეეებენით. ვხოცეთ რაცა ძალ გვედვა, მაგრამ მასთან კაცი როგორ გამოჩნდებოდა, ცხენსა და კაცსა ერთმანერთს ესროდის და ჰხოცდის, რა ესეთი ომი მინახავს. გაიქცა სრულად ლაშქარნი და ჯიმშერ მათსა კარავსა გარდახდა.

მოვიდეს იგი მოქარავენნიცა, რაცა მათ იჩემეს, ყველა უბოძა, და არაბთაც მრავალი უბოძა, მოიყვანა იგი უწვერო ძმა მათი, დარჩომილი კარავი და ლაშქარი სულ მათ უბოძა, და ეგრე უბძანა: ზენარმან ღვთისამან მე შენის ძმების დახოცვა არ მინდოდა. განა თვით მოიკლეს თავი, რომელ ჩემი სიტყვა არ ისმინეს. დავარდა, მუხლსა აკოცა, და ესრეთ გაისტუმრა მომადრიელებული. ვითა წამოვედით, დღესა ერთსა, ჰკითხა მას ქარავნის უფროსსა ზავარდს, ვითა მეფე თვექნი ვინ არს ანუ სადაური ხართო? მოახსენეს: მეფე ჩვენი თეთრ ჩრდილოეთ ეწოდების, დიდი ხელმწიფე არის, ზღვათა და ხმელთა მყობელ-მქონებელი, მშვენიერი კეკელა, მზისაგან უბრწყინვალესი, ცისა მნათობნი მისგან ბრწყინვალეებასა ითხოვენ, მისნი ნათხზნი თმანი ხატაეთისა მეშკისა გულსა სისხლითა უვსებენ, შვენიერებითა მაჰმადიანთა სამოთხესა სძალეებს, საპატიურობას ასწავლის. რა ესეთი ქალისა ქება გაიგონა ჯიმშერ, მისისა სიყვარულისა მიჯნურობას გულშიგან იდასტურებდა, ვითა კაკაბი მახესა გაება, ეგრე თქვა: თუმცა მთელი ქვეყანა გადამეკიდოს, მისი უნახაობა ჩემგან მოუალი არის, მათ კაცთა ესი ამბავი დიდათ დაუმაძღლა და მრავალი უბოძა, მათგანი ოცდაათი კაცი დაარჩივა და თან წაიტანა და სხვათა წყნარათ სიარული უბძანა.

წავედით ჩრდილოეთის მხრისაკენ, თუ სადმე მეკობარი იყო, ჯიმშერის შიშით სულ გარდიხვეწნეს, მრავალს ადგილთა წავედგით კარავსა მათსა, რა მივედით ყოველი სახმარი მუნ იყვეს: ანუ დაკოდილი, ანუ სნეული იყვეს. ზოგთა თქვან არაბნი ვიყავითო და ზოგთა თქვან თურქნიო; მოგვესმა დილარის ძე მოვაო, და ყოველნი მეკობარნი გარდიხვეწნენ. ჩვენ წასლვა არ ძალ გვედვა და მისთვის დავრჩით. ვვლეთ ორი თვე, მივედით მინდორსა თვალ გაუწდომელსა და წყალ-

სა დიდსა, რომე ნაპირი არ უჩნდა, ასეთი ღვრიე და მყრალი წყალი იყო, რომ ერთს მილიონს მისი სუნი სცემოდა, კაცს დაჰზნებდა. ჰკითხა მათ ჩრდილოთ კაცთ: ესე რა მდინარე არის? მოახსენეს: ეს ჩრდილოთ ხელმწიფისა არის, უკეთესი ყოველთა მდინარეთა, რომელსა ედილი ეწოდების. ჩვენ შვიდი წელი არის წავსულვართ, მრავალ ჯერ კვლავ ვყოფილვართ, და ეს მდინარე ამისთანა არ გვინახავს, არ უწყით, თუ ეს რისგან არის, და ვიდექით კვირა ერთი და ღონესა რასმე ვეძებდით.

ვიხილეთ შუა გულსა მდინარისასა ოთხი კაცი ნავ-ტიკისაგან მოტაცებული, ჩაღმა ჩაჰქონდა, შექნეს ჩვენდამი ძახილი: გვიშველეთო! ჯიმშერ ფარალათათ ბრძანდებოდა, ჩქარა გაიხადა და შეცურდა, მიეწია, ხელი მოჰკიდა და იწყო ცურვა, დილიდამ მოკიდებული შუალამემდინ ცურვით გამოიტანა, პური ვსჭამეთ და ღვინო ვსვით, და ჰკითხა ვინა ხარო, და ანუ წყალი რატომ არის მღვრიეო? მათ მოახსენეს: ამ წყლის სათავეზედ დევი გამოჩნდა, წელიწადში ერთხელ ამღვრევს ამ წყალს, აღარც ნავი საქმობს, და აღარც ნავ-ტიკი, ზევით შეჰყვებიან, და იგი დევი წაახდენს. ჩვენ მრავალნი ამხანაგნი ერთად შევიყარენით, ვდევთ ბადე და მრავალი დიდ-კბილიანი თევზი დავიჭირეთ, ჩვენთა ამხანაგთა წყალის ამღვრევა შეატყვევს, ჩვენ სიხარბემ არ დაგვაკვირვა, ისინი წავიდნენ, მორჩნენ და ჩვენ დავრჩით, ანაზდათ გვეცა ზვირთი, თოკი გაგვიწყვიტა. აღარც სარეველი გვქონდა, ოთხი დღე და ღამე ქარის მოტაცებულნი მოვდივართ, წყალში ცურვა კარგად ვიცით, მაგრამ დევის სიმყრალე ფიცხლავ მოაშთობს კაცსა. თქვენ ერთი ღვთისაგან დასაფარველ დებული ბძანდებით, თორემ აქ ცურვა არ გაეწყობის. უბძანა ფალავანმა: წამიძღვით და მიმიყვანეთ მას დევსაზედა, წავიძღვნენ იგი კაცნი, უბძანა რაზომ შორს არის იგი დევისა საყოფი? ამ წყლის სათავე ერთსა კლდესა შუა გაჰყოფს, და ისე გამოივლის, ქვაბი აქვს დიდი და მასშიგან არის. ღამე ჩავიარეთ, მრავალი ჩოლი და ტყიანია (?) ჰკითხა ახლა ხომ მივსწურვილვართო? მათ მოახსენეს: ორი ეგზომი გზა კიდევ ძესა, უბძანა ზენარმან ღვთისამან თუცა მკლავით ჩემით არ იყვნეთ ხსნილი თავებს დაგჭრიდინ. ჰკადრეს მათ კაცთა: დიდათ გვეშინიან მის ბილწის წითლის დევისაგან, ამაღამ და ხვალ უთუოდ მივალოთო

რა დილა გათენდა დიდი ჩალა გამოჩნდა, უბრძანა ესე ჩალა რა არის? მოახსენეს: ესე დევის სანადირო ჩალა არისო, ის წითელი რომ არის, მისი ქვაბი არისო, ინადირებს და შევა, დევნი ახლიან მრავალნი. რა ჯიმშერ ეს გაიგონა, გაჯავრდა, ჩვენ იქავე დაგვყარნა, თითონ. ცხენს შებძანდა და წავიდა, და დევისა ჩალასა ცეცხლი მოუდვა, რა ნახა დევმან ლახტი აილო, ორთა სხვათა დევთა ხლება უბძანა, დევმა რა სანაპიროს

გამალიანებული ცეცხლი იხილა, და გულსა ცეცხლი ევიდებოდა, თვალი მასზედ ჰქონდა, ჯიმშერ სხვაგნით გამოუჩნდა, რა დევმა შეხედა თავს ბრუ დაესხა ამისთვის, რომ მისი მსგავსი კაცი არ ოდეს გაეცადა, ეგეთი გამწარებული მიუხდა, რომ ცეცხლივით რა მიუხდა, დევმან ლახტი შეუმაღლა, ჯიმშერ ჯირითი ჰკრა და გული გაუხვრიტა, ზურგის ძვალი მოსტეხა, და შიგ გაავლო, ჰკრა დევმა ლახტი, ცხენი საგავასას მოუხვედრა, ცხენი და კაცი მიწასა გაუსწორა, ჯიმშერ შეკაზმული შინათკენ წავიდა, თვალთა სისხლი მოსდიოდა და მუხლები ეკეცებოდა, ფალავანმა თვალთა ხელი უკუ იდო. შეხედა დევი წყნარად მიებაცუნებოდა, მიეწია, ხმალი ჰკრა და მუნვე ჩაიკეცა, იგი ორნი დევნი უწინვე ჯიმშერის ნახვაზედ გაიქცნენ, მივიდნენ სხვათა მათ დევთა, უთხრეს რაცა დევნი იყვნენ მაშინვე გარდიხვეწნეს, ხელმწიფის შვილი წყნარად დევის სადგომისაკენ წავიდა, იქით მისთა ლაშქართა დაინახეს, მიგებნეს, ცხენისა ფერხთა ეხვეოდეს, ქება შეასხეს, და გამარჯვებასა ულოცვიდეს, შევედით მას ქვაბსა, ორმოცდა ათი სახლი იყო, სულ ოქროსა და ძვირფასის ჯავართით სავსე, მრავალი უცხო იარაღი, ჯაჭვი და ჯავშანი იყო, და ვიყავით ერთი კვირა და განვისევნეთ, იგი განძი მათ პირველთა თურქთა უბოძა, რომელიც უცხო ღარიბი თვალ მარგალიტი იყო, იგი თავისის საცოლესათვის დაარჩია, მათ მეთევზეთა მრავალი უბოძა.

უბმანა ხმელით სჯობს წასვლა თუ ზღვითაო? მათ მოახსენეს ხმელეთთაო. უსმინეთ და წავედით, საცა მივედით მოეწონებოდათ, დიდსა პატივსა უყოფდეს, მოვინმე ვიდეს დიდებულნი და ჯიმშერმა ჩრდილისა მეფისა ამბავი ჰკითხა. მათ მოახსენეს: უსწოროვ ხელმწიფევ! მეფე ჩვენი მაღალი და ძლიერი ხელმწიფეა, მაგრა ძე არა უვის, ერთი ასული ჰყავს, დილისა ვარდისა მსგავსად ადყვავებული, მზის მსგავსად შვენიერი, მისი ბრწყინვალეობა თხუთმეტი დღისა მთვარეს ემსგავსება, თვალნი მელნისა მორევისა, წარბნი მშვილდის მსგავსად გაზიდული, რა კაცი ნახავს ასეთი გულმაგარი კაცი არ იქნებაო, რომ არ დაბნდეს მასვე წამსა, ქალსა მამის ტახტი თავისთვის უნდა, მეფის ძმისწულისათვის, იგი ყმაწვილი ცხრის წლისა არის და მისთვის უნდა, მუდამ ბრძოლა არის, და ომი. მოვლენ შვილნი მეფეთანი მის ქალის სათხოვნელად. მას ქალს სახელად ყამარლუხ ჰქვიან, ციხე აქვს მას ქალსა, და გოლიათინიც მრავალნი ჰყვანან მოსულნი ქალისა მთხოვნელნი, და მისნი ბუმბერაზნი შეიბმიან, ზოგსა მოჰკლვენ, ზოგს გაჰცრცვიან, და ზოგს გააგდებენ. რა მან კაცმა ეს უამბო დიდად დაუმაძღლა და კარგი შესამოსელი უბოძა. ჰკადრა მან: უსწოროვ ჭაბუკო, შენი მსგავსი არცავინ მოსულა, და არცავინ მოვალსო, მას დიდებულსა კაცსა დესამსონ ერქვა. უბმანა: წამიძელვ და წამიყვანე შენს ხელმ-

წიფესთანაო. წაგვიძღვა იგი კაცი, და სადაც მივდიოდით მოგვეგებოდენ. წავიდა დესამოსონ და მოეხსენებინა ჩვენი ამბავი, გამოეგზავნა ჩვენდა მოსაგებებლად ძმისწული თვისი, რომელ მის უკეთესი არა ინახებოდა რა, გარდახდა იგი ყმა ცხენისაგან, და აქეთ ჯიმშერ გარდახდა, მიეხვივნენ ერთმანეთსა და დაჰკოცნეს ვით საყვარელი ძმები, და მან ხელს აკოცა, მერმე დიდებულნი მოვიდნენ და თაყვანი სცეს და წაგვიძღვნენ წინა, და მიგვიყვანეს პალატასა მეფისასა, დაგვაყენეს, მოიღეს სანუკვარი სასმელ საჭმელი, და მოვიდეს მგოსანნი იგი, დღე და ღამე სულ ღვინით გაათავეს, მეორესა დღესა მივიდა. ჯიმშერ და ნახა დიდი იგი მეფე ჩრდილოთა ხაყან, ამირან მოეგება წინა, მოხვივა ხელი და აიყვანა, მას დღესა აქ აღარ გამოუშვა. ნადიმი დაიდევს და დიდად მოეწონათ. ყოველთა ჯიმშერ მართევს მრავალი შესამოსელი, მეორესა დღესა გაუგზავნა კაცი ასულსა თვისსა: შვილო! ვემბდი შენთვის ქმარსა ყოველთა გმირთა და ფალავანთა უკეთესსა და აჰა ვპოვე. არა არს ჭაბუკი ამისებრი არცა გვართა და არცა გოლიათობითა, და ესე უსწორო ხელმწიფის შვილი შეირთეო.

რა ქალმან ესე შეთვლილობა მოისმინა, დაუძმძმდა ძნელად, ატირდა და ეგრე მოახსენა მამასა და დედასა თვისსა: რა დავბადებულ ვარ ასეთი მწყალობელი ბძანებულხართ, რომ ჩემს ნებაზედ გიმყოფებივარ, თუ ასეთი ვინმე იქნების, რომ ტახტსა თქვენსა ეპატრონების, არც ომი მინდა, და არც გამოცდა და თუ სხვაგან გამათხოვებთ ასეთი ჭაბუკი რომ იყოს, სპილოს მუსტით მოერეოდეს, თვალათ მზესა სჯობდეს, გულათ მზესა, ტანათ კვიპაროზსა. მე იმას თან არ გავყვებიო უომრად, და თუ ჩემთა ფალავანთა აჯობებს და ციხესა აიღებს, მაშინ საცა უნდა წამიყვანოს, და ქმარიც არის ჩემი, თუ უნდა წამიყვანს და თუ უნდა დამატყვევოს. რა მეფემან მოისმინა ჯიმშერს შემოუთვალა: ღმერთმან იცის მე შენი გამოცდა არ მინდა, და თუ ჩემს ასულს შეირთავს და შემემვილები ჩემსა ძმისწულსა კეთილსა უყოფ მე შენი ომი აღარ მინდა, ქალი მომიცემია თუ არა მეციხოვანთა ჭაბუკთა ომი აჩვენედ, ციხე აიღე, იმათაც აჯობე, და ქალი საცა გინდა წაიყვანეო. რა ეს შემოუთვალა დესამოსონმან, მოვიდა და მოახსენა ჯიმშერს. ამან შეუთვალა: დიდო ხელმწიფეო, პირველ მადრიელ ვარ იმისთვის, რომ ესდენ წყალობა გექნათ, და თქვენი ტახტი გებოდათ, ღმერთმან ათას წელს ამყოფოს ნებასა თქვენსაზედა მეფობა თქვენი, ქალმა თავისი ქვეყანა არ გასწიროს, და მე ჩემი ქვეყანა გავსწირო, უომრათ შერთული თავის ტახტზედ მჯდომი ქალი ქმრის დიდი მაყვედრებელი იქნება და არც უომრათ ჩემი ცოლის შერთვა იქნების, თუ ათასიცა ჭაბუკი გყავსთ თუ არ შევებმი, თუმცა თქვენ შემრთვიდეთ მე არ შევირთავ. ეს შეთვლილობა რა მე-

ფეს ესმა დიდათ მოეწონა, და მეორესა დღესა დაასკვენეს ომი. მოკაზმეს მოედანი, მოვიდეს მჭვრეტელნი, დედოფალი და მეფე მაღალთა ბანთა ზედა აბძანდეს, დაისხეს დიდებულნი, მოვიდეს მოქალაქენი, წამოდგა მებუკე მედაბდაფე, ხმა იყო აქეთ, შეკაზმა ჯიმშედ, დევთა მეფეს ჯაჭვთ და ზუზი წელთა შეიმოსა, ოცდა ხუთი ფრთიანი ლახტი წელთა ჩაიპყრა, ცხენი და კაცი ესრეთ შეიჭურა, შავსა რკინისა მთასა გვანდა, თქვეს ყოველთა არა არს ჭაბუკი ამისებრი პირსა ყოველასა ქვეყანისასაო. იქით გამოვიდა ქალისა ერთი ბუმბერაზი, სახელად ქავთარ ერქვა. ბძანება იმას ჰქონდის, რა მეომარი მოვიდის, უწინ ის გავიდის, ესრეთ წამკიდა ქავთარ, ვითარ ჩაღმართსა შიგან ღვარი, შუბი გამიწოდა, ცხენისა ყურთა ჯიმშერს მიმართა სწრაფათა, ჯიმშერმა გაიკვირვა და არცა თავს შეიდება, ვითა მოახლოვდა შუბი მოუტანა, ჯიმშერმა მათრახი დაუკრა, და შუბი ორათ გაუკვეთა. მიჰყო ხელი უნაგირსაგან, აიყვანა, დიდხან ხელში ეჭირა, ეხვეწებოდა ქავთარ, ნუ მამკლავო, და წყნარად მიწაზედ დასვა.

ჯიმშერ მემათრახეთ უხმო და ოქროთ შეკაზმული ცხენი მოაყვანინა, მაზედ შესვა და ეგრე უთხრა: თუ გაიმარჯვა, ჩემთან წამოდი და თუ გინა ციხეში წადიო. ქავთარ ხელსა აკოცა და ციხეში წავიდა, მოეწონა ყველას ჯიმშერის ომი და სადგომს მობძანდა. რა დილა გათენდა, წამოდგნენ ხელმწიფე და დიდებულნი, მასვე წესით მებუკე მედაბდაფენი, და ხმა იყო მათ შიგან, სხვა გამოვიდა ბუმბერაზი ერთი, რომელსა სახელი ერქვა ათამან, აქათ გავიდა ჯიმშერ შეჭურვილი, იგი წინა ფალავანი არათა გვანდა უკანის ფალავანსა, შემოუვლეს ნავარდი ერთმანეთს, უკრა ხმალი ჯიმშერ ცხენსა და თავი მოუკვეთა, ვითა ჩამოვარდა ათამანი, ხელი მიჰყო, და ყმასავით ორივე ხელი დაუჭირა, და უბძანა: რათ ირჯებო! ცხენი უბოძა და იგიცა გაისტუმრა. მესამე დღეს წამოდგეს მჭვრეტელნი მითვე წესითა, აქათ გავიდა ჯიმშერ შეჭურვილი, და იქიდან გამოვიდნენ ათაქიში, ჯიმშერმა ჯირითი შესტყორცა, და ათაქიშის ცხენი მწვადივით ზედ წამოაგო, აქედამ შარამან გამოუხდა და ხმალი შეუმაღლა, ისიც ხელშეპყრობილი მიწასა დასცა, და უბძანა: თქვენი დახოცა მუსტითაც და მათრახით ადვილი არისო, მაგრამ არ დაგხოც. შესხა ცხენებზედ და ციხეში გაისტუმრა, და ბარამ იქ დადგა. კაცს შენისთანა ბატონი მინდაო, ბრძანა ჩრდილითა მეფემ, ამისი სახელი ჯიმშერ არ უნდა იყოსო, ამას იქით არ მოკლა ჭაბუკი უნდა იყოს, და მუნით უწოდდენ, არ მოკლა ჭაბუკს. ვითა მეოთხესა დღესა გარიგდენ მჭვრეტელნი, და წამოდგეს ზედა მებუკე მედაბდაფენი, გამოვიდა იგი არ მოკლას ჭაბუკი, და ოთხნი ბუმბერაზნი გამოვიდნენ და მალულათ შეებნენ, სულ ერთმანეთზედ მიაკ-

რა, და ისინიც ცხენით ციხეში გაგზავნა, შემოვიდა გამარ-
ჯვებული. მერე გამოსცა შესამოსელი და საბოძვარი კეკელა,
მას ღამეს მის ქალს მას მხევალთა უფროსი გამოეგზავნა, არ
მოკლა ჭაბუკისათვის. აწ ვიცი არ არის ჭაბუკი შენებრი პირ-
სა ყოვლისა ქვეყანისისა, და მეც ეგეთი ქმარი მინდა, ვითარ
შენა ხარ, და გასრულებულ არს ჭაბუკობა შენი ყოველივე,
ერთი ესე ქენ, აქა ზღვასა კუნძულსა ვეშაპი არის დიდი, და
ჩვენ კერძო მომავალთა ქარავანთა ავნებს, ნავი მოვიდა და ბე-
ლადი ჩაჯეგ შიგა, და იგი მოკალ, და მაშინ განაღამცა ბმა-
ნებანი შენნი აღასრულენ, მიუგო ჯიმშერ ქალთა უფროსსა.
ჩემ მაგიერ ეგრე უთხარ მზესა მას უბინდოსა სიცოცხლის მო-
ცემელსა, რადგან თქვენ სამსახური მიბძანოთ, განაღამცა არა
ვყო მას მხევალთა უფროსსა, ესდენი თვალი და მარგალიტი
მიართვა, წაღება ემძიმებოდა, დავარდა, თაყვანისცა და წავიდა.
რაცა ქალს ებძანა თვისთა ლაშქართა, და ჭაბუკთა უამბო.
ბარამ თავსა ხელი შემოიკრა და ეგრე მოახსენა.

თქვენ არ უწყით, ქალს თავისის მამის ტახტის ნდომა აქვს,
რომელ მუხთლობას არას ინაღვლის, თავად ნუ წახვალ, და
თუ წახვიდე, მე წამიტანე, თუ მართალი იყოს მის ვეშაპის
ამბავი მე შევიტყობდი, და ან მეც მოვისმენდიო, კვლავ არავის
ასმია, და მუხთლობის საქმე არისო. ჯიმშერმა უბძანა: მაგას
ნუ იტყვი ჩემსა მზესაო, წაუსვლელობა არ ეგების, ერთხელ
შეუთვალე და როგორ მოვატყუვო, და თუ შენ წაგიყვანო,
ამ მიზეზსა იტყვის ჩემი ფალავანი. წაიყვანა და იმას მოა-
კვლევინაო. აწ ნურას იტყვიო, რაი მას ქალაქს დიდი მდინა-
რე ჩამოსდიოდა, რომ ნავით ძლივ გავიდოდა კაცი და ექვსს
მილიონს დიდს ზღვას შეერთოდა, რა გათენდა, ნავი ჩამოუტა-
რეს, ორი გადაბმული იარაღი ჩაიწყო, ჩაჯდა, და წავიდა.
ათი მენავე იჯდა, იმ დღეს სულ იარეს, რა იგი წაბძანდა,
ბარამაც ორი ცხენი წაიყვანა, და ზღვის ჭირს სიარული და-
იწყო, მერე მათ მენავეთ ნავი დააყენეს, ჰკითხა: რად დასდე-
ქითო? პატრონო ამალამ აქ ვიქნებით, და დილაზედ იმ ვეშაპ-
თან მიგიყვანთო. ამ ზღვაში კუნძული არის და იქ არისო.
არ მოკლას მართალი ეგონა, პური ბძანა და გულმართლად
დაიძინა. იმ ღამეს იარაღი სულ დაჰპარეს, ნავში ჩაიწყვეს,
მეორე ნავი გარდახსნეს, მას ნავს ხე ჰქონდა გამოწყობილი,
გამოაბეს და თვით წავიდნენ, არ მოკლას ნავი წყლით ავე-
სო, რა ესე სცნა, ხელმწიფის შვილმა გაჰკრთა! და თავისი
ტანისამოსი თავს გარდიხვია, და ზღვასა შეცურდა, სადაც მო-
სულიყვნენ დაისწავლა, მუნით წამოვიდა. აქადან ბარამ
წყლის პირიდან დურბინით (?) უმზერა. ნახა ერთი კარგი რამ,
ზღვაში მცურავი იყო, ტანთა გაიხადა, ორივ ცხენი გაატიტე-
ლა, და წყალში შეუცურდა, რა ორი ფარსანგი განვლო, ნა-

ხა პატრონი თვისი არ მოკლა იყო, მკლავ მოღალავოდა, და თუ სთქვა: გველი მთვარისა შთანთქმასა ლამოდა! შეუძახა: ხელმწიფის შვილო, ამ ცხენს გარდააწევ, რა ხმა იცნა გათამამდა, მკლავნი ძლიერად მოუსუნა, და ცხენს შეახლტა, გამოუძღვა ბარამ და საღამოს ნაპირს გამოვიდნენ, ტანთ შეიმოსა და ქალაქად წამოვიდნენ.

მერმე ჰკადრა: რადგან იმ ქალის მუხთლობისაგან ღმერთმან დაგიხსნა, შენ ქალი აღარ დაგელევის, და იმას ნულარ შეირთავო. მაგა გვარსა ნუ მეტყვი ჩემსა მზესა, და სხვა რაც გინდა იურვეო, წასულიყვნენ იგი მენავენი, და იარალი ქალისათვის მიერთმევნათ, და ჯიმშერის სიკვდილი და მოშთობა ეთქვათ, შექნილიყო ციხეში ბუკისა და დაბდაფის ცემა, მეფესა და მოქალაქეთ შეეტყო, ყველანი ქალისა მუხთლობასა იტყოდის, ეგეთი უსწორო ჭაბუკი ვითა მოაშთოვნა ან დიდ გვარობით არ შეეწყალა, და ან ჭაბუკობითა, რომ იმისთანა არ იყო, ყოველს ქვეყანას თვალადობით ცისკრისა უმჯობე იყო; მრავალს აყვინებდნენ ქალსა და უძრახავდნენ, მეორესა დღესა არცა გაემშათ კაცი, და არც არა ეთქვათ, მესამესა დღესა აიღეს მებუკეთა და მედაბდაფეთა, სული შეიქნა, ცემა და ტვრციალი მოქალაქენი იტყოდეს, თურმე მათი წესებული, ისრეთ ყოფილაო. ცხედარს საკრავით გაიმჟღავნებენო, რა მეფემან და დედოფალმან დაიდასტურეს დიდათ ეწყინათ, ამასობაში გამოვიდა არ მოკლა შეკაზმური. ვინცა დაინახა ღვთისა მაღლი მისცა, ქალმა რა დაინახა ეგრე თქვა: მაღლი ღვთისა, რომ ის უსწორო ჭაბუკი ჩემის ხელისაგან ცოცხალი დარჩა, მერმე იხმო მეციხოვანნი და უთხრა: თქვენცა იცით იმ ჭაბუკზედ რაც დანაშაული მაქვს, თქვენც იმას ეცადენით, რომ ის ციხე არ აილოს, თორემ ჩემგან იმისი ხილვა არ ეგების მათ ჰკადრეს: აჰა მაღლისა ხელმწიფისა ასულო, ჩვენ შენი საკარგო ოქრო იმისთვის გვიჭამია, ამ დღეს მოველოდით, ანუ ჩვენი ყათლანი, და ანუ იმისი სიკვდილი იქმნების, იგი პირველნი პყრობილნი ჭაბუკნი ვერას იტყოდეს, და მას დღესა აუარა ციხესა და არავინ გამოვიდა, ერთი ბურჯი შეზვერა და შემოვიდა მას ღამეს, მათ პყრობილთ ჭაბუკთ კაცი გამოეგზავნათ და შემოეთვალათ, ჩვენ სიკეთე შენი გვახსოვს, არა კაცია-ერთხელ კაცი კ'ცმა შეიპყრას, ის კულაცა მისდა საომრად წავიდეს. აუგია ჩვენ ერთსა ბურჯსა წაუღებთ, თქვენცა მობძანდით დილსა, შეეკაზმა საქვეითოთა აბჯრითა, და მიუხდა ციხისა ძირსა, ვით ვეფხი, შიგნითაც იყველეს მათ ჭაბუკთა, ჯიმშერის თავი პატრონათ შევიქმნათ. ამან ბურჯს საგდებელი გარდაგდო და ბურჯზედ გარდააცვა, და კისკასად ზედ შეხლტა, მრავალმა ქვა დასცა, მარა ვერა ავნორა, მისი მუზარადის ანასხლეტი მათვე ჰხოცდა, ვინცა ნახა ყოველი ამერიდა, მი-

ვიდა ნარიყალს კარს, ჰკრა ლახტი, რკინის კარი შუა გახეთქა, შიგან შვიდა, ტახტსა დაჯდა იგი მნათობი, და მასთან ორმოც-და-ათი მხევალნი ახლდა, მივიდა და უბეს ხელი ამოსდვა და ჭირსა მზიანსა აკოცა, და ეგრე უთხრა.

ზენარმან ღვთისამან, რადგან ეგრე მნათობი გნახე და შვენიერება გაქვს, ასი ამდონი კრძალვაც გმართებდაო, დაეკონა გულსა და საყვარლად შეიტყუბნენ, მერე დედოფლი ამობმანდა, პირსა წინა მოეგება, და მოეხვია ყველას, მეფე მიბმანდა, ქება შეასხა და გამარჯვება მიულოცა. ჩამოიყვანა მასვე დღესა, ქორწილი უყვეს, ერთი ყმა და ერთი ქალი იმათად არა ჯობნილა, ორმოცი დღე ეგრეთი ქორწილი და გაცემა იყო, დააშვრეს სალაროს საქონლის ზიდვითა. მერე გამოეთხოვა და მისცა ქალი და ზითევი უკერული და კერავი, დრაჰკანი, თვალი და მარგალიტი, ხუთასი აქლემი, ათასი ჯორი, ორასი ოქროთ შეკაზმული ცხენი, ოთხასი ოქროს სატყლოსანი, მონანი და მხევალნი წამოატანნა თანა, ლაშქარნი ოც-და-ათი ათასი კაცი და ძმისწული თვისი, გამოაყოლა სამის დღისა სავალისა, მეფე და დედოფალი მას ღამეს თავის ასულთან ბმანდებოდენ, დილისა გაყრისათვის შექნა ქალმან ტირილი და ტიროდა, დედაცა ეტყოდა: შვილო, ჩემო, ჩვენ ვართ სატირალნი, მით, რომ უძეოთ დავრჩით, თორემ შენ ასეთმა ჭაბუკმან წაგიყვანა, რომ ტირილი არა გმართებსო. გამოესალმა ყოველნი და წამოვედითი. მოვედით სადა იგი დევი მოეკლა, ვნახეთ განძი ურიცხვი, ავჰკიდეთ და წამოვიდეთ, ვლეთ და მივედით სადა იგი არაზნი დაეხოცა, მუნითცა მივედით, სადა იგი მხეცი მოეკლა, მოგვეგებნეს წინა და შეექნათ დიდი სიხარული. არა ეგრელა იყო ასეთი შენობა შექმნილიყო, უკეთესი აღარ ეგებოდა, მოიწონეს დიდათ და დასკვნეს, ათ დღეს ქორწილი იყო და ლხინი მუნითაც გავიდეს და იგი აბრამის ძე მახარობლად გაგზავნიდნენ; და რაოდენ დედოფალს ახარა ჯიმმერისაგან არ მოკლისაგან, ჩრდილოთ მეფის ქალის შონა და წარმოყვანა მრავლის ქონებითა, ესე ამბავი ზომისა მეტათ იამათ, შეიყარნის ფალავანნი, ჰკრეს ბუკსა და დაბდაფსა, თვით რაოდენ დედოფალი მერაბ ქალს-და ლაშქარნი და წავიდნენ მისგებავად, რა მიეახლნეს, ჩამოხდეს და მიესალმნეს, თაყვანისცეს და თავსა ოქრო გადააყარეს, მობმანდა რაოდენ დედოფალი, შვილს მოეხვია და სიხარული ატირებდა, ეგრე მოახსენა: არ მოკლამ მე ბევრი დანაშაული მაქვს თქვენთან, მაგრამ ჩემს დანაშაულს ეს ჩრდილოთ მეფის ასული გარდაიხდისო, შეიყარნენ დედოფლები და ერთმანერთს აკოცეს, შვიდდეს ქალაქადა, სამოცი დღე ქორწილი იყო, რომ კაცის თვალს ეგეთი არა უხილავს, მერე ჩრდილოთა მეფისა

ძესა მიაერთებს მრავალი ოქრო და ძვირფასი საქონელი, სრულად ყოველთა ლაშქართა იგი თურქთა ქალაქი მას ბარამს მისცეს სამეფოდ. იყვნეს სიხარულსა და შვებასა და ნადირობასა და განსვენებასა შინა, ამაზედ მოვიდა ხაზართა მეფისა ბუმბერაზისა ძმა აბრამზე და ჭაბუკსა წიგნი და ფეშქაში მიიღო, გამარჯვება მიულოცა, მრავალი უცხო ჯავარი წარმეცა იმ არ მოკლა ჭაბუკსა და ეგრე შეუთვალა.

ყმაწვილი კაცი ვარ და მე გიახლები, თქვენს სანახავად, და ჩემს დის სანახავად, თქვენ ნუ გაირჯებითო, ამაზედანი აემზადა და დაარჩია ოცდა-ათი-ათასი კაცი და დედოფლები, წავედი და ხაზარეთს თავადი წინ უძღოდა, ვიარეთ ორი თვე, რა მზე ჭაბუკსა სამეფოს მივედით, ყოველი წინ მოგვეგებოდენ, თაყვანს სცემდენ, ქებასა შეასხამდენ, და სძღნობდენ მრავალსა, უბძანა არ მოგვკლამ აბრამს ხაზარეთი აქედამ რამთენის დღის სავალი არის? მოახსენა ოცდაათ დღეს მივალთო ვითაკილეთ ოცი დღე, ყოველი კაცი მომეგებნის და ფერხთა შეუვარდებოდეს, და იტყოდეს დიდის ხელმწიფის, დილარის შვილის შვილობასა. ვითა ვლეთ ხუთისა დღისა სავალი იგი მზე ჭაბუკსა წინა მოგება თავადნი ხაზართა მეფისა ასული და დედა მზის ჭაბუკისა, ვითა აუჩნდათ ერთმანერთი შეიქმნა ერთმანეთის მიგებება, ამისი იმას მიეგებოდეს და იმისნი ამას, თაყვანი სციან და ქება შეასხიან, რა ერთმანერთი აუჩნდათ, პირველად ჯიმშერ გარდახდა ცხენიდან, და მერმე მზე ჭაბუკი გარდახდა, მოეხვივნენ-ერთმანერთსა, და ჰკოცნეს ერთმანეთსა ტკბილათ, შესხდენ და წავიდნენ, მერე დედოფალნი შეიყარნეს, მათცა განანათლეს ქვეყანა და ტკბილათ უალერსეს ერთმანერთსა და წავიდნენ, მერე მივიდა არ მოკლა ჭაბუკი, ხოსრო ხაზართა ასულსა თანა, მოეხვია და აკოცა, უსასყიდლო გარდააფარა, და მიულოცა. გარდახდეს მას ღამეს და არავის შინა დაიდევს, და იღვეს ნადიმი და განისვენეს სამსა დღესა და ღამესა, მასუკან აიყარნენ და წავიდნენ, რა მივეწურენით ხაზარეთისა ქალაქსა, დიდათ მოგვეწონა, მისი ქება არ გათავდება; მივედით სახლსა სახელმწიფოსა და განსაკვირვებელსა, მას ღამეს განისვენეს ლხინით, სმით და შექცევით, მეორესა დღესა უკეთესსა სახლსა გვაწვივეს, და უკეთესი ნადიმი დაგვიდევს, სამი ათასი კაცი იჯდა მას სახლშია, ლხინი და განცხრომა უბოძა მზე-ჭაბუკმან ყოველთა მრავალი, და დედოფალნიცა აძლევდნენ ერთმანერთსა ძღვნობასა, მირთმევასა; და ნადიმობასა შინა იყვნეს.

მზეჭაბუკმან ეგრე თქვა: ომი ღმერთო, მწადიან ახლისა ფალავნისა, მაგრა ნუ თუ ბძანოს წასაგებელი გასდიდებიაო, არ მოკლემაც უთხრა თვისთა ყმათა ომი მწადიან მზისჭაბუკი-

სა, მაგრამ ვინ შეგვასმინოს, თუ უთხრა აბრამს ჩემსა მზესა უთხარ: ერთსა ნადიმსა ზედა რომ ვისხდეთ, ადგა აბრამ ორნი ჭიქანი აავსო, ერთი მზეჭაბუკს მიართვა და ერთი არ მოკლას ჭაბუკსა, და მოახსენა: ლომო ლომთაო, ესე ღვინო შესვით და ბოლო იგივე არის, და ომი გინდათო. ორთავ ეგრე თქვეს, დაკლებულსა არას იტყვის ხამს თურმეო, შესვეს ღვინო და დაასკვნეს ხვალისად ომი. რა შეიტყვეს დედოფალთ დიად იწყინეს, და აბრამს გაუწყრნენ, და ტირილი დაიწყეს. მაგრამ უომრობა არ იქნებოდა, მეორესა დღესა მოკაზმეს მოედანი უცხოთა ფარჩითა, აბმანდენ დედოფალნი, ტიროდენ მწარედ და ეხვეწებოდენ ღმერთს მათის მშვიდობით დარჩენისათვის, მოდგა ლაშქერი, გამოვიდეს მოქალაქენი, წამოდგეს ზედა მეზუკე მედაბდაფენი, ორგნითვე ხმა იყო მათ ლაშქართა შინა, უმძიმდა ყოველთა, ნუ თუ მოკვდეს რომელიმეო და ან აჯობონ ერთმანერთისა გულნაკლულად შეიქნებიან. ველარავინ დაუშალათ და გავიდნენ მოედანსა მძიმეზ შეჭურვილნი იყვნეს, შემოუვლეს ერთმანერთს ნავარდი, გაიყვანეს ორმოც ორმოცი ტაიჭა, მას დღეს მშვიდობით იბრძოლეს, მოუკლა ორმოცივე მზეჭაბუკმან, არ მოკლამ ოცდაათი, დარჩა ჯობნა მზეჭაბუკსა. მას ღამეს გაიყარნეს და მეორესა დღესა გამოვიდეს, მჭვრეტელნი მითვე წესითა გაიტანეს, სამოც სამოცი ტაიჭი მას დღესა მოუკლა, არ მოკლამ სამოცივე, და ორმოცდა ათი მზეჭაბუკმან. დარჩა ჯობნა არ მოკლას. მას ღამეს თავთავისთვის განისვენეს.

შეიქნა ცილობა, ზოგნი მას ამჯობინებდენ და ზოგნი მას. რას ვაგრძელებდე სანამ ოთხასი ტაიჭი დაილეოდა ხან მან აჯობის და ხან მან. ნადიმსა ზედა ისხდენ და სასიტყველი შეექნათ, გაფიცხდეს ორნივე, და დაასკვნეს ომი ფიცხელი და წავიდენ მწყრალნი, ვითა გათენდა გამოვიდეს მჭვრეტელნი, წამოდგნენ მეზუკე, მედაბდაფენი, გამოვიდა მზეჭაბუკ, თეთრსა ტაიჭსა იჯდა, და ცვიდნეს პოლოტიკნი რკინანი, სატკივართა ადგილთა ესრეთ შეჭურვილი იყო რკინითა, შავსა მთასა ჰგვანდა, რკინისასა და სამნი ხმალნი დაევიდნეს. აქადამ გამოვიდა არ მოკლა ჭაბუკი რაშსა ცხენსა იჯდა. მისი ჯირითი ცხენსა ზედა ჰქონდა, დევთა მეფისა ლახტი ხელთა ეპყრა, მისივე მუზარადი თავსა ედგა, ვეშაპისა კანისა საგდებელი სარტყელსა ეკიდა, შექნეს ორთავე დიდებულთა ხმა მაღალი ტირილი, და შეიქნა ლაშქართაგან ტირილი, და შეწუხება. არ მოკლასაც სამი ხმალი ეკიდა, მათგან უშვენიერესი აღარა ინახვოდარა. შემოუვლეს ნავარდი ერთმანერთს, და შეუზახნეს საშინელითა ხმითა, შეუტივეს და პირველადვე შუბები შეაღებეს. მერე ხლმები გამოიწოდეს და გარდაალეწეს. მერმე ხელ და ხელ ირკინნეს, მერე ცხენსა შესხდენ, მზეჭაბუკმა ისარი უკრა ცხენ-

სა, საშუალო გაუხეთქა, და კუდში გაავლო, ვინემდინ ცხენი ჩაიქცეოდა ფალავანი შორს გარდახლტა, სხვა ცხენი მოართვეს, მასცა უკრა ისარი, ფერდის ჯაჭვი გაუხეთქა და შიგ გაავლო ვითა სამოსელსა. იგიცა დაეცა და ფალავანი შორს გადახლტა, შეჯდა სხვასა ცხენსა, მასცა ისარი უკრა. სამკერდული გაუხეთქა და ფრთამდინ დასო, ვითა წაიქცეოდა ფალავანი. შორს გადახლტა და ჯირითი შესტყორცა, ცხენის ბეჭები დაუმსხვრივა, სამჯერ ფარაზედ გარდაბრუნდა და წაიქცა, ორნივე ქვეითად დარჩნენ, სალამომდინ ირკინენ და ვერა ქნესრა.

მერე ცხენებზედ გასხდეს, ორნივ გაიყვანა მზეჭაბუკმან ცხენი და ეგრე შეჰყვილა: ახალო ჯომარდო, და ახალო ფალავანო და უსწოროვ, გამიფთხილდი, თვარა რასაც ეს ჩემი ლახტი შესთანისა მთასა დავკრა ვეჭობ იგიცა დავამტრიოვო! და შეუტევა გულმყარად, არ მოკლა თავსა ფარი დაიფარა და ჰკრა ფარსა და თავმან თქვენმან მეხისა ჭეხასა ხმასა გვანდა, გაგვიკვირდა ყოველსა სულსა, ფარი გაუხეთქა და იგი მიჰმივ გაუტეხელი მოსრო ჯანის მუზარადი, ასე დალეწა ვითა ხრილი, და თავსა ბრუ დაესხა და კინაღამ ცხენისაგან ჩამოვარდა. ხმა აღარ ამოიღო, გაიყვანა ცხენი, საგდებელი აიკეცა და ეგრე შემოჰკვილა: მრავალჯერ გამარჯვებულო სახელოვანო ფალავანო, კარგად გამიფთხილდი, თორემ ეს ჩემი საგდებელი თუცა დიდსა ყაფისა მთასა მოვდვა მასცა ძირიანად მოუგლეჯელს არ გაუშვებსო! მაგრამ შენ არა გკადრებ და შენს ცხენს კი არ დავარიდებო. შესტყორცა საგდებელი და მზის ჭაბუკსა თეთრსა ტაიქსა თავსა გარდააცვა, და გამოზივნა, კბილ ღრჭენით არა შეიტყო მზეჭაბუკმან, რომ წაგვიღებსო. გარდახდა და ცხენსა ძუა შესტაცა, და ფეხი მიწას მაგრა დააბჯინა, რომელი ბიჯი ვეღარ წაადგმევიანა, მან ასეთი გასწია, რომ ცხენს ძუა სახსარში გამოსძვრა, კუდი მზეჭაბუკს შერჩა და ცხენი თავის მემათრახებთან მიათრია. მერე ჩამოცვივდნენ ოთხნივე დედოფალნი მზეჭაბუკისანი, არ მოკლას მოეხვივნენ და არ მოკლასნი მზეჭაბუკს. ტირილით და ცრემლის ღვრით უთხრეს ერთმანერთსა: რად დაჰხოცთ, ღმერთს ორნივ კარგი დაუბადებინართ? ამ სიტყვაზედ უსმინეს და გაიყარნეს.

სამსა დღესა ცალკე განისვენეს, მერმე უხმო მზეჭაბუკმა ყოველსა დიდებულსა და ნადიმი დაიდ[ვ]ეს, მივიდა, არ მოკლა და ხელს უნდოდა კოცნა, და ყველას უთხრა: მზეჭაბუკმა მაჯობაო. მზემან ჭაბუკმან ასე თქვა: მე ამისთვის არ მიჯობნიაო, არ მოკლამ უთხრა: როგორ არ გიჯობნია? აღარ გახსოვს! სამი ცხენი ასე მომიკალი, იარადი აღარ მახმარებინეო! მზეჭაბუკმა უთხრა: ჩემი ტაიჭი და მე ერთად მოგვიტაცეო. არ მოკლამ უთხრა: შენ დევთა მეფისეული მუზარდი და ფარი თავს დამალეწეო. მანცა კიდევ უთხრა: შენ ჩემი ცხენი მე

მემატრახეებთა კუდ მოჭრილი მიასთრივეო, ზენაარმან ღვთისამან მე შენზე მეტი არა მიქნიარა და არცა ჯობნასა ვისმე ვათქმეინებ. აკოცეს ერთმანერთსა, ყოველნი ლაშქარნი და მოქალაქენი სწორედ იტყოდენ.

მოახსენა რა იბ ნობადმან ამირანს და სეფე დავლეს, ესე რაცა მოგახსენე აბრამის ძმა ბებერ ჯიმშერთან იყო, და ეს აბრამ ვეზირს რაცა საქმე მოუხდებოდა, ჯიმშერისასა ყველას აბრამს აცნობებდა, ის მზეჭაბუკს მოახსენებდა და ჩვენც შევიტყვევით, გაყვეს ხაზარეთი ორად დილარისა წილი ნახევარი არმოკლას ჭაბუკს მისცა, და ნახევარი თვით დაიჭირა, ესე იყო უკლებელი მზეჭაბუკისა და დილარის შვილის შვილისა ამბაკო, ამ ამბის სმენისათვის ამირან და სეფედავლე შემოსეს იგი კაცი, და სხვა საბოძვარი მრავალი უბოძეს, მოახსენა მან კაცმან: ერთი სიტყვა მაქვს კიდეო, ოდეს მოიცალოს მზეჭაბუკმა და არ მოკლა. მოვიდა კაცი და მოახსენა: ღმერთო კარგი ჭაბუკები გნახეო, მაგრამ ერთი გაკლიათო. უბძანეს რაო? მოახსენა: ოდეს ბუმბერაზი და გოლიათნი გამოჩნდენ და გამოჩენილნი დევნი, მაშინ შეკრბენო ორის კუთხისაგან ყოველნი ჩინებულნი და სახელოვანი ფალავანნი, და შეიქმნა ერთმანერთის გამოცდა და ძალი, და რომელსამე ფალავნებს მრავალი საქმე და ომები გარდაეხადნათ, მისი თქმა და რომელსამე ომასა გასწორება, დაყვეს ერთი წელი ლხინში და გამოცდაში, მრავალნი დევნი და ჭაბუკნი იყენენ და ომის მუხთლობას ამბობდენ და ძალით მას შორეულს ამჯობინებდენ. დღესა ერთსა ნადიმზედ სიტყვა ჩამოვარდა, და ფალავნების უსწორობა ამაზედანი დინბაჯინ დევი იყო, რომ ათას შვიდასი ლიტრა ლახტი ერჭო, ვითა ერთი სტილი ეგრე მიაჩნდათ. მან თქვა: ერთი გამოცდა მომიგონიაო, ვისაც ძალ ედვას სცნობს, მაშინ მოატანინეს რკინა, თუჯი და სპილენძი და ექვსი ათასი ლიტრა ასაწევი რკინა, და თუჯი ჩამოასხეს და გახვრიტეს წიქვილის მსგავსად და ოთხი ათასი ლიტრა რკინის კეტები გააკეთეს, რომ ვინც კარგი ფალავანი არის, ეს კეტები უნდა ჩაუყაროს, და ეს რკინა ააყუდოსთ, და ასწიოს, ყოველის ქვეყნის შუა არის, რომ ყოველის ფალავნის წასავალი მას მოხვდების.

რა შეიქმნა, ბევრი ეცადა, მაგრამ ვერავის აუწევია, და ვინც ასწევეს წერილი და ბეჭედი მისი უნდა იჯდეს, განა დინბაჯინ დევის მეტსა მასცა მიწას აუცილებლადო, აბრი არაბი დაინდო, ჭაბუკი ბერს ეცადნენ, მაგრას აყენებას გარდა ვერა ქნესრა, ჯიმშერ არ მოკლას მამა წავიდა, და ამანაც ის იყო შემდგომა და ამისსა მზეჭაბუკი და არ მოკლა წავიდნენ, ოდეს გაიარეს, მრავალი ომი გადახდათ, მაბრამ მათთვის ლხინი იყო, მივიდნენ და რკინას ასწივეს, და ვითა ამბრის და ინდოს აელოთ, ეგრეთვე მათ ვერა რა დაამეტეს, ოდეს მივიდნენ ბძანა

მზემან ჭაბუკმან: ჯიმშერ, ესე მიკვირს ამირანისა და სეფედავლესაგან, რომ იმათი მე დიდი ქება მესმია, და რომელიც უქნიათ დიდათ ხოცდაო, ყოველთ ჭაბუკთა და არცა ყოვლის ჭაბუკისაგან იფიქრება მათოდნობა, გარნა დარეჯანის ძისა. ყოველთა ფალავანთა უფროსი კიდით კიდემდე განთქმული და სახელოვანი, მდაბალი ყოველთა, შემწყალობელი, სიყრმით სიჭაბუკემდე გული მაგმრი, გაუტეხელი, თილისმა მოუკიდებელი, დევთა ამომწყვეტი, ბუმბერაზთა შემაშინებელი, ხელმწიფეთა მეპატივე და ყოველის მტრისაგან მოურეველი, წაღმართს ეტლზედ დაბადებული და ასოც წელს მომავალ სიყრმით ვიდრე აქამომდე ძალ უკლებელი, ამირან დარეჯანის ძე და სეფედავლე მისებრივი ფალავანი რად არ წავიდნენ გამოსაცდელად, რა ესე სიტყვა დაასრულა, მათ ორთავ ინებეს წასვლა.

აეკაზმნენ და წავიდნენ დიდის მოწყობილობით, მივიდნენ, ნახეს ამირან ას ოცის წლისა იყო, სეფედავლე სამოცისა, მაშინ ერთმანეთის კიცხევა და თავსა ცილი დაიწყეს, მაშინ ამირანმა უთხრა: ოდეს შევიბენით მეოთხმოცე და ათის წლისა ვიყავ და შენ ორმოც-და-ერთისა. დაიდევს ნადიმი, დიდი ლხინი და ნადიმი გარდიხადეს, ადგნენ და რაც ყმა ჰყვანდათ კეტს ააწევინეს, ძლივ კეტი დაძრეს, მაშინ ამირან დაჰპატიჟა სეფედავლეს, რომელმაც უფრო ასწიოს მან დაჰპატიჟოს და წელიწადი ერთი დახვდესო. მაშინ იყარეს წილი და სეფედავლეს ერგო აწევისა, მივიდა, ახსენა ღვთისა სახელი და ასწივა და მიწასა ააცილა რომ წყრთა ერთი, მაგრამ ყოვლის ძარღვისაგან დაიხსნა, მაშინ ხვდა წილად ამირანს, ახსენა ღვთისა სახელი და შემოუარა გარსა და ასწივა, ორივე ფეხი მიწას დაესო კოჭამდინ, და რკინა და კეტი გულს დაისწორა. და სამს ნაბიჯზე გარდააგდო. მიხვდა სახელი, ქება და ფალავნობა. ყოველთა უმჯობესობა მათ ორთა გმირთა ფალავანთა და დაწერეს სახელი თავისი ყოველთა მჯობმა. მერმე დაჰპატიჟა სეფედავლემ ამირანს და წავედით დარისპან შაჰარს და ვიყავით წელიწადი ერთი განსვენებასა, ნადირობასა და შვებასა შინა. წელიწადს უკან წამოვედით მხიარულნი და მრავლითა საქონლითა აღვსილნი მივედით ბაღდადს.

აქა დასრულდა კარი დილირის შვილის შვილისა, და მზისა ჭაბუკისა, ნუმცა დაესრულების სუფევა მეფობისა თქვენისა ჟამთა მრავალთა ამინ.